

პრესომბუდსმენი B1



გულახდილად B3



ვექილობა B8


# 24 საათი

www.24hours.ge

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — ორშაბათი, 3 ოქტომბერი, 2005 წელი. №218 (1078) — ფასი 50 თეთრი


## ამბები

### მოსწავლეები ევროინტეგრაციის სწორი ხედვისთვის დააჯილდოვეს

ფრაზა, რომელიც თითქმის ყველა საკონკურსო ნაშრომში იყო, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას სიტყვებია, რომელიც მან 1999 წელს ევროკავშირში გამოსვლის დროს წარმოთქვა და შემდგომ ფრთიან გამოთქმად იქცა - "მე ვარ ქართველი, მაშასადამე მე ვარ ევროპელი".

A2

## ამბები

### მნიშვნელოვანი ეტაპი საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობაში

ევროპის კომისია რეკომენდაციას უწევს ევროკავშირს, სამოქმედო გეგმის საშუალებით, საქართველოსთან უფრო ინტენსიური თანამშრომლობა განავითაროს.

A2

## ამბები

### თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ბოლონიის უნივერსიტეტთა დიდ ქარტიას უერთდება

ავსტრიის, სამხრეთ აფრიკის, ესპანეთის, გერმანიის, ისრაელის, პოლონეთის, ჩეხეთის, უკრაინის და სხვა ქვეყნების 26 უნივერსიტეტს შორის იყო ერთი ქართული უნივერსიტეტი - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, რომლის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა ალექსანდრე თელიამ თავისი ხელმოწერით მსოფლიოს ყველაზე ავტორიტეტული 528 უნივერსიტეტის ერთიანი ძალისხმევის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს - უნივერსიტეტთა დიდ ქარტიას ქართველ პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა თანადგომა და ერთიანობა დაუდასტურა.

A4

## ამინდი

| | 3/10 | 4 /10 |
|---|---|---|
| თბილისი | 21 | 18 |
| ტყიბული | 22 | 20 |
| სოხუმი | 26 | 20 |
| დმანისი | 18 | 11 |
| გორი | 19 | 15 |
| ონი | 15 | 13 |
| ზუგდიდი | 28 | 21 |
| ახმეტა | 20 | 18 |
| გაგრა | 22 | 20 |
| სამტრედია | 26 | 20 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7900 |
| ევრო | 3.1470 |
| ბირთანეთი სტერლ. | 3.1470 |
| რუბლი | 0.0627 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| უცხოეთი | A 4 |
| სამართალი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| თვალსაზრისი | A 8 |
| პრესომბუდსმენი | B 1 |
| ტენდერი | B 2 |
| გულახდილად | B 3 |
| სხვადასხვა | B 4 |


# პირველი ოქტომბრის არჩევნების ორი პოლიტიკური "განზომილება"

გიორგი ასანიშვილი

1 ოქტომბრის შუალედური არჩევნების შედეგებს ხელისუფლება და ოპოზიცია განსხვავებულად აფასებს. **"ამ არჩევნებში ოპოზიცია წამყვანი შემადგენლობით არ გამოსულა. მის ძირითად კანდიდატებს არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღიათ. მიუხედავად ამისა, 1 ოქტომბერს დადასტურდა, რომ ქვეყანაში ხელისუფლებას დაბალი რეიტინგი აქვს. ყველა გამოკითხვის მიხედვით, მისი მაჩვენებელი 25 პროცენტს არ აღემატება, მაშინ, როდესაც ოთხი წამყვანი ოპოზიციური პარტიის რეიტინგთა ჯამი ამ მაჩვენებელზე მეტია,"** - აცხადებს "რესპუბლიკური პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი.

მისივე თქმით, 1 ოქტომბერს ბათუმში საარჩევნო ურნებთან იმაზე ნაკლები ადამიანი მივიდა, რამდენი მხარდამჭერიც "რესპუბლიკელებს" შარშან ჩატარებული, აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს ჰყავდათ.

გაგრძელება A3 გვერდზე

# პატიოსანი გამარჯვება

თამარ ასათიანი

*შუალედური მაჟორიტარული არჩევნები დასრულდა. მართალია, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ოფიციალური შედეგები კენჭისყრის დღის დასრულებიდან 18 დღის ვადაში უნდა დაამტკიცოს, მაგრამ უკვე ყველასთვის ნათელია, რომ წინასწარი შედეგები არ შეიცვლება და ხუთივე საარჩევნო ოლქში გამარჯვებულად სახელისუფლებო პარტიის კანდიდატები დასახელდებიან.*

გაგრძელება A3 გვერდზე



*"სამართლიანი არჩევნები" ყველაზე დიდ დარღვევად საარჩევნო სიების უზუსტობას მიიჩნევს.*

ინტერპრესნიუსი

# ყაზახეთს საქართველოში სერიოზული ეკონომიკური ინტერესები აქვს

*ყაზახეთის პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის საქართველოში ორდღიანი ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, მხარეები ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას მოაწერენ ხელს.*

ყაზახეთის პრეზიდენტის სპეცრეისს თბილისის აეროპორტში პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი დახვდა. აეროპორტიდანვე ყაზახეთის სამთავრობო დელეგაციამ ბათუმისკენ აიღო გეზი, სადაც ნაზარბაევს უკვე მისი ქართველი კოლეგა ელოდებოდა.

ბათუმის საზღვაო პორტის დათვალიერების შემდეგ მოწყობილ ბრიფინგზე ყაზახეთის პრეზიდენტმა აღნიშნა,

გაგრძელება A3 გვერდზე



*ნაზარბაევმა გუშინ ბათუმის ცენტრალური პარკისა და გონიოს ციხის დათვალიერებაც მოასწრო.*

ინტერპრესნიუსი

# ორი სცენარი დემოკრატიისათვის

დიმიტრი შველიძე

საქართველოს რესპუბლიკა "მეორე სამყაროს" ანუ გარდამავალი პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის ქვეყნების ჯგუფში მოიაზრება. მას წარმოადგენენ საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის დაშლის შედეგად წარმოქმნილი ახალი დამოუკიდებელი ქვეყნები, რომლებსაც ემატება მოსკოვის ყოფილი "სოციალისტური ბანაკის" სატელიტი, აწ უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოები.

იგულისხმება, რომ გარდამავალმა ქვეყნებმა საბაზრო ეკონომიკაზე დამყარებული დემოკრატიული სისტემები უნდა შექმნან. ჩვენი სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული მიზანიც დემოკრატიული საზოგადოების აშენებაა, მაგრამ რომელი დემოკრატიის? ამასაც დაზუსტება სჭირდება, რადგან ისევე როგორც სხვა პოლიტიკური ინსტიტუტების შემთხვევაშია, დემოკრატიის ფორმებიც რამდენიმე ტიპისა არსებობს.

თანამედროვე მსოფლიოში დასავლური ტიპის რეალური დემოკრატიებიც ფუნქციონირებს და აზიურ-აფრიკულ-სამხრეთ თუ ცენტრალურ ამერიკული ფორმალური დემოკრატიებიც. გარდა ამისა, ხშირად დემოკრატია ბევრ ქვეყანაში თავისებურ სპეციფიკურ ხასიათსაც იძენს. ჩვენი იდეალი, რა თქმა უნდა, ე. წ. "პირველი სამყაროს" დემოკრატიული დასავლური საზოგადოება და სამართლებრივი სახელმწიფოა. ამას ქადაგებს დაუღალავად ხელისუფლება და მასმედია, პოზიცია და ოპოზიცია.

მაგრამ ერთხელ მაინც დავეკითხოთ საკუთარ თავს, რამდენად რეალურია ჩვენი საერთო იდეალი, რაციონალურია თუ ირაციონალური, შესაძლებელია მისი მიღწევა თუ კვლავ მორიგი მისტიფიკაციაა, რომლითაც წინა საუკუნეში ერთხელ უკვე მკაცრად დაგვსაჯა ისტორიამ. ან ამგვარად უფრო უპრიანი იქნება კითხვის დასმა - რა უშლის რეალური დემოკრატიის განხორციელებას ხელს საქართველოში?

ხელისშემშლელი მიზეზები ბევრი შეიძლება არსებობდეს, მაგრამ მათგან ყველაზე უპირველესი, უმთავრესი და სხვა დანარჩენ მიზეზთა განმაპირობებელი, ჩვენი აზრით, ერთია - სიღატაკე! ჩვენი ხალხის, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის უკიდურესი სიღატაკე, ეკონომიკური და სოციალური გაჭირვება.

გაგრძელება A8 გვერდზე

# კერძო დაცვა ქვეყნის სამსახურში

*დემოკრატიული სახელმწიფოს უპირველესი განმსაზღვრელი ფაქტორი სრულფასოვანი სამოქალაქო საზოგადოების არსებობაა, რომელიც საკუთარ თავში ბუნებრივად მოიაზრებს არასამთავრობო სექტორის აქტიურ როლს სახელმწიფო ფუნქციების განხორციელებაში. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ევროკომისიის ერთ-ერთი რეკომენდაცია, რომელიც ქვეყანაში უსაფრთხოების კერძო სამსახურებისა და დეტექტიური სააგენტოების შესაბამისი სისტემების შექმნას ითხოვს.*

ნინო გომართელი

**"დაცვის კერძო ინდუსტრიის ნუ შეგეშინდებათ. თუ გონიერ კანონს მიიღებთ, ეს სფერო განვითარდება და გეყოლებათ პროფესიონალი დაცვა, რაც უმეტეს ქვეყნებს აქვთ. დაცვის ეს პროფესიული სამსახური კი თქვენს მოქალაქეებს და სახელმწიფოს კარგად მოემსახურება,"** – აღნიშნა "24 საათთან" ინტერვიუში ბრიტანეთის პარლამენტის წევრმა, პარლამენტის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტმა ბრიუს ჯორჯმა.

სახელმწიფოს შიდა უსაფრთხოების განხორციელებაში, სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომლობისათვის საკანონმდებლო ბაზის შექმნას მიეძღვნა თბილისში ჩატარებული ორდღიანი საპარლამენტო განხილვა - კონფერენცია თემაზე "ქვეყნის შიდა უსაფრთხოება."

მისი ორგანიზატორები იყვნენ პარლამენტის იურიდიული, თავდაცვისა და უშიშროების, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტები, ბიზნესისა და პარლამენტის საერთაშორისო ასოციაცია, საქართველოს კერძო დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურების ასოციაცია.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ საქართველოს შსს-ს, იუსტიციის სამინისტროს, უშიშროების საბჭოს, პროკურატურის, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, თსუ იურიდიული ფაკულტეტის, სამართლის ინსტიტუტის წარმომადგენლები, საერთაშორისო და ქართველი ექსპერტები.

**"დაცვის კერძო ინდუსტრია მთელ მსოფლიოში მუდმივად იზრდება. ეს გლობალური ინდუსტრიაა. თუ მიღებული იქნება კანონი, განვითარდება სფერო, გაჩნდება ძალიან ბევრი სამუშაო ადგილი. ეს კარგი იქნება მთელი საზოგადოებისთვის და, რაც მთავარია - სახელმწიფოსთვის, პარლამენტისთვის,"** – აღნიშნავს ბრიუს ჯორჯი.

გაგრძელება A3 გვერდზე

# „ქართული მართლმსაჯულება სტროგოვიჩის პროცესისგან უნდა გათავისუფლდეს"

*რამდენიმე დღის წინ თბილისის საოლქო სასამართლოს თანამშრომლებმა სასამართლოს ლიკვიდაციის დაწყების შესახებ ოფიციალური ცნობა მიიღეს იუსტიციის საბჭოს მდივნისგან ვალერი ცერცვაძისგან. ყველაზე დიდი სასამართლო, რომელიც მართლმსაჯულების ორ მესამედს ახორციელებს, თბილისის საოლქო სასამართლოს ლიკვიდაციის პროცესი პირველ ნოემბრამდე გაგრძელდება და მის ბაზაზე სააპელაციო ინსტანციის სასამართლო ჩამოყალიბდება.*

ინგა ალავიძე

ის 70 მოსამართლე, რომელც აქამდე საოლქო სასამართლოში მუშაობდა, მართალია, მოვალეობას დროებით ასრულებს, მაგრამ თანამდებობიდან, ფაქტობრივად, დათხოვნილი არიან. მოსამართლეების შერჩევა ნულიდან დაიწყება. ხუთი წლის მუშაობის სტაჟი, პროფესიონალიზმი და უმწიკვლო რეპუტაცია - ეს ის კრიტერიუმებია, რომელთა საფუძველზეც, იუსტიციის საბჭო ფუნქციაშეცვლილ სასამართლოს ახალი მოსამართლეებით დააკომპლექტებს. **"საოლქო სასამართლოში პროფესიონალი მოსამართლეები მრავლად არიან და ამიტომაც, ისინი, ალბათ, კვლავ გააგრძელებენ საქმიანობას, რადგან კარგი მოსამართლეები არ უნდა დავკარგოთ. ასეთი ფუფუნების უფლება ჩვენ არ გვაქვს",** - აცხადებს თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი გოგიაშვილი.

**- ბატონო გიორგი, დაიწყო რეფორმის მეორე ეტაპი თბილისი საოლქო სასამართლო ლიკვიდირებულია და სარეფორმო პროცესები მიმდინარეობს.**

- საოლქო სასამართლო გადაკეთდება წმინდა სააპელაციო სასამართლოდ - ანუ მეორე ინსტაციის სასამართლო ხდება. რეფორმის ეს პროცესი პირველ ნოემბრამდე უნდა დასრულდეს. ეს საკითხი ჩადებული იყო 1998 წლის "საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის" პირველ ვარიანტშიც, მაგრამ მაშინ თანხები ვერ მოიძებნა მის ასამუშავებლად. ახლა ეს პროცესი რეალურად მიმდინარეობს და ნოემბრიდან საოლქო სასამართლო განახლებული სახით დაიწყებს ფუნქციონირებას. პირველი ინსტანციის საქმეებს ჩვენ აღარ განვიხილავთ.

გაგრძელება A5 გვერდზე

# სტაბილურობა თუ დემოკრატიზაცია

### განხორციელდება თუ არა "ფერადი რევოლუცია" აზერბაიჯანში?

ნიკა თარაშვილი

21-ე საუკუნეში ტერორიზმის საფრთხის არნახული მასშტაბით გაზრდამ დასავლეთის ქვეყნები დილემის წინაშე დააყენა – სტაბილურობა თუ დემოკრატიზაცია. მართლაც, უკვე კარგა ხანს აქტუალურად ქცეულმა კითხვამ - რა უფრო მნიშვნელოვანია, სტაბილურობა (განსაკუთრებით, ფეთქებადსაშიშ მუსლიმურ სამყაროში) თუ დემოკრატიზაცია? – მესამე ათასწლეულის დასაწყისში ახალი დატვირთვა შეიძინა.

დღემდე განვითარებული ქვეყნები ეგუებოდნენ ნაკლებად დემოკრატიული, ხშირ შემთხვევაში ავტორიტარული რეჟიმების არსებობას, მით უმეტეს, თუ ამ ქვეყნებს სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა მსოფლიოსთვის (მაგალითად, მათ ტერიტორიაზე მოიპოვებოდა ნავთობი, გაზი და ა.შ., ან მსოფლიო სავაჭრო გზებზე კონტროლის საშუალებას იძლეოდნენ). ცივი ომის პერიოდში დასავლური დემოკრატიები დიდი სიხარულით თანამშრომლობდნენ ყველაზე საშინელ დიქტატურებთანაც კი, მთავარი იყო, მათ საბჭოთა კავშირის მხარე არ დაეჭირათ.

გაგრძელება A4 გვერდზე

## სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის პრივატიზაცია დაიწყო

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის პრივატიზაცია უკვე დაიწყო.

სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების მოწმობები ფერმერებს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ხვალ, საზეიმო ვითარებაში გადაეცემათ. ფერმერთა შორის ერთი ქართველი და ერთი აზერბაიჯანელი ეროვნების, საქართველოს მოქალაქეა.

მესაკუთრეებს საკუთრების მოწმობებს გადასცემენ - საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე, სახელმწიფო მინისტრი ეკონომიკური რეფორმების კოორდინაციის საკითხებში კახა ბენდუქიძე და სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი.

ცერემონიაში მონაწილეობას მიიღებს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ადმინისტრატორის მოადგილე დრუ ლუტენი, რომელიც საქართველოში ხანმოკლე ვიზიტით იმყოფება. სააგენტო, მიწის ბაზრის განვითარების პროექტის ფარგლებში, პრივატიზების პროცესის განსახორციელებლად საქართველოს მთავრობას ტექნიკურ დახმარებას აღმოუჩენს.

სასოფლო-სამეურნეო მიწების 55 პროცენტი კერძო საკუთრებაში 1992-1998 წლებში გადაიცა. დარჩენილი 45 პროცენტის პრივატიზება უახლოეს პერიოდში განხორციელდება, საიდანაც ბიუჯეტში, სავარაუდოდ, 80 მილიონ ლარზე მეტი შევა.

მიწების პრივატიზების სამი ფორმა განხორციელდება. ერთ-ერთი ფორმის მიხედვით, მოიჯარეებისთვის მიწების მიყიდვა იჯარით გაცემული მიწების პირდაპირი მიყიდვის წესით მოხდება. მიწის შესასყიდად, მოიჯარეები ყოველწლიური იჯარის საფასურის გაათმაგებულ თანხას გადაიხდიან. მოიჯარეების მიერ მიწის გამოსყიდვაზე უარის თქმის შემთხვევაში, ღია აუქციონი ჩატარდება. იჯარით გაუცემელი მიწების პრივატიზება კი დახურული აუქციონების გზით განხორციელდება. შესყიდვა დაიშვება განვადებით – მაქსიმუმ, 9 წელი.

ცნობისათვის, ბოლო მონაცემებით, სახელმწიფო საკუთრებაში 360 000 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწაა დარჩენილი.

*24 საათი*

## რუთ რიჩარდსონი თბილისშია

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის კახა ბენდუქიძის და ახალი ეკონომიკური სკოლის ხელმძღვანელობის მოწვევით, გუშინ თბილისში ჩამოვიდა ახალი ზელანდიის საკონსულტაციო ფირმის ხელმძღვანელი რუთ რიჩარდსონი.

სტუმარი საქართველოში ერთი კვირის განმავლობაში დარჩება და შეხვედრებს საქართველოს ფინანსთა მინისტრ ალექსი ალექსიშვილთან, ეკონომიკური განვითარების მინისტრ ირაკლი ჩოგოვაძესთან, განათლების მინისტრ ალექსანდრე ლომაიასთან და სახელმწიფო მინისტრ კახა ბენდუქიძესთან გამართავს.

რუთ რიჩარდსონი საქართველოში საჯარო სექტორში მიმდინარე რეფორმებს გაეცნობა.

სტუმარი ახალი ზელანდიის ყოფილი ფინანსთა მინისტრია და მისი მთავარი დამსახურება 1993 წელს "ფისკალური პასუხისმგებლობის აქტის" მიღებაა, რაც საჯარო სექტორის ახლებურად მოწყობას ნიშნავს. ვიზიტით მყოფი, საკონსულტაციო ფირმის "რუთ რიჩარდსონ ნიუ ზელანდ"-ის ხელმძღვანელი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს შეხვდება. ასევე დაგეგმილია მისი ლექციების წაკითხვა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტსა და "ჯიპა"-ში. სტუმარი საქართველოს 8 ოქტომბერს დატოვებს.

*ინტერპრესნიუსი*

## მეცხრე ენერგობლოკის ტესტირებამ წარმატებით ჩაიარა

თბილისის მე-9 ენერგობლოკი მწყობრშია. როგორც "მედიანიუსს" სააქციო საზოგადოება "თელასის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს, ენერგობლოკის ტესტირებამ 1 ოქტომბერს წარმატებით ჩაიარა. ამჯერად მიმდინარეობს ენერგობლოკის ტურბინების მუშაობის დამაბალანსირებელი სამუშაოები. სავარაუდოდ, დღეს, საღამოს 21 საათისთვის კი, ენერგობლოკი უკვე ქვეყნის ერთიან ელექტროსისტემაში ჩაირთვება. ის ქვეყნის ენერგოსისტემას 250 მეგავატი ელექტროენერგიით მოამარაგებს. მე-9 ენერგობლოკის სარეაბილიტაციო სამუშაოები 2005 წლის ივლისიდან სექტემბრის ბოლო რიცხვამდე გრძელდებოდა. აღდგენით სამუშაოებზე 3 მილიონი დოლარი დაიხარჯა.

*მედიანიუსი*

## ავტოავარიამ გლდანის მოსახლეობა ბუნებრივი აირის გარეშე დატოვა

შაბათს საღამოს მომხდარმა ავტოავარიამ გლდანის მოსახლეობა ბუნებრივი აირის გარეშე დატოვა. როგორც "ინტერპრესნიუსს" "თბილგაზის" სადისპეტჩეროში განუცხადეს, გუშინ, გვიან ღამით, ავტომანქანა საშუალო წნევის გაზსადენს დაეჯახა და მილსადენი დააზიანა. ამის გამო, "თბილგაზის" საავარიო სამსახური იძულებული გახდა, გაზმომარაგება მომხმარებლისთვის დროებით შეეწყვიტა.

როგორც "თბილგაზში" აცხადებენ, ამჟამად ბუნებრივი აირის გარეშე დარჩენილია გლდანის I, II, III და IV მიკრორაიონები. აღდგენითი სამუშაოები უკვე მიმდინარეობს და გაზმომარაგება დღეს საღამოს, ან ხვალ დილით განახლდება.

*ინტერპრესნიუსი*

## ერთობლივი ძალისხმევა შიდსის წინააღმდეგ

თბილისში გაიხსნა სამდღიანი გაეროს მოსახლეობის ფონდისა **(UNFPA)** და გლობალური ფონდის **(GFATM)** ერთობლივი კონფერენცია თემაზე: **"ახლებური სტრატეგიებისა და ალტერნატივების ძიება აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში განხორციელებული გლობალური ფონდის პროექტებისათვის ტექნიკური დახმარების გასაწევად". კონფერენციაში** მონაწილე გაეროს მოსახლეობისა და გლობალური ფონდების წარმომადგენლები და მათი ეროვნული პარტნიორები აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის 17 ქვეყნიდან განიხილავენ აივ/შიდსის პრევენციის სფეროში თანამშრომლობის პერსპექტივებს. გაეროს მოსახლეობის ფონდის მრავალწლიანი საქმიანობით დაგროვილი გამოცდილების გაზიარება კიდევ უფრო აამაღლებს გლობალური ფონდის პროექტების ეფექტურობას და გააძლიერებს ერთობლივ ძალისხმევას აივ/შიდსის წინააღმდეგ.

პარტნიორობა და თანამშრომლობა **UNFPA-ის** ძირითადი სტრატეგიაა. ამიტომაც გაეროს მოსახლეობის ფონდისათვის გლობალურ ფონდთან თანამშრომლობა, რომელიც შექმნილია **შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის** წინააღმდეგ საბრძოლად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

დღეისათვის გლობალურმა ფონდმა ამ სამი დაავადების წინააღმდეგ საბრძოლველად 128 ქვეყანაში 3 მილიარდი დოლარი გამოყო. **საქართველოში აივ/შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის 2004-2008 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესასრულებლად გლობალური ფონდის მიერ 12 მილიონი დოლარია გამოყოფილი**. გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) არის განვითარების საერთაშორისო სააგენტო, რომელიც ხელს უწყობს ქალთა, მამაკაცთა და ბავშვთა უფლებების განმტკიცებას ჯანმრთელი ცხოვრებისა და თანაბარი შესაძლებლობებისათვის. UNFPA ეხმარება ქვეყნებს, გამოიყენონ მონაცემები მოსახლეობის შესახებ ისეთი პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებისათვის, რაც ხელს შეუწყობს სიღარიბის დაძლევას და უზრუნველყოფს, რომ ყოველი ორსულობა იყოს სასურველი, ყოველი მშობიარობა იყოს უსაფრთხო, ყველა ახალგაზრდა იყოს დაცული აივ/შიდსისაგან და ყველა გოგონას და ქალს ეპყრობოდნენ ღირსებითა და პატივისცემით.

*ქეთი აბაშიძე*

## მოსწავლეები ევროინტეგრაციის სწორი ხედვისთვის დააჯილდოვეს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ბარამიძემ პარასკევს, კონკურსში - "საქართველო და ევროკავშირი - ჩემი ხედვა" - გამარჯვებული მოსწავლეები დააჯილდოვეს.

კონკურსი X-XI კლასელებისათვის 2005 წლის აპრილში გამოცხადდა. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 143-მა მოსწავლემ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან. გამოვლინდა სამი გამარჯვებული: ქ. ოზურგეთის ეგნატე ნინოშვილის სახელობის N1 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეები **თამარ ურუშაძე** და **თათია მგელაძე** და ქ. თბილისის დიმიტრი უზნაძის სახელობის 22-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე **გიორგი გვარამია**.

გამარჯვებულებს ნავთობკომპანია BP-ს მიერ დაწესებული პერსონალური კომპიუტერები გადაეცათ.



*გამარჯვებულებს ნავთობკომპანია BP-ს მიერ დაწესებული პერსონალური კომპიუტერები გადაეცათ.*

**"საქართველოს ორიენტაცია არის ევროკავშირისაკენ მიმართული და ქართველმა ბავშვებმა ამ კონკურსის მეშვეობით საკმაოდ საინტერესო კონცეფცია შემოგვთავაზეს. მათ ნაშრომებში კრიტიკული ანალიზია, თუ რა დადებითი მხარე და საფრთხე შეიძლება მოუტანოს საქართველოს ევროკავშირში გაერთიანებამ,"** - აღნიშნა განათლების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ.

მისი თქმით, ფრაზა, რომელიც თითქმის ყველა საკონკურსო ნაშრომში იყო, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას სიტყვებია, რომელიც მან 1999 წელს ევროკავშირში გამოსვლის დროს წარმოთქვა და შემდგომ ფრთიან გამოთქმად იქცა - "მე ვარ ქართველი, მაშასადამე მე ვარ ევროპელი".

*24 საათი*

## საიდუმლო გვირაბი სასწორის ქვეშ

"რთველი 2005"-ის "ნოუ-ჰაუ"

*სოფლის მეურნეობის მინისტრის მიხეილ სვიმონიშვილის განცხადების მიუხედავად, რომ წელს კახეთში ყურძნის მოსავლის დაბინავება უპრობლემოდ და ექსცესების გარეშე წარიმართებოდა, რეგიონში რთველს ხმაურისა და აქციების გარეშე მაინც არ ჩაუვლია.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

მინისტრი ამბობს, რომ მთავრობის მიერ გატარებული რეფორმების შედეგად, სოფლის მეურნეობაში ყველაზე პრობლემატური საკითხი - ყურძნის მოსავლის რეალიზება - დაძლეულია. **"სახელმწიფო ყურძნის ფასის დარეგულირებაში ვერ ჩაერევა, ეს ბაზრის გადასაწყვეტია. თუმცა, ერთადერთი, რითაც მთავრობა გლეხს დაეხმარება, ეს ღვინის ფალსიფიკაციასთან ბრძოლაა. ამით, ფაქტობრივად, ყურძნის რეალიზების პრობლემა გადაიჭრება. ამაზე მუშაობა მთავრობამ ჯერ კიდევ იანვრის თვიდან დაიწყო. მომავალი წლისთვის კი მას უფრო აქტიური სახე მიეცემა,"** - აცხადებს მიხეილ სვიმონიშვილი და იქვე იმასაც დასძენს, რომ სახელმწიფოს მხრიდან გატარებული ღონისძიებების შედეგად წლევანდელი რთველი ექსცესების გარეშე მიმდინარეობს.

სოფლის მეურნეობის მინისტრი წარმატებული რთვლის შესახებ ხმამაღალ განცხადებებს სწორედ იმ დროს აკეთებს, როდესაც ქიზიყელი გლეხები ყურძნის მოსავლის დაბინავებას საერთოდ ვერ ახერხებენ. დღისით ქუჩაში გამოსული, მინისტრის ამაო ლოდინში დაღლილი მოსახლეობა საღამოობით მიხეილ სვიმონიშვილს, ფანდურით ხელში, მხოლოდ ტელეეკრანზე ხედავს და მის ვოკალურ მონაცემებს ისმენს. **"თუ გლეხების გასაჭირი არაფრად მიაჩნია, ისე მაინც გვესტუმროს ქიზიყში, იქნება, მეორე და მესამე ხმას ჩვენ უკეთესად ვმღერით,"** - იუმორით კითხულობენ ქიზიყელები.

თუ ვაქირში ჩასვლამდე ხელისუფლების წარმომადგენლები რთვლის პრობლემებში ჩარევას არ აპირებდნენ, ამჯერად მათ ყურძნის ფასიც კი თავად დაადგინეს. მინისტრისა და კახეთის გუბერნატორის თქმით, ვაქირულას წლევანდელ მოსავალს კარდენახის, წინანდლისა და გორის ღვინის ქრახნები 55 თეთრად მიიღებენ. აქცია ვაქირში ამ დაპირების შემდეგ დაიშალა.

ამ დღეებში ერთი უსიამოვნო ფაქტიც გახმაურდა. კარდენახის ღვინის ქარხანა, სადაც მთავრობამ ქიზიყელებს მოსავლის რეალიზება შესთავაზა, სკანდალში ეხვევა.

სოფელ კარდენახის მოსახლეობა ქარხნის ხელმძღვანელობას თაღლითობაში ადანაშაულებს. **"გასულს წელს, ქარხანაში მიტანამდე ყურძნის მოსავალი თავად ავწონე, ჩაბარების შემდეგ კი სხვაობა ერთი ტონა იყო - სასწორმა ნაკლები აჩვენა. მართალია, ეჭვი მაშინვე შემეპარა, მაგრამ იმ დროს სიმართლე ვერავის დავუმტკიცე. თუმცა გავიგე, რომ ჩემნაირ მდგომარეობაში სოფელში ბევრი აღმოჩნდა,"** - აცხადებს ერთ-ერთი დაზარალებული, რომელიც, ისევე, როგორც სხვა დაზარალებულები, სასწორის ქვეშ გვირაბის არსებობას ადასტურებს. მათი მტკიცებით, "საიდუმლო გვირაბს" სასწორით ფარული მანიპულირებისათვის იყენებენ. რესპონდენტები ჩვენთან საუბარში ანონიმურობის დაცვას იმ მოტივით ითხოვენ, რომ თაღლითები და დაზარალებულები თანასოფლელები არიან და ისინი დაპირისპირებას ერიდებიან.

იმაზე, რომ ქარხნის სასწორი ზუსტ წონას მართლაც ვერ აფიქსირებს, ქარხნის დირექტორი ღიად საუბრობს. თუმცა, მოსახლეობისგან განსხვავებით, შალვა ნადაშვილი დაზარალებულს საკუთარ თავს უწოდებს და აცხადებს, რომ მისი ქარხნის სასწორის ქვეშ ბოლო სამი წლის განმავლობაში უცნობები გვირაბს თხრიან, პულტისა და გირების მეშვეობით გაცილებით მეტ წონას იმათთვის აფიქსირებენ, ვინც თაღლითებთან გარიგებაზე წავა. **"გვირაბის არსებობა ჩვენ რამდენიმე დღის წინ შევიტყვეთ, როცა ყურძნით დატვირთულმა ერთ-ერთმა ძარამ სასწორზე ჩვენთვის საეჭვო ციფრი აჩვენა. მანქანა ხელმეორედ შემოვაბრუნეთ და სხვაობა ერთი ტონით ნაკლები იყო. მოგვიანებით, თხრილი შევნიშნეთ, რომლის საშუალებითაც თაღლითები მათთვის სასურველ წონას იმ პირებისთვის აფიქსირებდნენ, ვინც მოგების წილში გაიყვანდა. ეს ყველაფერი კი მიწისქვეშ გირების ხელოვნური ზემოქმედებით ხდებოდა. დაზარალებული, მოსახლეობა კი არა, ჩვენ, ქარხნის ხელმძღვანელობა ვართ, ვინ იცის, რამდენს დავუწერეთ ზედმეტი წონა,"** - ამბობს შალვა ნადაშვილი.

გურჯაანის რაიონული პროკურორი ლექსო ფერიაშვილი აღნიშნავს, რომ მისთვის საიდუმლო გვირაბის არსებობა მხოლოდ რამდენიმე დღის წინ გახდა ცნობილი.

შალვა ნადაშვილის განცხადებები სასაცილოდ და დაუჯერებლად მიაჩნია გურჯაანის გამგეობაში შექმნილი საკოორდინაციო საბჭოს წევრს და ინფრასტრუქტურის განყოფილების გამგეს ზეინაბ ბიწაძეს, რომელიც აღნიშნულ ქარხანაში ყურძნის მიღების პროცესს მეთვალყურეობდა, მაგრამ ქარხნის დირექტორის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ, საბჭომ იგი უკანვე გამოიწვია. **"როგორ შეიძლება, საწარმოს ხელმძღვანელობა ისე ვერ აკონტროლებდეს ტერიტორიას, რომ უცნობებმა მის ქვეშ გვირაბი გათხარონ? მით უმეტეს, თუ ეს ფაქტი ქარხნის ხელმძღვანელობისთვის გასულ წლებშიც ცნობილი იყო? ის, რომ ამ ქარხანაში "რთველი 2005" მთელი რიგი დარღვევებით მიმდინარეობს, არაერთხელაა დაფიქსირებული. ქარხნის დირექტორმა, სანამ რაიონის გამგეობის მიერ შექმნილი სამეთვალყურეო საბჭოს წევრები უკან არ გამოგვიშვა, თავისი დაიმართა, თითქოს ჩვენ მუშაობაში ხელს ვუშლიდით. არადა, ყოველთვის შენიშვნებს ვაძლევდით იმაზე, რაც ხდებოდა,"** - ამბობს ზეინაბ ბიწაძე. "საიდუმლო გვირაბთან" დაკავშირებით ძიებას გურჯაანის რაიონული პოლიციის საგამოძიებო ჯგუფი აწარმოებს.

## მნიშვნელოვანი ეტაპი საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობაში

თეონა ბოლქვაძე

სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" გამართული საერთაშორისო კონფერენცია თემაზე "საქართველო და ევროპული ინტეგრაცია" მიზნად ისახავდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობის გაღრმავებას. როგორც ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ბარამიძემ პრესასთან კომენტარისას განაცხადა, ხელისუფლება მაქსიმალურად გაითვალისწინებს კონფერენციაზე ექსპერტების მიერ გაკეთებულ ანალიზს. ბარამიძის განმარტებით, ამჟამად საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობაში მნიშვნელოვანი ეტაპია: **"ჩვენ ვიწყებთ სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით, სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში მოლაპარაკებებს, რომელიც განსაზღვრავს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებს მომავალი სამი-ხუთი წლის განმავლობაში."**

ევროკავშირსა და საქართველოს შორის მჭიდრო პარტნიორული თანამშრომლობისა და ინტეგრაციის საკითხების გარდა, კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება შავი ზღვის რეგიონის ფარგლებში ინტეგრაციის პერსპექტივებს დაეთმო.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოში ევროკომისიის დელეგაციის ხელმძღვანელი ტორბენ ჰოლცე. მან დადებითად შეაფასა საქართველოსა და ევროკავშირის 15-წლიანი ურთიერთობა და იქვე დასძინა, რომ საქართველომ მომავალშიც წარმატებით უნდა შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაფინანსება შესუსტდება და, რაც მთავარია, ეს ჩვენი ქვეყნისათვის პოლიტიკურად მეტად წამგებიანი იქნება. ჰოლცეს განმარტებით, მომდევნო ეტაპზე, სამოქმედო გეგმის განხორციელებისას, დაფინანსების ინსტრუმენტი ბევრად უფრო მოქნილი იქნება.

ევროპის კომისია რეკომენდაციას უწევს ევროკავშირს, სამოქმედო გეგმის საშუალებით, საქართველოსთან უფრო ინტენსიური თანამშრომლობა განავითაროს.

საქართველოს სამოქმედო გეგმა, რომელზე მუშაობაც უკვე მიმდინარეობს, 2005 წლის ბოლოს ან 2006 წლის დასაწყისში უნდა გამოქვეყნდეს.

იმავე, ევროპის კომისიის რეკომენდაციის შესაბამისად, სამოქმედო გეგმის მიზნები შემდეგ პრიორიტეტებს ეფუძნება: კანონის უზენაესობის პატივისცემის გაძლიერება, დემოკრატიული სტრუქტურების და პლურალიზმის განვითარება, ბიზნეს-კლიმატის გაუმჯობესება და კერძო სექტორის მოდერნიზაცია, საგადასახადო და საბაჟო საკანონმდებლო და ადმინისტრაციული რეფორმა, კორუფციისა და დანაშაულებრივი ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლა, პრივატიზაციის გამჭვირვალე პროცესი, სიღარიბის შემცირება, კონფლიქტების მოგვარება და რეგიონული თანამშრომლობის განვითარება, გონივრული მაკროეკონომიკური პოლიტიკა.

კონფერენციაზე ქართველმა და უცხოელმა ექსპერტებმა თავიანთი მოსაზრებები წარმოადგინეს. ისინი ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობდნენ, როგორიცაა ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, ინსტიტუციური მშენებლობა, ევროპული ინტეგრაცია შავი ზღვის კონტექსტში და ა. შ.

კონფერენციის მსვლელობისას მოეწყო ქართული ინტერნეტ-გვერდის – "საქართველო ევროკავშირისკენ" პრეზენტაცია, რომელიც საქართველოსა და ევროპული ინტეგრაციის თემას შეეხება. ვებგვერდი ინფორმაციული და საგანმანათლებლო ხასიათისაა. იგი მოიცავს მასალებს საქართველოს მთავრობის მიერ ევროპული ინტეგრაციის საკითხებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. ინტერნეტ-გვერდი, აგრეთვე, საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს სთავაზობს, გამოხატოს თავისი მოსაზრება და შეხედულებები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. გიორგი ბარამიძის შეფასებით, ვებგვერდის არსებობა კიდევ უფრო გამჭვირვალეს გახდის პროცესებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ევროპულ ოჯახში დაახლოებას უკავშირდება.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს შეიარაღებული ძალების კრწანისის ეროვნულ სასწავლო ცენტრში რეკრუტთა მომზადების მეოთხე ეტაპი დაიწყო. ამჯერად, საწყისი საბრძოლო მომზადების კურსს მეოთხე ბრიგადის 33-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონი გაივლის. 469 რეკრუტს სამთვიან მომზადებას ქართველი სამხედრო ინსპექტორები ჩაუტარებენ. პროგრამა ითვალისწინებს ჩასაფრებისა და დაზვერვის ტექნიკის დაუფლებას, საველე პირობებში პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას. სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულია, ასევე, ტაქტიკური და საცეცხლე მომზადება და კავშირგაბმულობის გამართვის პროგრამების შესწავლა. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს უშიშროების ექსმინისტრ იგორ გიორგაძის მხარდამჭერი პარტია "სამართლიანობის" რიგგარეშე მეოთხე ყრილობა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში დღეს გაიმართება. მის მუშაობაში მონაწილეობას, 300 დელეგატის გარდა, პარტიის აქტივისტები და მოწვეული სტუმრები მიიღებენ. ყრილობა პრეზიდენტ სააკაშვილის მმართველობის შემდეგ ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე იმსჯელებს და შესაბამის დადგენილებას მიიღებს. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 6-10 ოქტომბერს სერბეთის ქალაქ პოდგორნიცაში ეუთო-ს მუდმივმოქმედი კომიტეტის სხდომა გაიმართება, რომელშიც, ნინო ბურჯანაძის თავმჯდომარეობით, საქართველოს საპარლამენტო დელეგაციაც მიიღებს მონაწილეობას. პოდგორნიცში გაიმართება, აგრეთვე, აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით ეუთო-ს კომიტეტის სხდომა, რომლის დროსაც 2006 წლის პირველი ნახევრის სამუშაო გეგმას განიხილავენ. რაც შეეხება მუდმივმოქმედ კომიტეტს, მისი მონაწილეები ეუთოს მომავალი წლის სამუშაო გეგმას შეიმუშავებენ, მათ შორის - ორგანიზაციის ზამთრის სესიის ორგანიზების, კონფლიქტების მოგვარების, უკანონო მიგრაციისა და ეროვნული უმცირესობების დაცვის საკითხებს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**ცხინვალი.** "ამერიკა კავკასიაში თავისი მიზნებისთვის იბრძოლებს, მაგრამ "სამხრეთ ოსეთის" გამო რუსეთს არ დაუპირისპირდება," - აცხადებს სეპარატისტული "სამხრეთ ოსეთის" პარლამენტის თავმჯდომარე ზნაურ გასიევი.

გასიევი ამ განცხადებას პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სიტყვების საპასუხოდ აკეთებს, რომლის მიხედვით, აფხაზეთისა და "სამხრეთ ოსეთის" კონფლიქტის ზონებში სამშვიდობო მისია აშშ-მ და ევროკავშირმა უნდა განახორციელონ. "ამერიკა კარგად აცნობიერებს რუსეთის ბირთვულ პოტენციალს და, ამის გამო, ღია დაპირისპირებისგან თავს იკავებს. ამერიკელები კავკასიის ომის განახლებასაც უფრთხიან. რუსეთთან კონფრონტაციაზე არც საქართველო წავა, რომელიც ძალაგამოცლილია. ასე რომ, რუსეთთან საქართველოს ომის რიტორიკა უსაფუძვლოა," - აცხადებს ზნაურ გასიევი. მისივე თქმით, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში რუსული მხარისთვის მშვიდობის გარანტად რუსეთის ყოფნა უფრო ახლობელია, ვიდრე აშშ-ს და ევროკავშირის, რადგან "რუსეთს და ოსეთს საუკუნეების მანძილზე საერთო ინტერესები აქვთ." **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ამ დღეებში, კრასნოდარის მხარის ტუაფსეს რაიონში, სამხრეთ რუსეთის საპარლამენტო ასოციაციის მეექვსე კონფერენცია გაიმართა. მასში მონაწილეობა სამხრეთ ფედერალური ოლქის საკანონმდებლო ორგანოების დელეგაციებმა მიიღეს. კონფერენციამ, სხვა საკითხებთან ერთად, საპარლამენტო ასოციაციაში აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პარლამენტის მიღების საკითხიც განიხილა. კონფერენციის მონაწილეებმა ასოციაციის რეგლამენტსა და წესდებაში შეიტანეს სათანადო ცვლილებები, რათა ასოციაციაში სეპარატისტული სოხუმის პარლამენტის მიღების წესი კონკრეტულად განსაზღვრულიყო. აფხაზეთის ლეგიტიმურ მთავრობაში აცხადებენ, რომ სამხრეთ რუსეთის საპარლამენტო ასოციაციის კონფერენციაზე აფხაზეთის საკითხის დასმა კონფლიქტის ზონაში რუსეთის დესტრუქციულ როლზე კიდევ ერთხელ მიუთითებს. ლეგიტიმური მთავრობის საინფორმაციო პოლიტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი ტაბლიაშვილი აცხადებს, რომ ასეთი კონფერენციები, რეალურად, რუსეთთან აფხაზი საზოგადოების ინტეგრაციასა და ასიმილაციას უწყობს ხელს, რაც აფხაზი ხალხის ინტერესებში არ შედის. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# კერძო დაცვა ქვეყნის სამსახურში

პირველი გვერდიდან

თუმცა, არის ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორიც, რაც ამჟამად საქართველოსთვის პრობლემას წარმოადგენს - დაცვის კერძო ინდუსტრია უნდა იყოს ლეგიტიმური და სახელმწიფო-არასახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომლობა კანონით დარეგულირებული. ჩატარებული კონფერენციაც სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა.

ზოგადად, საკითხის ისტორიას რაც შეეხება, კერძო დაცვისა და დეტექტიური საქმიანობის კანონპროექტი ჯერ კიდევ 90-იან წლებში მომზადდა და მაშინდელ პარლამენტს წარედგინა. კანონპროექტი ორი მოსმენით იქნა მიღებული, თუმცა, საბოლოოდ, მაინც პროექტის დონეზე დარჩა. როგორც საქართველოს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის ასოციაციის პრეზიდენტი დავით მუმლაძე აღნიშნავს, იმ დროისათვის ხელისუფლებას არ ჰქონდა ნება, სახელმწიფო ფუნქციის განხორციელების სიმძიმე საზოგადოებისთვის გადაენაწილებინა.

ევროკომისიის გავლენით, თუ სხვა ფაქტორის გამო, დღევანდელმა ხელისუფლებამ დაცვის კერძო ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობის ნება გამოთქვა. საკანონმდებლო ბაზის შესამუშავებლად გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები. პირველ ეტაპზე, ასოციაციაში კერძო დაცვისა და დეტექტიური საქმიანობის თაობაზე შემუშავდა კონცეფცია, რომლის საჯარო განხილვა პარლამენტში შედგა. შემდგომი ეტაპი იყო ის, რომ იურიდიული კომიტეტის თაოსნობით შეიქმნა მუშა ჯგუფი, რომელსაც კონკრეტული საკანონმდებლო წინადადებების შემუშავება დაევალა. ორი დღის წინ გამართული კონფერენციაც, მისი ორგანიზატორების განცხადებით, სწორედ ამ საქმიანობის გაგრძელებაა.



*კერძო დეტექტიური და დაცვითი საქმიანობის კანონმდებლობის მიღებით მრავალი პოზიტიური შედეგი მიიღწევა.*

**"დაცვის კერძო ინდუსტრიის თემა ძალზე მნიშვნელოვანია. ეს არის მაჩვენებელი იმისა, თუ რამდენად დემოკრატიულია სახელმწიფო, რამდენად მონაწილეობს საზოგადოება სახელმწიფო ფუნქციების განხორციელებაში. მარტო პოლიცია, დამოუკიდებლად, დაცვის განხორციელებას ვერ შეძლებს. ის დაცვის კერძო სამსახურებს უნდა დაეყრდნოს. შესაბამისად, თანამშრომლობის ფარგლები უნდა განისაზღვროს,"** – აცხადებს კერძო დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურების ასოციაციის პრეზიდენტი დავით მუმლაძე.

იგივე პოზიცია აქვს საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეს ლევან ბეჟაშვილს. მისი განმარტებით, საკითხით დაინტერესება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ დღეს კერძო დაცვითი ორგანიზაციები მოქმედებენ და დაცვას ახორციელებენ, პრაქტიკულად, საკანონმდებლო რეგულირების გარეშე.

**"რეალურად ეს საშიშროებას და გარკვეულ საფრთხეს წარმოადგენს როგორც საზოგადოებისათვის, ისე სახელმწიფოსთვის, რადგან იგი არანაირ ინფორმაციას არ ფლობს იმის თაობაზე, თუ ვინ არის აღნიშნულ სფეროში დასაქმებული, რამდენად პროფესიული კადრები არსებობს და, საერთოდ, რას საქმიანობენ ისინი, როდესაც ეხებიან უმნიშვნელოვანეს სფეროებს, როგორიც არის თითოეული ინდივიდის, მოქალაქის პირადი უსაფრთხოება,"** – ამბობს ბეჟაშვილი ჩვენთან საუბარში. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ სახელმწიფო, უწინარესად, ამ სფეროს საკანონმდებლო რეგულირებით უნდა იყოს დაინტერესებული. უნდა არსებობდეს სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურების ურთიერთთანამშრომლობა.

**"დღეს სახელმწიფო და ეს სტრუქტურები დაპირისპირებულები და კონკურენტები არიან. ჩვენი კომიტეტი მათ პარტნიორ სტრუქტურებად გადაქცევას ფიქრობს. ანუ რეალურად, ამგვარი კერძო სექტორი შსს-ს და უშიშროების სტრუქტურების გაგრძელება უნდა იყოს,"** – ხაზგასმით აღნიშნავს საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე.

საკანონმდებლო ბაზის შექმნით და თამაშის წესების განსაზღვრით კი, დაპირისპირებიდან თანამშრომლობაზე გადასვლა მოხდება, შეიქმნება ისეთი სტანდარტები, რომელთა განხორციელებასაც ზედამხედველობას სახელმწიფო ნამდვილად გაუწევს.

ლევან ბეჟაშვილის მყარი პოზიციაა, რომ სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა ქვეყნის შიდა უსაფრთხოების დაცვაში ძალიან მნიშვნელოვანია. სახელმწიფომ ეტაპობრივად უნდა მოიხსნას პასუხისმგებლობა, თუმცა, გარკვეული ზედამხედველობის და კონტროლის საშუალება ამ დაცვის სამსახურებზე მაინც უნდა ჰქონდეს.

და მაინც, რას ნიშნავს ამ სფეროში დამატებითი საკანონმდებლო რეგულირება და, შესაბამისად, რა ეტაპები უნდა განხორციელდეს საქართველოში.

სხვა სახელმწიფოების მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, როგორც წესი, უპირველეს ყოვლისა, მიიღება კანონი კერძო დაცვის საქმიანობის თაობაზე. საკანონმდებლო რეგულირება გულისხმობს ლიცენზირებას დაცვითი საქმიანობის სფეროში. რიგ ქვეყნებში სხვადასხვა საქმიანობისთვის სხვადასხვა დონის და სირთულის ლიცენზიებია.

საკანონმდებლო რეგულაციის შემდგომი ეტაპი განეკუთვნება ამ სფეროს უფლებამოსილებათა ჩამოყალიბებას, კერძო დაცვითი ორგანიზაციების თანამშრომლობას მის მომხმარებლებთან, პოლიციასთან და ხალხთან. აშშ-ში, ინგლისსა და ისრაელში ეს სფერო კანონითაა მოწესრიგებული, რიგ ქვეყნებში კი სხვა სპეციალური საკანონმდებლო აქტებია მიღებული.

რეგულაციის ცალკე სფეროა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხი კერძო დეტექტიურ ბიზნესში.

საკანონმდებლო რეგულირების დონეზეა ჩამოყალიბებული დაცვის სამსახურების სფეროში თანამშრომელთა სამუშაოდ აყვანის ძირითადი კრიტერიუმები. მაგალითად, ინგლისსა და შეერთებულ შტატებში უპირობო მოთხოვნაა: მძიმე დანაშაულში მსჯავრდებული პირის აყვანა დაცვის სამსახურში არ შეიძლება.

არც ერთ ქვეყანაში ეს სფერო სასწავლო ცენტრების გარეშე არ არსებობს. სასწავლო ცენტრის საქმიანობის ძირითად კრიტერიუმებს, უმრავლეს შემთხვევაში, სახელმწიფო საკანონმდებლო აქტით ადგენს. შსს, განათლების სამინისტრო და ზოგჯერ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო ამტკიცებს სასწავლო ცენტრების საგანმანათლებლო პროგრამას, სხვა ძირითად პირობებს და შემდგომ მონიტორინგშიც აქტიურად ერევა.

ზოგჯერ, დაცვის სამსახურების მენეჯმენტისთვისაც კი დამატებითი კვალიფიკაციებია დაწესებული.

ევროპაში ამ სფეროს განვითარების მაღალ დონეზე კერძო დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების მძლავრი ქსელის არსებობა მიუთითებს. მეტიც, ევროპული საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მიღებულია "კერძო დაცვის ევროპული სტანდარტები", რომლებიც აღიარებულია ამ ორგანიზაციის ყველა წევრი-ქვეყნის მიერ.

და ბოლოს, დაცვისა და უსაფრთხოების კერძო სამსახურების ასოციაციის პრეზიდენტის დავით მუმლაძის მოსაზრებით, კერძო დეტექტიური და დაცვითი საქმიანობის კანონმდებლობის მიღებით მრავალი პოზიტიური შედეგი მიიღწევა. კერძოდ: ინდუსტრიის განვითარება ხელს შეუწყობს საქართველოს ინტეგრაციას ევროპასთან, ამ ასოციაციის ევროპულ სტრუქტურებში გაწევრიანებით; ამიერკავკასიის რეგიონში საქართველოს, როგორც ცენტრალური ქვეყნის, ფუნქციის გაღრმავებას; ძალოვანი სტრუქტურების ოპტიმიზაციის ფონზე, დაცვის კერძო სამსახურების მონაწილეობას რეზერვისტთა ბატალიონებში, სამაშველო ღონისძიებებში, ფორსმაჟორულ ღონისძიებებში. მასობრივი არეულობების დროს მნიშვნელოვან პროფილაქტიკურ ფუნქციას; დაცვის სამსახურების საქმიანობის დაახლოებას სადაზღვევო და საბანკო სტრუქტურებთან.

# პატიოსანი გამარჯვება

პირველი გვერდიდან

გაერთიანებულმა ოპოზიციამ წაგება აღიარა. ოღონდ, საჯაროდ განაცხადა, რომ ხელისუფლების გამარჯვება უშუალოდ უკავშირდებოდა ამომრჩევლის წინასწარ მოსყიდვას, დაშინებას, საარჩევნო სიებით მანიპულირებას. რაც შეეხება თავად კენჭისყრის პროცედურებს, ოპოზიცია იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ დარღვევები მნიშვნელოვანი არ ყოფილა.

წინასწარი მონაცემებით, ისანში კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 16 368 ამომრჩეველმა. ბიძინა ბრეგაძემ ხმათა, დაახლოებით, 53 პროცენტი მოიპოვა. ტყიბულში საარჩევნო უბნებზე 11 609 ამომრჩეველი მივიდა. პავლე კუბლაშვილმა ხმათა 80 პროცენტზე მეტი მოიპოვა. ბათუმში ჯემალ ინაიშვილს ამომრჩეველთა 74-მა პროცენტმა მისცა ხმა (ამ ოლქში არჩევნებში სულ 11 101 ამომრჩეველი მონაწილეობდა). ქობულეთში კობა ხაბაზმა ამომრჩეველთა 69 პროცენტის სიმპათია დაიმსახურა (უბნებზე 20 919 ამომრჩეველი მივიდა). რაც შეეხება შუახევს, იქ ელგუჯა მაკარიძემ გაიმარჯვა და ხმათა, დაახლოებით, 70 პროცენტი მოიპოვა (შუახევში 7 855-მა ამომრჩეველმა მიაკითხა საარჩევნო უბნებს).



*თავად ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არჩევნების მიმდინარეობით კმაყოფილნი არიან.*

არჩევნებს რამდენიმე ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია აკვირდებოდა. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები აღიარებენ, რომ არჩევნები, მთლიანობაში, ობიექტურად მიმდინარეობდა და საარჩევნო ადმინისტრაციებმა კანონის თანახმად იმოქმედეს. "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" (*ISFED*) დამკვირვებელთა ინფორმაციით, **"ყველა საარჩევნო უბანზე კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების მისაღებად, საუბნო საარჩევნო კომისიების მხრიდან კანონით დადგენილი პროცედურით მოწმდებოდა ამომრჩეველთა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები. გამონაკლისი დაფიქსირდა ქობულეთის N43 საარჩევნო უბანში, სადაც ერთმა ამომრჩეველმა პასპორტის ქსეროასლით მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა... საარჩევნო უბნები დაიხურა კანონის შესაბამისად და რიგში მდგომ ამომრჩევლებს მიეცათ ხმის მიცემის შესაძლებლობა. კენჭისყრის მიმდინარეობისას და უბნების დახურვის დროისთვის არაუფლებამოსილი პირების ყოფნა საარჩევნო უბნებზე არ დაფიქსირებულა, ერთი გამონაკლისის გარდა... გადასატანი ყუთის უბანში დაგვიანებით შემოსვლის ფაქტები დამკვირვებლებს არ აღუნიშნავთ."**

"სამართლიანი არჩევნების" თავმჯდომარის თამარ ჟვანიას თქმით, პრობლემები საარჩევნო სიებს უკავშირდებოდა. მან ხელისუფლების და ცესკო-ს ყურადღება სწორედ ამ საკითხზე გაამახვილა.

თავად ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არჩევნების მიმდინარეობით კმაყოფილნი არიან. რაც შეეხება დარღვევებს, კომისიის თავმჯდომარის გია ქავთარაძის თქმით, საარჩევნო კომისიებში შესული ყველა საჩივარი დეტალურად იქნება შესწავლილი.

# ყაზახეთს საქართველოში სერიოზული ეკონომიკური ინტერესები აქვს

პირველი გვერდიდან

რომ ქართველ და ყაზახ ხალხს შორის მრავალწლიანი ურთიერთობის გარდა, ყაზახეთს საქართველოში სერიოზული ეკონომიკური ინტერესები აქვს.

ნაზარბაევის თქმით, მიხეილ სააკაშვილის ყაზახეთში ვიზიტისას საქართველოსა და ყაზახეთის მთავრობის წარმომადგენლებმა რამდენიმე ერთობლივი პროექტი შეიმუშავეს, რომელიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის განვითარებას, რაც ორივე ქვეყნისთვის მომგებიანი იქნება.

ჟურნალისტებთან ხანმოკლე ურთიერთობის შემდეგ, პრეზიდენტებმა კატარღაში გადაინაცვლეს და ბობოყვათის სამთავრობო რეზიდენციისკენ გაემართნენ.

ნაზარბაევმა გუშინ ბათუმის ცენტრალური პარკისა და გონიოს ციხის დათვალიერებაც მოასწრო.

ოფიციალური, საქმიანი შეხვედრები დღეს თბილისშია დაგეგმილი.

საქართველოს პარლამენტში დაგეგმილი ოფიციალური ცერემონიალის შემდეგ ორი ქვეყნის პრეზიდენტი ერთმანეთს პირისპირ შეხვდება. პრეზიდენტების დიალოგისა და სამთავრობო დელეგაციების საქმიანი შეხვედრების შემდეგ ხელი მოეწერება ერთობლივ დოკუმენტებს.

მიხეილ სააკაშვილი და ნურსულთან ნაზარბაევი ერთობლივ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტების კითხვებსაც უპასუხებენ. როგორც საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში აცხადებენ, მხარეები ხელს მოაწერენ შეთანხმებას ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ. დღის წესრიგით გათვალისწინებულია, ასევე, ენერგეტიკასთან, ტრანსპორტთან და საბანკო სფეროსთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. საუბარი იქნება, ასევე, ყაზახური ბიზნესის საინვესტიციო გააქტიურებაზე საქართველოში. შეგახსენებთ, რომ რესპუბლიკის მოედნის რეკონსტრუქციით სწორედ უმსხვილესი ყაზახური ბანკი "ტურან ალემია" დაკავებული.

დღის მეორე ნახევარში ყაზახეთის პრეზიდენტი საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალს გვირგვინებით შეამკობს, დაათვალიერებს ჯვრის მონასტერს და სახელმწიფო მუზეუმს.

ნაზარბაევი საქართველოდან 4 ოქტომბერს გაემგზავრება.

საქართველოს პრეზიდენტის პირველი ოფიციალური ვიზიტი ყაზახეთში მიმდინარე წლის 30 მარტს შედგა. ასტანაში ორი ქვეყნის პრეზიდენტების საუბრის მთავარი თემა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტში ყაზახეთის მონაწილეობა გახლდათ.

*24 საათი*

# პირველი ოქტომბრის არჩევნების ორი პოლიტიკური "განზომილება"

პირველი გვერდიდან

**"თუ ჩვენი პარტიის წარმომადგენელი კენჭს არ იყრის, ბათუმელები ამას არჩევნებად აღარ თვლიან. როდესაც ხელისუფლება თავისი ფავორიტის მხარდასაჭერად არჩევნებზე ხალხის მიყვანას ვერ ახერხებს, ეს იმის მანიშნებელია, რომ მისი რეიტინგი დაბალია,"** - მიიჩნევს ბერძენიშვილი.

მისი აზრით, ქობულეთში თავად პრეზიდენტი სააკაშვილი ხელმძღვანელობდა კობა ხაბაზის წინასაარჩევნო კამპანიას და ამ უკანასკნელს ძალით გაამარჯვებინეს. **"უამრავ რეგისტრირებულ ამომრჩეველს ხმის მიცემის საშუალება არ მისცეს,"** - ოპოზიციონერი დეპუტატი ყურადღებას საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევაზეც ამახვილებს.

**"ხელისუფლების მდგომარეობა კრიტიკულია. ეს მათ თავადაც იციან და რამდენიც უნდა ილაპარაკონ, ხუთივე საარჩევნო ოლქი მოვიგეთო, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში სრული კრახი ელოდებათ,"** - ვარაუდობს "რესპუბლიკელების" წარმომადგენელი.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს სიტუაციის გამწვავებას გარდაუვლად მიიჩნევს "კონსერვატიული პარტიის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი კახა კუკავა. **"მშვიდობიანი მეთოდებით არჩევნებს ველარ ჩაატარებთ. ვშიშობ, ფიზიკური შეტაკებები მოხდება ხელისუფლებასა და იმ ამომრჩევლებს შორის, რომლებიც უბნებზე მივლენ, მაგრამ ხმას არ მიაცემინებენ. ასეთ ელექტორატს ოპოზიცია აუცილებლად დაიცავს და ვინაიდან ხელისუფლება ამას წინააღმდეგობას გაუწევს, 2003 წლის 23 ნოემბერი განმეორდება,"** - ახალ რევოლუციას წინასწარმეტყველებს კობა დავითაშვილის თანამებრძოლი.

კახა კუკავას თქმით, 1 ოქტომბრის არჩევნებმა რეალურად ვერ ასახა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დღეს არსებული ძალთა თანაფარდობა. ამის მიზეზად დეპუტატი იმ დარღვევებს ასახელებს, რომლებსაც წინასაარჩევნო კამპანიისა და უშუალოდ არჩევნების პროცესში ჰქონდა ადგილი.

**"პროსახელისუფლებო კანდიდატების სასარგებლოდ ძალიან დიდი საბიუჯეტო სახსრები დაიხარჯა, ამასთან, გამოყენებული იქნა გამგებლებისა და პოლიციის ადმინისტრაციული რესურსი. თუმცა, ყველაზე სერიოზული დარღვევები მაინც საარჩევნო სიებს უკავშირდება. 1 ოქტომბერს განმეორდა ის, რაც 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში მოხდა,"** - ამტკიცებს კახა კუკავა.

"მემარჯვენე ოპოზიციის" წევრი ფიქრია ჩიხრაძე არ მალავს, რომ შუალედურ არჩევნებში უკეთეს შედეგს ელოდა, თუმცა, იქვე შენიშნავს, რომ გამარჯვების მაინცდამაინც დიდი ილუზია არ ჰქონდა. **"ვიცოდით, ხელისუფლება მილიონებს დახარჯავდა იმისთვის, რომ რომელიმე საარჩევნო ოლქში ოპოზიციის გამარჯვების პრეცედენტი არ შექმნილიყო,"** - აცხადებს პარლამენტარი.

მისი აზრით, პრაიმერის შემდეგ ხელისუფლება გვარიანად შეშინდა და შუალედურ არჩევნებში გასამარჯვებლად მთელი ადმინისტრაციული რესურსი ჩართო. ფიქრია ჩიხრაძე აღნიშნავს, რომ იმ საარჩევნო უბნებში, რომელშიც პრაიმერის დროს ოპოზიციის კარგი შედეგები დაფიქსირდა, 1 ოქტომბერს ხელისუფლების მხრიდან უდიდეს ზეწოლას ჰქონდა ადგილი. თავისი ნათქვამის საილუსტრაციოდ, შუახევის საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა დაშინების, დაშანტაჟების თუ სიიდან ამოყრის კონკრეტულ ფაქტებს ასახელებს.

**"ეს ამ ხელისუფლების ბოლო გამარჯვება იყო,"** - აცხადებს ჩიხრაძე, რომელიც დარწმუნებულია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ოპოზიცია გაცილებით უკეთეს შედეგებს მიაღწევს.

1 ოქტომბრის შუალედურ არჩევნებს აბსოლუტურად საპირისპირო შეფასებას აძლევს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. როგორც ქვეყნის ლიდერი მიიჩნევს, ოპოზიციას კოვზი ნაცარში ჩაუვარდა და ყველამ დაინახა, რომ დღევანდელი ხელისუფლება კიდევ უფრო ძლიერი გახდა.

**"მიუხედავად იმისა, რომ შუალედური არჩევნები ოპოზიციის არჩევნებად ითვლება, რომლის დროსაც საპროტესტო ელექტორატი მძლავრობს, 1 ოქტომბერს ასეთი რამ არ მომხდარა და ოპოზიცია ყველა ოლქში პირწმინდად დამარცხდა,"** - აცხადებს მიხეილ სააკაშვილი, რომელიც იქვე შეშფოთებასაც გამოხატავს იმასთან დაკავშირებით, რომ **"ამ არჩევნებში ოპოზიციას კატასტროფული მაჩვენებელი ჰქონდა".**

საქართველოს პრეზიდენტის თქმით, 1 ოქტომბრის არჩევნების მთავარი დასკვნა ის არის, რომ ტყუილების, ცილისწამებების და ისტერიული ფონის შექმნის ნაცვლად, ყველა პოლიტიკურმა ძალამ საზოგადოებას პოზიტიური სამოქმედო პლატფორმა უნდა შესთავაზოს.

# გიორგაძის პარტია თელავშიც დაარბიეს

გუშინ თელავში იგორ გიორგაძის პარტიის -"სამართლიანობა" - კახეთის რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელს გია წიქარიშვილს ოფისის მინები ჩამსხვრეული დახვდა. დათვალიერების შედეგად კი გაარკვია, რომ მთლიანად მწყობრიდანაა გამოსული საოფისე ავეჯი და მოპარულია ტელევიზორი, კედლის საათი. წაღებულია პარტიისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია და დროშები. წიქარიშვილი მომხდარს "პოლიტიკურ დევნას" უკავშირებს. მისი თქმით, ოფისის დარბევამდე რამდენიმე დღით ადრე, მის მობილურზე მუქარის ანონიმური ზარები გაისმა. **"იმ შემთხვევაში, თუ პარტიის ყრილობაზე კახეთიდან დელეგატებს წავიყვანდი, ჩემი და ჩემი ოჯახის ლიკვიდაციით მემუქრებოდნენ. მომხდარს მე პარტიის საქმიანობაზე ზეწოლას და იმ პროცესების გაგრძელებას ვუკავშირებ, რაც ჩვენი თანაპარტიელების მიმართ სხვა რეგიონებში განხორციელდა,"** - აცხადებს გია წიქარიშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ შემთხვევის ადგილზე დროულად გამოცხადდა თელავის რაიონული პოლიცია, სამართალდამცავებს მომხდართან დაკავშირებით, ჯერჯერობით, არანაირი ვერსია არ გააჩნიათ.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**ერაყი**. ერაყის დასავლეთში, სირიის საზღვართან ამერიკელმა სამხედროებმა ბოევიკების წინააღმდეგ მაშტაბური ოპერაცია ჩაატარეს. ერაყში დისლოცირებული აშშ-ს ჯარების სარდლობის წარმომადგენელთა თქმით, ოპერაცია სახელწოდებით "რკინის მუშტი" გუშინ დილით დაიწყო და მასში 1000-მდე ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობდა. როგორც იუწყებიან, ამერიკული სამხედრო ტექნიკა ქაიმში, ასევე ახლომდებარე ქალაქებში ქარაბილაში და სედეაში შევიდა. ქაიმის ცენტრალური საავადმყოფოს ერთ-ერთი ექიმის თქმით, სამხედროებთან შეტაკებებში 10 ადამიანი დაიღუპა და კიდევ რვა დაიჭრა. თვითმხილველები აცხადებენ, რომ სამხედროებმა ქალაქში შეჭრამდე ქალაქ სედეას საჰაერო დარტყმების სერია მიაყენეს. ადრე გავრცელებული ინფორმაციით, ერაყის "ნომერ პირველი ტერორისტის" აბუ მუსაბა აზ ზარქავის ბოევიკებმა ერაყის დასავლეთში რამდენიმე ქალაქი დაიკავეს და იქ ისლამური მმართველობა დაამყარეს. ზოგიერთი მონაცემით, აზ-ზარქავი დაპყრობილ ქალაქებს "ქაიმის ისლამურ რესპუბლიკას" უწოდებს. ***ინტრეპრესნიუსი***

■ ■ ■

**რუსეთი**. კამჩატკაზე, რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის საწყობებში, საბრძოლო მასალების აფეთქებები გრძელდება. როგორც იუწყებიან, აფეთქებების მიზეზი უტილიზაციისთვის გამზადებული საარტილერიო ჭურვების აალება გახდა, თუმცა ეს მხოლოდ წინასწარი ვერსიაა. ხანძრის ჩაქრობა, ჯერჯერობით, ვერ ხერხდება. ცეცხლმოკიდებული საწყობები პეტროპავლოვსკ-კამჩატკიდან 80 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. უბედურების ზონიდან დაახლოებით 7000 ადამიანია ევაკუირებული. ოფიციალური მონაცემებით, მსხვერპლი არ არის. ოთხი ადამიანი ჩამსხვრეული მინებით დაიჭრა. აფეთქების ფაქტზე "უსაფრთხოების ტექნიკის დარღვევის" და "გულგრილობის" მუხლებით სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. ***ინტერპრესნიუსი***

■ ■ ■

**აშშ.** ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ყოფილ პარტნიორებს, აშშ-სა და უზბეკეთს შორის დაპირისპირება იზრდება. აშშ-ს კონგრესში შეტანილია რეზოლუციის პროექტი უზბეკეთის პრეზიდენტის, ისლამ კარიმოვის საერთაშორისო კანონმდებლობით გასამართლების თაობაზე. საგულისხმიოა ისიც, რომ თეთრმა სახლმა უზბეკეთს პოტენციური დახმარების, 20 მილიონი აშშ დოლარის, მიცემა შეუწყვიტა. ოფიციალური ტაშკენტი გარკვეულ სანქციათა დაწესებას ევროკავშირის მხრიდანაც ელის. ევროკავშირის წევრ ქვეყანათა შინაგან საქმეთა სამინისტროებმა ექსპერტებს უკვე დაავალეს უზბეკეთისთვის ფინანსური და სხვა სახის დახმარებათა შემცირების საკითხის შესწავლა. უზბეკეთის ზოგიერთ ჩინოსანს, კერძოდ ანდიჟანში მომხდარი ტრაგედიის დროს ძალოვანთა ქმედებებზე პასუხისმგებელ პირებს, შესაძლოა ევროკავშირის ქვეყნებში შესვლა აეკრძალოთ. დღეისთვის ისლამ კარიმოვის პოლიტიკურ მოკავშირედ რუსეთი რჩება. ***24 საათი***

## ს.ს.ი.პ. "საზოგადოებრივი მაუწყებელი" აცხადებს კონკურსს საინფორმაციო პროგრამის წამყვანის თანამდებობაზე მოთხოვნები

- ასაკი - 25-დან 40 წლამდე;
სასიამოვნო გარეგნობა;
- სასიამოვნო ხმის ტემბრი;
ქართული ენის სრულყოფილი ცოდნა;
- უცხო ენის ცოდნა (სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი);
გამართული მეტყველება;
- უმაღლესი განათლება;
ეთერში მუშაობის გამოცდილება (სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი);
- ორგანიზებულობა;
კომუნიკაბელობა;
- გუნდური მუშაობის უნარი.

მსურველებმა ს.ს.ი.პ. "საზოგადოებრივი მაუწყებელი"-ს მოქალაქეთა მისაღებში უნდა შეავსონ ანკეტები და დაურთონ 3 ფოტო (9X13) - პორტრეტი, სამ სხვადასხვა რაკურსში. ანკეტების მიღება იწარმოებს 21 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე.

**მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. 68**

## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განცხადება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო აცხადებს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდებში მონაწილეობის მსურველთა საბუთების მიღებას.

მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

- განცხადება მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების შესახებ (განცხადება შეივსება ადგილზე)
- უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომი, ნიშნების ფურცელი) დედანი და ასლი
- ავტობიოგრაფია
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და მისი ასლი
- ორი ფერადი ფოტოსურათი ზომით 3X4

საბუთები მიიღება 2005 წლის 4 ოქტომბრიდან 19 ოქტომბრამდე ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა, 1100-დან 1600 საათამდე, შესვენება 1400-დან 1500 საათამდე, შემდეგ მისამართზე - ბოჭორმის ქ. N12 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საკვალიფიკაციო გამოცდის საორგანიზაციო კომისია, პირველი სართული: საერთო სპეციალიზაცია - ოთახი N4, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაცია - ოთახი N11, სისხლის სამართლის სპეციალიზაცია - ოთახი N12.

საგამოცდო ფურცლების გაცემა იწარმოებს 24-25 ოქტომბერს.

მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდებზე დასწრების სურვილის მქონე საზოგადოებრივი მეთვალყურეები უნდა დაგვიკავშირდნენ 2005 წლის 24 ოქტომბერს. მათი აკრედიტაცია მოხდება 25 ოქტომბერს.

**დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, შემდეგ ტელეფონზე: 27-31-00.**

OSCE

## ეუთოს მისია საქართველოში აცხადებს ტენდერს ავტო-სარემონტო სახელოსნოს მომსახურების გამოყენებაზე

ეუთოს მისია საქართველოში იწვევს კვალიფიცირებულ კომპანიებს მონაწილეობის მისაღებად ტენდერში:
ავტო-სარემონტო სახელოსნოს მომსახურების გამოყენება

ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს უნდა გაგაჩნდეთ სათანადო სახელმწიფო ლიცენზიები და დოკუმენტაცია.
დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა მოითხოვონ სატენდერო მასალები და გაგზავნონ შემდეგი ინფორმაცია:
1. განაცხადი მონაწილეობის შესახებ (დაინტერესების წერილი). 2. კომპანიის მოკლე აღწერილობა.
ინგლისურ ენაზე, მისამართზე, Adolf.Turek@osce.org
ინფორმაციის მიღების ბოლო ვადა:
2005 წლის 3 ოქტომბერი, 18:00.

# სტაბილურობა თუ დემოკრატიზაცია

### განხორციელდება თუ არა "ფერადი რევოლუცია" აზერბაიჯანში?

პირველი გვერდიდან

2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ საერთაშორისო ურთიერთობებში ახალი ეტაპი დაიწყო. თეთრი სახლის მთავარი პრიორიტეტი არშემდგარი სახელმწიფოების, როგორც ტერორიზმისთვის ნოყიერი ნიადაგის, ლიკვიდაცია გახდა.

არშემდგარი სახელმწიფოს (Failed State) თემა სწორედ ამ პერიოდში გახდა აქტუალური. მასზე საუბარი, როგორც კორუმპირებული, არალეგიტიმური მმართველობის მოდელზე, პირველებმა ამერიკელებმა დაიწყეს. შესაძლოა, ზოგიერთი პარამეტრით, არშემდგარი სახელმწიფოს ყველა კრიტერიუმს "ფერადი რევოლუციის" ზოგიერთი ქვეყანა არ აკმაყოფილებდა, მაგრამ ძირითადი მიზანი დემოკრატიის გავრცელება და ამის შედეგად თავად განვითარებული სამყაროს უსაფრთხოების გაძლიერება იყო. **"ჩვენ ვიცით, რომ დემოკრატიები არ წარმოშობენ ტერორს და არ იპყრობენ მეზობლებს. დემოკრატიული საზოგადოებები – მშვიდობიანი საზოგადოებებია; სწორედ ამიტომ, ისევ და ისევ მშვიდობისთვის, მსოფლიოს განვითარებულმა დემოკრატიებმა ხელი უნდა შეუწყონ ახალგაზრდა დემოკრატიების წარმატებას,"** – ეს აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის განცხადებაა, რომელიც სრულად ასახავს მისი ადმინისტრაციის პოლიტიკას (დემოკრატიული სახელმწიფოები ხომ ერთმანეთს არ ებრძვიან – კიდევ ერთი ამერიკული თეორია საერთაშორისო ურთიერთობებში).

თავდაპირველად, დემოკრატიის გავრცელების მოდელი წარმატებით განხორციელდა მანამდე ომით დაძაბუნებულ სერბეთში. მას შემდეგ "ფერადი რევოლუციის" საშუალებით დემოკრატიის დამკვიდრების მცდელობას მინიმუმ ორჯერ კიდევ ჰქონდა ადგილი (საყოველთაო შეფასებებით, ყირგიზეთის "ტიტების რევოლუცია" საერთო სცენარში არ ჯდებოდა).

საქართველოსა და უკრაინაში მომხდარი რევოლუციების შემდეგ მიმომხილველთა უმრავლესობა ერთადერთ კითხვას სვამდა – ვინ იქნება შემდეგი?

ბოლოდროინდელი "ხავერდოვანი რევოლუციების" ანალიზიც ცხადყოფს, რომ, ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანა, სადაც არჩევნებია




საპროტესტო გამოსვლები ბაქოს ცენტრში.

მოსალოდნელი, რევოლუციური გარდაქმნების საშიშროების წინაშე დგება.

რასაკვირველია, მეტ-ნაკლებად გაყალბებული საარჩევნო პროცესი აპრიორი "რევოლუციას" არ იწვევს. უკრაინის შემდეგ, მსგავსი (გარეგნულად და არა შედეგებით) მოვლენები მხოლოდ ყირგიზეთში განხორციელდა. შესაძლოა, პირველად "ფერადი რევოლუციების" დისკრედიტაციაც აქედან დაიწყო. პარადოქსული იყო, რომ არჩევნების გაყალბების ბრალდებით ქუჩაში გამოსულმა და შემდეგში გამარჯვებულმა ოპოზიციამ, მშვიდად განაგრძო "კორუმპირებულთა" პარლამენტთან მუშაობა.

სხვა ხასიათის მაგალითი იყო მოლდოვა, რომელმაც საარჩევნო პროცესის მიუხედავად "რევოლუცია" თავიდან აიცილა. ბუნებრივია, ეს ფაქტი იმით იყო გამოწვეული, რომ "რევოლუციების" გარედან თანამგრძნობთ სულაც არ სურდათ კიშინიოვში მასობრივი გამოსვლები. პირიქით, მოლდოვაში სახალხო ამბოხის დაწყება სწორედ "რევოლუციების" სასტიკ მოწინააღმდეგე რუსეთს აძლევდა ხელს. ასეთივე სცენარით განვითარდა მოვლენები მეზობელ რუმინეთშიც – დასავლეთის ზეწოლის შედეგად ილიესკუ საკუთარი ნებით დაემშვიდობა მმართველის მაცდუნებელ ტიტულს.

რევოლუციური საშიშროების წინაშე დგას აზერბაიჯანიც. თუმცა, ბაქოში მასობრივ გამოსვლებს საქართველოში მომხდარ მოვლენებამდეც ჰქონდა ადგილი, მაგრამ მაშინ, მთელი რიგი მიზეზების გამო, საქმე "რევოლუციამდე" არ მისულა.

რა მოხდება ნოემბერში, ძნელია იწინასწარმეტყველო. მართალია, ოპოზიცია დღეს გაცილებით ძლიერი და უკეთესად მომზადებულია (მათ შორის, სხვა ქვეყნების გამოცდილებითაც გამდიდრებული), ვიდრე ორი წლის წინ, მაგრამ ისევე როგორც 2003 წელს, აზერბაიჯანში "რევოლუციის" წარმატებით დაგვირგვინებას წელსაც, შესაძლოა, უცხოური ნავთობკომპანიების მრავალმილიარდიანმა კონტრაქტებმა "შეუშალოს ხელი".

მეტად მრავლისმთქმელი იყო ორი დღის წინ "ფაინენშლ თაიმს"-ში გამოქვეყნებული ჯორჯ სოროსის ინტერვიუ. კაცი, რომელსაც "ბოროტი ენები" ფერადი რევოლუციების ერთ-ერთ სულისჩამდგმელად ასახელებენ, აზერბაიჯანს მოუწოდებს, რომ უარი თქვას სახალხო ამბოხზე. **"ნავთობით მდიდარმა აზერბაიჯანმა ყველას უნდა დაუმტკიცოს, რომ ნამდვილი დემოკრატიის დამყარება რევოლუციის გარეშეც შეუძლია,"** – განაცხადა სოროსმა და კატეგორიულად უარყო აზერბაიჯანში ხავერდოვანი რევოლუციის მოლოდინი.

მაინც რა უშლის ხელს აზერბაიჯანის "ხავერდოვან" გარდაქმნას? განა იქ ნაკლებად კორუმპირებული სახელმწიფო აპარატია? ან არჩევნების დროს მანიპულაციები არ ხდება? თუ სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობებია ჰარმონიული? რასაკვირველია, არც ერთი, არც მეორე და მეტ-ნაკლები ხარისხით არც მესამე კითხვა აზერბაიჯანის შემთხვევაში დადებითი პასუხის საშუალებას არ იძლევა. თუმცა, ბაქოში 2003 წლის ნოემბერში თბილისში მომხდარის განმეორება მაინც სათუოა.

მთავარი, რაც აზერბაიჯანს საქართველოსგან განასხვავებს, სტრატეგიული რესურსებია, რომელიც თავის მხრივ ძლიერი "პატრიმონიული" სახელმწიფო მართვის სისტემის საშუალებას იძლევა. მხოლოდ ძლიერ სახელმწიფო აპარატს, რომელსაც საპირისპიროდ მორჩილი, უმნიშვნელო სამოქალაქო საზოგადოება ან "გასვრილი" ოპოზიცია ჰყავს, შეუძლია, იგნორირება გაუკეთოს იმ საზოგადოებას, რომელსაც მართავს.

ნავთობიდან მიღებული შემოსავლები სახელმწიფოს "პატრონაჟისთვის" მდიდარ წყაროებს აძლევს ილჰამ ალიევს და თითქმის გამორიცხავს პოლიტიკური ოპოზიციის რაიმეგვარ გავლენას.

გარდა ამისა, ისიც ფაქტია, რომ დასავლური ინტერესები და მათი გამომხატველი საერთაშორისო ორგანიზაციები გაცილებით შემრიგებლურები არიან ისეთი არადემოკრატიული რეჟიმების მიმართ, სადაც ასეთი სტრატეგიული რესურსები არსებობს - ისევ და ისევ, "სტაბილურობის" შენარჩუნების თვალსაზრისით. თუმცა, ასეთ "ავტოკრატიულ" რეჟიმებსაც კარგად უნდა ესმოდეთ, რომ აშშ-სთან მეგობრობის გარეშე "სტაბილურობაზე" ოცნება თუ შეიძლება.

მაგრამ რას ნიშნავდა ჯერ კიდევ მაისში აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მიერ წარმოთქმული სიტყვები: **"საოცარ დროში ვცხოვრობთ... რადგანაც თავისუფლება მთელი მსოფლიოს მასშტაბით უპრეცედენტო პროგრესს აღწევს. ბოლო წელიწადნახევარში ჩვენ მოწმენი გავხდით ვარდების, ნარინჯისფერი, მეწამული, ტიტებისა და კედრების რევოლუციების. და ეს მხოლოდ დასაწყისია. კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ცვლილებების იმედი ჩაესახათ – და ეს ცვლილებები დადგება"** - იყო თუ არა იგი, ფაქტობრივად, გაფრთხილება ილჰამ ალიევის მისამართით?

# თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ბოლონიის უნივერსიტეტთა დიდ ქარტიას უერთდება

მსოფლიოს უძველესი - ბოლონიის უნივერსიტეტი ა.წ. 15-16 სექტემბერს უნივერსიტეტთა დიდი ქარტიის ხელმოწერის ცერემონიალსა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას მასპინძლობდა. ავსტრიის, სამხრეთ აფრიკის, ესპანეთის, გერმანიის, ისრაელის, პოლონეთის, ჩეხეთის, უკრაინის და სხვა ქვეყნების 26 უნივერსიტეტს შორის იყო ერთი ქართული უნივერსიტეტი - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, რომლის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა ალექსანდრე თელიამ თავისი ხელმოწერით მსოფლიოს ყველაზე ავტორიტეტული 528 უნივერსიტეტის ერთიანი ძალისხმევის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს - უნივერსიტეტთა დიდ ქარტიას ქართველ პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა თანადგომა და ერთიანობა დაუდასტურა. ბოლონიის ხელმოწერა 2005 წლის 20 მაისის ბერგენის ისტორიული დოკუმენტის ლოგიკური მორიგი ეტაპია. სწორედ ბერგენში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ ხელმოწერით ოფიციალურად მიუერთა ქართული საგანმანათლებლო სივრცე ევროპულს.

ბოლონიის პროცესის ძირითად ღირებულებებზე მსჯელობდნენ ბოლონიაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე უნივერსიტეტთა რექტორები და ავტორიტეტული ექსპერტები. კონფერენციაზე მრავალი საჭირბოროტო საკითხი წამოიჭრა. საუბარი იყო ახალ ტენდენციებზე ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში. სლოვაკეთის სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა შვარცმა ხაზი გაუსვა უმაღლესი სამედიცინო სკოლების დამოუკიდებელ ინსტიტუციურ ერთეულებად არსებობის საჭიროებას, რასაც ვენის უნივერსიტეტის პროფესორი ფელტიც დაეთანხმა. სანდერლენდის უნივერსიტეტის პროფესორმა მასკარდინიმ, შეაფასა რა პოსტსაბჭოთა ქვეყნების უნივერსიტეტების განვითარების მდგომარეობა, დაბეჯითებით მოითხოვა მათთვის საერთაშორისო თანამეგობრობის ქმედითი მხარდაჭერა.

კონფერენციის ძირითადმა თემატიკამ - სწავლებასა და კვლევებში ინსტიტუციური ბალანსი და უნივერსიტეტთა ავტონომია, მრავალი საკითხი გამოიტანა სამსჯავროზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ უნივერსიტეტთა დიდ ქარტიაზე ხელმოწერა არა მხოლოდ პატივია მსოფლიოს უნივერსიტეტთათვის, არამედ ვალდებულებაც და პასუხისმგებლობაცაა საერთაშორისო საგანმანათლებლო გაერთიანების წინაშე. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლონიის უნივერსიტეტმა თვით დააფინანსა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დელეგაციის ვიზიტის ხარჯები.

ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციას "მაგნა ქარტა ობსერვატორი"-ს გარკვეულწილად მონიტორინგის ფუნქციაც გააჩნია. შემთხვევითი არ იყო ის ფაქტიც, რომ დიდი ქარტიის ხელმომწერთა დიდ უმრავლესობას ევროპის უნივერსიტეტთა საერთაშორისო ასოციაციის საექსპერტო შეფასებები აქვს მიღებული. გამონაკლისს არც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი წარმოადგენს. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაღალი საერთაშორისო რეპუტაცია კიდევ ერთხელ დაადასტურა წელს მის ინგლისურენოვან სამკურნალო ფაკულტეტზე ჩარიცხულმა 34-მა უცხოელმა სტუდენტმა. სასიხარულოა ის გარემოება, რომ ქართული უმაღლესი სამედიცინო სკოლა უცხო ქვეყნების მოქალაქეებს იზიდავს არა მხოლოდ დაბალი საფასურით, არამედ სწავლების მაღალი ხარისხითაც, რომელსაც უზრუნველყოფენ საერთაშორისო გამოცდილების მქონე კვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები, რომელთა უმრავლესობა ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელია.



კომენტარი სურათი N1-თვის
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ალ.თელია ხელს აწერს უნივერსიტეტთა დიდ ქარტიას



კომენტარი სურათი N2-თვის
ბოლონიის უნივერსიტეტის რექტორი, პროფ. კალზოლარი და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფ. ალ.თელია უნივერსიტეტთა დიდ ქარტიაზე ხელისმოწერის ცერემონიალზე

უნივერსიტეტთა დიდი ქარტიის ხელმოწერის საზეიმო ცერემონიალი ბოლონიის უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა კალზოლარიმ დაასრულდა: დღეიდან ამ დოკუმენტის ხელისმომწერი უნივერსიტეტები იქნებიან უნივერსიტეტთა იდეის აქტიური მატარებლები თავიანთ ქვეყნებში და დაეკისრებათ პასუხისმგებლობა, რათა უნივერსიტეტის როლი, მნიშვნელობა და მიზანი ნათელი გახადონ საზოგადოებისთვის, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი უნივერსიტეტთა ავტონომიას და ახალ სიმაღლეზე აიყვანონ სამეცნიერო კვლევებისა და სწავლების ხარისხი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელს პროფ. ალ.თელიას ვიზიტის ფარგლებში მოლაპარაკებები ჰქონდა რომის, ბოლონიის, დანდის, ბუდაპეშტის, ლუგანსკის და სხვ. უნივერსიტეტთა რექტორებთან. დაისახა თანამშრომლობის საინტერესო პროექტები, რაც, უდავოდ, ხელს შეუწყობს თსსუ-ში რეფორმების მიმდინარეობის პროცესს, რისი საბოლოო მიზანიც სწორედ საერთო ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებული სწავლების თანამედროვე მოდელია. უცხოელმა კოლეგებმა და ექსპერტებმა მოიწონეს ის ინსტიტუციური და თვისებრივი რეფორმები, რომელიც ამჟამად თსსუ-ში მიმდინარეობს, მათ მაღალი შეფასება მისცეს უნივერსიტეტის ძალისხმევას, დაამკვიდროს პრობლემაზე ორიენტირებული სასწავლო სისტემის მეთოდოლოგია, რაც მოტივაციური სწავლების ელემენტებით, სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის მაღალი ხარისხით და ოპტიმიზებული სასწავლო პროგრამებით არის წარმოდგენილი. ბოლონიის კონფერენცია ფართოდ იქნა გაშუქებული ევროპისა და იტალიის საინფორმაციო საშუალებების მიერ.

ორგანიზაციის გენერალური მდივნის - ბ-ნ ბარბლანის პირველი "დავალება" თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა უკვე შეასრულა - ბოლონიაში გაიგზავნა უნივერსიტეტთა დიდი ქარტიის ქართული ვერსია, რომელიც ღირსეულ ადგილს დაიკავებს უნივერსიტეტთა საერთაშორისო თანამეგობრობის მრავალხმიანობაში.

*თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის ცენტრი*

# „ქართული მართლმსაჯულება სტროგოვიჩის პროცესისგან უნდა გათავისუფლდეს"

პირველი გვერდიდან

საერთოდ, სასამართლოების გამსხვილება ძალზე მნიშვნელოვანი პროცესია ყველა კუთხით, პირველ რიგში - პროფესიონალიზმის ამაღლების თვალსაზრისით. თბილისის რაიონული სასამართლოები გაუქმდა და შეიქმნა ერთიანი საქალაქო სასამართლო, სადაც საქმეებს სპეციალისტები განიხილავენ - სისხლის სამართლის საქმეს სისხლის სამართლის სპეციალისტი, სამოქალაქოს - სამოქალაქოსი, ადმინისტრაციულს - ადმინისტრაციულისა. ადრე სამოქალაქოს სისხლის სპეციალისტი განიხილავდა და - პირიქით; შედეგად კი უხარისხოდ განხილულ საქმეებს ვღებულობდით.

**- თქვენ სარეფორმო ჯგუფის წევრი იყავით და მონაწილეობა მიიღეთ რეფორმის პაკეტის შექმნაშიც. გარდა სასამართლოების რეორგანიზაცია-გამსხვილებისა, რას მოიცავს რეფორმის პაკეტი?**

- უცხოელ ექსპერტებთან დავსახეთ პრიორიტეტები და ეს ძალზე მნიშვნელოვანია. მუშაობისას გამოირკვა, რომ, თურმე, გააზრებული სამოქმედო გეგმა არ არსებობდა. ჯგუფმა, რომელიც ამ პაკეტზე მუშაობდა, დოკუმენტის დონეზე შევქმენით სასამართლო სისტემის კონცეფციები, რომლებშიც საუბარია სასამართლოს დამოუკიდებლობის კონსტიტუციურ გარანტიებზე, მოსამართლეთა შეუცვლელობის პრინციპებზე, სასამართლო წყობილების შეცვლის საფუძვლებზე, სასამართლო ხელისუფლებისა და მოსამართლეთა სტატუსის ერთიანობის უზრუნველყოფაზე, მოსამართლეთა მომზადებისა და თანამდებობაზე დანიშვნის სისტემის დახვეწაზე - იუსტიციის უმაღლესი სკოლის ფორმირებაზე, დისციპლინური დევნის სისტემის დახვეწაზე, შრომის ანაზღაურებაზე, სასამართლო სისტემის სტრუქტურულ რეორგანიზაციაზე; ახალი, ეფექტური ინსტიტუტების ამოქმედებაზე - მაგალითად, როგორიცაა მაგისტრატი მოსამართლის ინსტიტუტი. ამ ყველაფრის დახვეწა-ამუშავება პირდაპირ კავშირშია სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობასთან.

**- რეფორმა დაიწყო 1999 წელს. დაიწყო და აღმოჩნდა, რომ რეფორმა ჩავარდა. ამ სისტემის რეფორმირება არ მომხდარა და ახლა რეფორმისკენ სვლა თავიდან დაიწყო.**

**სასამართლო რეფორმა, წლებია, გრძელდება და, ფაქტობრივად, რეალური შედეგი ჯერ არ დამდგარა.**



თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი გოგიაშვილი.

- ვერ დაგეთანხმებით იმაში, რომ 1999 წელს დაწყებულ რეფორმას შედეგი არ ჰქონია. მაშინ საფუძველი ჩაეყარა რეფორმას და სისტემაში სერიოზული ცვლილებები შევიდა. თუ ჯერ არ ჩამოყალიბებულა ისეთი სასამართლო სისტემა, რომელიც კონკურენციას გაუწევს ხელისუფლების ორ შტოს და დააბალანსებს, ცვლილებები უნდა გაგრძელდეს. რეფორმის პროცესი უნდა გაგრძელდეს მანამდე, სანამ არ შეიქმნება ეფექტური, სწრაფი მართლმსაჯულებითი სისტემა. აქამდე საპროცესო სისტემა არ იყო ეფექტურობაზე და სისწრაფეზე გათვლილი. ჩვენ ახლა ვთავისუფლდებით სოციალიზმის გადმონაშთისგან, სადაც პროცესი აგებული იყო ობიექტური ჭეშმარიტების ძიებაზე და ხარისხი, ფინანსები, სისწრაფე - ეს ყველაფერი მეორეხარისხოვანი იყო. მოსამართლეს უნდა დაედგინა ობიექტური ჭეშმარიტება და ამას ორი-სამი წელი უნდებოდა. საქართველოში ახლა იქმნება სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულება, იწერება ახალი საპროცესო კოდექსი, სადაც ცივილიზებული გარანტიებია ჩადებული.

ახალ საპროცესო კოდექსში ჩადებულია სასამართლოს პროცესის გამარტივების მექანიზმები – ეფექტურობა, სისწრაფე და შეჯიბრებითობა; როცა მხარეები თანასწორი არიან და ბრალდების მხარეს არანაირი უპირატესობა არ გააჩნია დაცვის მხარესთან მიმართებაში, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტია. პროცესი უნდა იყოს სწრაფი, ეფექტური, შეჯიბრებითი და სამართლიანი. დასავლურ სამართალში არ არსებობს კანონიერების პრინციპის ცნება, იქ არავინ ეძებს ობიექტურ ჭეშმარიტებას. ქართული მართლმსაჯულებაც გათავისუფლდა სტროგოვიჩის პროცესისგან - ობიექტურ ჭეშმარიტების ძიებისგან.

**- თუ ბოლო პერიოდში სასამართლო სისტემაში კორუფციამ იკლო, საგრძნობლად გაიზარდა პოლიტიზირებულობის ხარისხი. ფაქტია, მოსამართლეები დამოუკიდებლად გადაწყვეტილებებს ვერ ღებულობენ, პროკურატურის ზეწოლას ვერ უმკლავდებიან.**

- კორუფციის მასშტაბები აღარ არის იმ დონის, როგორც ადრე იყო. გეთანხმებით, დარჩა ეს პრობლემა, რაც უნდა ამოიძირკვოს და სწორედ აქეთკენ მივდივართ. საერთოდ, სასამართლო სისტემის შესახებ, ამ მიმართებით, უამრავ კრიტიკულ შეფასებებს ვისმენ, მაგრამ საქმე ისაა, რომ ვერც ერთხელ ვერ მოვისმინე კრიტიკოსთა საფუძვლიანი, რაციონალური ანალიზი.

შემიძლია ვთქვა, რომ ბოლო წლებში საოცრად დაიხვეწა მოსამართლეთა პროფესიონალიზმი, საოლქო სასამართლო, ამ მხრივ, გამორჩეულია. თუ მოსამართლეს ვერ გამოაქვს თამამი გადაწყვეტილება, ამის საფუძველი ისაა, რომ მოსამართლე დაუცველია, დაუცველია თავის სამოსამართლო ვადით, ფინანსებით, თანაც, მოსამართლე ადამიანია და ყველა მათგანს ვერ მოსთხოვ გმირობას. არის ერთი მომენტიც, რატომღაც თითქმის ყოველთვის ხდება მეორე მხარის პოზიციების ანგაჟირება, მაგრამ ძალზე იშვიათია, რომ მოსამართლის პრინციპული გადაწყვეტილება პრესის ყურადღების ცენტრში მოხვედრილიყოს. საოლქო სასამართლოს უამრავი პრეცედენტული გადაწყვეტილება გამოაქვს და ისინი საერთოდ არ გაშუქებულა. სულ ახლახან ძალზე გახმაურებული საქმე განვიხილეთ - "გამომძიებელთა საქმე", და მათი რეაბილიტაცია მოხდა. ამის შესახებ მხოლოდ პატარა ინფორმაცია გავიდა. საპირისპირო გადაწყვეტილება რომ გამოგვეტანა, წარმომიდგენია, რა ამბავი ატყდებოდა.

**- ბატონო გიორგი, გავრცელებული ინფორმაციით, რამდენიმე ცნობილმა მოსამართლემ დატოვა თანამდებობა, მათ შორის - საოლქო სასამართლოს მოსამართლეებმაც, რადგან უარი თქვეს პოლიტიკური შეკვეთის შესრულებაზე. დამიდასტურებთ ამ ინფორმაციას?**

- შესაძლოა, რომელიმე გადაწყვეტილებას დაინტერესებული მხარისგან - მაღალი ეშელონებისგან მოჰყვა უარყოფითი შეფასება და ამის გამო მიიღო მოსამართლემ ასეთი გადაწყვეტილება. რა თქმა უნდა, ასეთი ფაქტები ხდება. ძნელია, დღეში ხუთჯერ მიიღო პრინციპული გადაწყვეტილება, დღეში ხუთჯერ დარტყმის ობიექტი აღმოჩნდე, ეს არაბუნებრივია. ჰკითხეთ ფსიქოლოგებს და გეტყვიან, შეიძლება თუ არა ადამიანმა დღეში სამჯერ გმირობა ჩაიდინოს. რა თქმა უნდა - არა. ამიტომაც, დასაშვებია, რომ ზოგიერთი მოსამართლე სისტემიდან წავიდა.

**- პოლიტიკური მიზეზის გამო?**

- მოსამართლეები წავიდნენ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო. ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება გაძნელდება. ზოგიერთმა კარგი სამსახური იშოვა. არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ ზოგმა გაცლა ამჯობინა შექმნილ ფონს. შეიძლება, ზოგიერთზე მოხდა რაღაც ზეწოლაც. არც ამას გამოვრიცხავ.

**- ევროკავშირის მისიამ, რომელიც საქართველოს მართლმსაჯულების მონიტორინგს ახორციელებდა, საკმაოდ კრიტიკული შეფასება მისცა ქართულ სასამართლო სისტემას. ეთანხმებით უცხოელ ექსპერტთა შეფასებებს?**

- მე ვთანამშრომლობდი მათთან. ძალზე ეფექტურად ვიმუშავეთ, მაღალი რანგის პროფესიონალები იყვნენ და მათი შენიშვნებიც მისაღებია. მათი ძირითადი შენიშვნები ეხებოდა კადრების მუდმივ ცვლას, არასტაბილურობას, საქმეების განხილვის გაჭიანურებას. უცხოელ ექსპერტებს, რა თქმა უნდა, აქვთ კრიტიკული შეფასებები, მაგრამ, საერთო ჯამში, დადებითად აფასებენ მიმდინარე პროცესებს.

საერთოდ კი, არ შეიძლება იმის დაუნახაობა, რომ ბოლო პერიოდში მართლაც უმნიშვნელოვანესი ცვლილებები მოხდა. თუ აქამდე ვიყავით რომაულ-გერმანული კონტინენტური სამართლებრივი სისტემის ქვეყანა, რომლისთვისაც დამახასიათებელია კანონის გაფეტიშება, ახლა შემოგვაქვს ინგლისურ-ამერიკული სამართლის ელემენტები, რომლისთვისაც სისწრაფე და ეფექტურობაა დამახასიათებელი; გაზრდილია სამართლიანობის ხარისხი. ამ ორი ინგლისურ-ამერიკული სისტემის დაახლოების პროცესი, თითქმის, ყველა ქვეყანაში მიმდინარეობს და ძალზე კარგია, რომ ამ პროცესში საქართველოც ჩაება. მართალია, საბოლოო სახით ეს სისტემა ჯერ არ ამუშავებულა, მაგრამ ქართული სამართლებრივი სისტემა უდავოდ საინტერესო იქნება - გლობალურად თუ შევხედავთ, მიმდინარეობს კონტინენტურისა და საერთო სამართლის სისტემების კარგი ელემენტების შერწყმა, რაც, მართალია - რთული, მაგრამ შედეგიანი პროცესია.

# ცრუ განგაში ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში

*ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ქართველების გატაცება, როგორც ჩანს, კიდევ დიდხანს დარჩება პრობლემად; მით უმეტეს, რომ რამდენიმე თვის წინ გატაცებული ოთხი ქართველის ბედი დღემდე უცნობია და აქამდე არ ჩანს გორელი 14 წლის პეტრიაშვილიც, რომელიც, ქართველი სამართალდამცველების მტკიცებით, სწორედ ცხინვალის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზეა გადაყვანილი. აღარაფერს ვამბობთ წინა წლებში გატაცებულ ქართველებზე. როგორც შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსმა ვლადიმერ ჯუღელმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ასეთი, დაახლოებით, ხუთი საქმეა დაფიქსირებული, მაგრამ ჯერჯერობით ვერც მათი გახსნა ხერხდება.*

თამარ კაციტაძე

გუშინწინ კონფლიქტის ზონიდან კიდევ ორი ადამიანის გატაცების შესახებ გახდა ცნობილი, რითაც ორდღიანი მოჩვენებითი სიმშვიდე დაირღვა. გავრცელებული ინფორმაციით, ცხინვალის მახლობლად სოფელ მამისაანთკარიდან ოსებმა ორი ქართველი გაიტაცეს - 65 წლის უშანგი ზუბიაშვილი და მასთან სტუმრად მყოფი, სოფელ ტყვიავში მცხოვრები, 14 წლის მამუკა გიგუაშვილი. ქართული სოფელი მამისაანთკარი ქართულ-ოსური დაპირისპირების დროს, 15 წლის წინ ქართული მოსახლეობისგან მთლიანად დაიცალა. აქ მხოლოდ ერთი ქართული ოჯახიღა ცხოვრობს და ეს სწორედ უშანგი ზუბიაშვილის ოჯახია. იგი მარტოხელაა. მამუკა გიგუაშვილი დედასთან ნათელა გიგუაშვილთან ერთად უშანგი ზუბიაშვილთან სტუმრად იყო. მოულოდნელად ზუბიაშვილის სახლში შეიარაღებული ნიღბიანები შეიჭრნენ. ისინი, როგორც ნათელა გიგუაშვილი აცხადებს, ოსურ და ქართულ ენაზე ლაპარაკობდნენ და ერთადერთი პრეტენზია ჰქონდათ - რატომ იყვნენ ისინი ოსების ტერიტორიაზე. როგორც ნათელა გიგუაშვილი იხსენებს, თავდასხმის დროს გამტაცებლებმა ჯერ იგი აიყვანეს, შემდეგ კი - უშანგი ზუბაშვილი და 14 წლის მამუკა გიგუაშვილი. ცოტა ხანში ნათელა გიგუაშვილი უკან დააბრუნეს, რის შემდეგაც მან ერგნეთის საგუშაგოზე ქართველ სამართალდამცველებს მიმართა და დახმარება სთხოვა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ინციდენტის დღეს ქართულ მხარეს კომენტარი არ გაუკეთებია. გუშინ კი შიდა ქართლის სამართალდამცველებმა წინა დღეს მომხდარი ინციდენტი ამოწურულად გამოაცხადეს და ყველაფერი გაუგებრობით ახსნეს. მართალია, სახლში დაბრუნებული 65 წლის უშანგი ზუბიაშვილი და 14 წლის მამუკა გიგუაშვილი მომხდარის შესახებ კომენტარს არ აკეთებენ, მაგრამ სამართალდამცველები ირწმუნებიან, რომ ისინი სახლში შეიარაღებული ნიღბიანების დანახვისას თავად მიიმალნენ. შიდა ქართლის პოლიციის განცხადებით, ზუბიაშვილის სახლში ცხინვალის უშიშროების თანამშრომლები იყვნენ მისულები და ეს ინციდენტიც ამას მოჰყვა. პოლიცია ოფიციალურად აცხადებს, რომ გატაცება არ მომხდარა და დაკარგულების დაბრუნება წუხელვე მოხდა.

"როგორც აღმოჩნდა, რეალურად, გატაცების ფაქტს ადგილი არ ჰქონია. მამისაანთკარში უშანგი ზუბიაშვილის ოჯახში, გადამოწმების მიზნით, მართლაც იყვნენ ცხინვალის უშიშროების თანამშრომლები, მაგრამ მათ არავინ გაუტაციათ. ჩვენ იმავე ღამეს დავუკავშირდით ოს სამართალდამცველს, რომლებმაც გადაამოწმეს მათი კონტროლირებადი ტერიტორია, მაგრამ დასახელებული პიროვნებები ვერ იპოვეს", - განაცხადა ჩვენთან საუბარში შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსმა ვლადიმერ ჯუღელმა. მისი მტკიცებით, გაუგებრობის მიზეზი ის გახდა, რომ მამისაანთკარში უშანგი ზუბიაშვილის ოჯახში მისულმა ოსური მილიციის თანამშრომლებმა ნათელა გიგუაშვილი გარეთ გაიყვანეს და უცხო პირთა სტუმრობის მიზეზის გარკვევას შეეცადნენ. შინ შებრუნებულ ქალბატონს კი არც ერთი ახლობელი აღარ დახვდა.

"ნათელა გიგუაშვილმა ჩათვალა, რომ სტუმრები ოსებმა გაიტაცეს და მომხდარის შესახებ ქართულ პოლიციას შეატყობინა", - ამბობს ჯუღელი.

შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსის თქმით, ქართველმა სამართალდამცველებმა გაუჩინარებული ზუბიაშვილი და გიგუაშვილი ერგნეთში ახლობლის სახლში იპოვეს და სახლში დააბრუნეს.

"საბოლოოდ, აღმოჩნდა, რომ უშანგი ზუბიაშვილი და მამუკა გიგუაშვილი, სიფრთხილის მიზნით, ისე გაეცალნენ იქაურობას, რომ ნათელა გიგუაშვილისთვის არაფერი უთქვამთ", - ამბობს ვლადიმერ ჯუღელი. მისი თქმით, ეს იყო კონფლიქტის ზონიდან კიდევ ერთი გატაცების ვერსიის გავრცელების რეალური მიზეზი.

## მოკლედ

### ზუგდიდის ბაზარში 14 წლის ლევან ფიჩხაია დაჭრეს

ზუგდიდის ცენტრალურ ბაზარში, შელაპარაკების ნიადაგზე, 14 წლის ლევან ფიჩხაია მძიმედ დაჭრეს. მას ვინმე სიჭინავამ მუცლის არეში დანა დაარტყა, რის შედეგადაც სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო.

იმის გამო, რომ ბაზრის შესასვლელი კარი ჩაკეტილია და მომხმარებლები მხოლოდ ერთი ვიწრო კარით შედიან, სასწრაფო დახმარების მანქანის მისვლა დაგვიანდა და ფიჩხაია დაგვიანებით გადაიყვანეს ზუგდიდის საავადმყოფოში.

დაჭრილს ოპერაცია დაგვიანებით გაუკეთდა. ექიმების განცხადებით, ლევან ფიჩხაიას არტერია აქვს დაზიანებული, რის გამოც, მან ბევრი სისხლი დაკარგა და მისი მდგომარეობა მძიმეა. ზუგდიდის ბაზრის წინ გუშინ მომხდართან დაკავშირებით სასწრაფოდ შეიკრიბა მოსახლეობა. შეკრებილები მომხდარში ადგილობრივ ხელისუფლებას ადანაშაულებდნენ.

მათი თქმით, იმის გამო, რომ შესასვლელი კარი ჩაკეტილია, მსგავს ფაქტებს ხშირად აქვს ადგილი.

ბაზრის მოვაჭრეების განცხადებით, მანქანის შესასვლელი ბაზარში არ არსებობს, რაც სახანძრო და სასწრაფო მანქანების ბაზარში შესვლას შეუძლებელს ხდის. **ინტერპრესნიუსი**

### აზერბაიჯანის გენპროკურორმა ქართველ კოლეგას მიმართვა გამოუგზავნა

აზერბაიჯანის გენერალურმა პროკურორმა ზაქირ გარალოვმა ქართველ კოლეგას ზურაბ ადეიშვილს ოფიციალური მიმართვა გამოუგზავნა.

როგორც საინფორმაციო სააგენტო "ტრენდი" იუწყება, მიმართვის მიზეზი აზერბაიჯანში გამომავალ ჟურნალ "მონიტორის" მთავარი რედაქტორის ელმარ ჰუსეინოვის მკვლელობასთან დაკავშირებით საქართველოში გამოძიების გაგრძელების აუცილებლობა გახდა. "მოგეხსენებათ, რომ ეროვნული უშიშროების სამინისტროს თანამშრომლები ახლახან დაბრუნდნენ საქართველოდან. ჩვენ გავაანალიზეთ მათ მიერ მოპოვებული მასალები. ამის შემდეგ კი კვლავ მივმართეთ საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს ამ ქვეყანაში დამატებითი ღონისძიებების გასატარებლად. ამჟამად მიმართვაზე პასუხს ველოდებით", - განაცხადა გარალოვმა. გენერალური პროკურორის ცნობით, დამნაშავეთა ძებნა გრძელდება.

აზერბაიჯანში გამომავალი ოპოზიციური ჟურნალის "მონიტორის" მთავარი რედაქტორი ელმარ ჰუსეინოვი მიმდინარე წლის მარტის თვეში საკუთარი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოში ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლეს. აზერბაიჯანის გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, მკვლელობაში ეჭვმიტანილი ორი პირი ეროვნებით აზერბაიჯანელი საქართველოს მოქალაქეები არიან - ტაჰირ ყურბანოვი და თეიმურაზ ალიევი. **პრაიმ-ნიუსი**

### პატრულის თანამშრომლებმა დაკავებისას მოქალაქეს სასტიკად სცემეს

საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დაკავებისას სასტიკად სცემეს წალენჯიხის რაიონის მკვიდრი 34 წლის პაატა ბელქანია. შემთხვევა გუშინწინ, გვიან ღამით ზუგდიდში, კეცხოველის ქუჩაზე მოხდა, სადაც პაატა ბელქანია თავისი სიმამრის სახლში შვილის სანახავად მივიდა.

როგორც კეცხოველის ქუჩაზე მცხოვრები მეზობლები ამბობენ, პაატა ბელქანია ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა. იგი ცოლს გაშორებულია და, ამის გამო, ოჯახის წევრებმა ხელი შეუშალეს და არ მისცეს საშუალება, შვილი ენახა, რასაც ხელჩართული ჩხუბი მოყვა. ერთ-ერთმა მეზობელმა დარეკა საპატრულო პოლიციაში, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილზე ავტოპატრული გამოცხადდა. პატრულის თანამშრომლებმა დააკავეს პაატა ბელქანია და მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. როგორც თვითმხილველები ამბობენ, პატრულის თანამშრომლები დაკავებულს ურტყამდნენ მას შემდეგაც კი, რაც ხელბორკილები დაადეს. პაატა ბელქანია სასტიკადაა ნაცემი.

როგორც სახალხო დამცველის წარმომადგენელი სამეგრელოში ბაგრატ ქირია აცხადებს, მან უკვე ინახულა დაზარალებული, რომელიც ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოში იმყოფება. მას ტვინის შერყევა აქვს მიღებული; აგრეთვე, აღენიშნება დაბეჟილობები და ჩამტვრეული აქვს ნეკნი.

ექიმები მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას არასტაბილურად მიიჩნევენ, თუმცა აცხადებენ, რომ მიღებული დაბეჟილობები და მოტეხილობა არ არის სიცოცხლისთვის საშიში.

რაც შეეხება საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელობას, ისინი მომხდართან დაკავშირებით ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებენ. **ინტერპრესნიუსი**

# მკვლელობა ციხეში - „კანონიერი ქურდების" მიერ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი"

*"შავი სამყაროს" წარმომადგენლების მიერ წინასწარ დაგეგმილი მკვლელობა, რომელიც, უშუალოდ, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის შოთა კოპაძის ხელშეწყობით განხორციელდა" - ასე აფასებს იუსტიციის სამინისტროს მონიტორინგის საბჭოს თავმჯდომარე თეა თუთბერიძე ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში რამდენიმე დღის წინ მომხდარ მკვლელობას.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

29 სექტემბერს, დაახლოებით, ღამის თერთმეტის ნახევარზე იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამკურნალო დაწესებულების, ე.წ "რესბალნიცის" ინფექციური განყოფილების მესამე პალატაში პატიმარ კოკი ვაშაძის გვამი აღმოაჩინეს. მას ყელის არეში ჭრილობა აღენიშნებოდა. მომხდარის შესახებ სასწრაფოდ ეცნობა იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს და გენერალურ პროკურატურას; ჩატარდა გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ რამდენიმე საათში გავრცელებული ინფორმაციით, კოკი ვაშაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილი პატიმრის მიხეილ კიპაროიძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა, თავად ეჭვმიტანილი კი იზოლირებულია.

როგორც გაირკვა, გარდაცვლილი მსჯავრდებული კოკი ვაშაძე ციხის სამკურნალო დაწესებულებაში თბილისის მე-7 საპყრობილიდან მარჯვენა ქვედა კიდურში უცხო სხეულის - ტყვიის არსებობის დიაგნოზით გადაიყვანეს. მას გაუკეთდა ოპერაცია და უგრძელდებოდა მკურნალობა. ვაშაძე გასამართლებული იყო იარაღის უკანონო ტარების, პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევისა და მკვლელობის მცდელობისთვის.

ბრალებული მიხეილ კიპაროიძე კი სამკურნალო დაწესებულებაში ყბისქვეშა ჯირკვლის აბსცესის დიაგნოზით გადაიყვანეს. 29 სექტემბერს მას ჩაუტარდა ოპერაცია და უგრძელდებოდა მკურნალობა. კიპაროიძე ბრალდებულია ყაჩაღობაში, იარაღის უკანონო ტარებაში, პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევასა და მკვლელობის მცდელობაში.

**"მომხდართან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო. სწორედ გამოძიება დააზუსტებს და დაადგენს ყველა დეტალს და დამნაშავის პასუხისმგებლობის საკითხიც დადგება",** - აცხადებს იუსტიციის მინისტრი კოტე კემულარია. თუმცა, ვიდრე გამოძიება დასრულდება და მკვლელობის დეტალები ოფიციალურად გახდება ცნობილი, მონიტორინგის საბჭოს თავმჯდომარე თეა თუთბერიძე მომხდარში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს შოთა კოპაძეს ადანაშაულებს და მისი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას კიდევ ერთხელ მოითხოვს. როგორც თეა თუთბერიძე აცხადებს, მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით იგი ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში იმყოფებოდა, შეადგინა ოქმები, მიიღო ახსნა-განმარტებები და, მოგროვებული ოფიციალური თუ არაოფიციალური მასალის საფუძველზე, თამამად შეუძლია განაცხადოს, რომ კოკი ვაშაძის მკვლელობა დიდი ხნით ადრე დაიგეგმა და ამის შესახებ იცოდა არა მარტო თავად ვაშაძემ, არამედ - მთელმა ციხემ. იცოდნენ არა მხოლოდ მკვლელობის შემკვეთებმა, არამედ - პატიმრებმა, ციხის ზედამხედველებმა, და, რაც მთავარია, თვით სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ შოთა კოპაძემ.

**"მე ჯერ გამოძიების დასრულებას დაველოდები. ვნახოთ, როგორ წარიმართება ის და რა შედეგს მოიტანს. შემდეგ კი დავდებ მასალებს, რომლებიც მოვიპოვე და რომელთა მიხედვით, ცხადი ხდება, რომ "კანონიერი ქურდების" მიერ დაწერილი სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მოყვანას კოპაძემაც შეუწყო ხელი",** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას თეა თუთბერიძემ. მისივე მონაყოლით ირკვევა, რომ სასტიკი ანგარიშსწორების მიზეზი ვაშაძის მიერ რამდენიმე წლის წინ ჩადენილი დანაშაული გახდა, როცა მან ე.წ "მაყურებელი" მოკლა. **"საქმე ისაა, რომ კოკი ვაშაძეს ერთ-ერთი გარჩევის დროს შელაპარაკება მოუვიდა "პაცანასთან". ეს გახლავთ გოჩა ტაბატაძე, კრიმინალური სამყაროს ერთ-ერთი წარმომადგენელი. მაშინ ჩხუბში ჩაერია ჭიათურის ზონის "მაყურებელი" ჯონი ზეინკლიშვილი, რომელიც სწორედ ამ დაპირისპირებას შეეწირა. ვაშაძე ჯონი ზეინკლიშვილის მკვლელობის ბრალდებით იხდიდა სასჯელს. მისთვის განსაკუთრებით საშიში იყო ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში დარჩენა. ვაშაძის შესაძლო საფრთხის თაობაზე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე გაფრთხილებული გახლდათ. მე ამის თაობაზე დოკუმენტაცია მაქვს, თუმცა მისი გამჟღავნებისგან ჯერჯერობით თავს შევიკავებ. გარდა დოკუმენტური ინფორმაციისა, მაქვს პატიმართა უამრავი "მესიჯი", რომლებიც მომხდარს ფარდას ხდიან",** - განგვიცხადა თუთბერიძემ. მისივე თქმით, მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე ვაშაძე შოთა კოპაძის ერთ-ერთმა მოადგილემ მოინახულა, რაც ვაშაძისვე დაჟინებული მოთხოვნით მოხდა. სავარაუდოდ, ვაშაძეს უსაფრთხოების გარანტია მისცეს, რადგან, როგორც თუთბერიძე ამბობს, ამ შეხვედრის შემდეგ ვაშაძე საკმაოდ დამშვიდებულა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ვაშაძის ცხედარი მკვლელის პალატაში ნახეს. თეა თუთბერიძის თქმით, მკვლელობამდე რამდენიმე წუთით ადრე კოკი ვაშაძის პალატაში ერთ-ერთი კანონიერი ქურდი, ვინმე მამარდაშვილი დაინახეს. **"სავარაუდოდ, მამარდაშვილმა იგი კიპაროიძის საკანში გაიტყუა, სადაც მოკლეს. ყველზე ცუდი ის არის, რომ კოპაძემ ყველაფერი იცოდა, მაგრამ არაფერი გააკეთა ვაშაძის გადასარჩენად; მეტიც, თავისი უმოქმედობით ხელი შეუწყო ამ მკვლელობას",** - აცხადებს თუთბერიძე. მონიტორინგის საბჭოს თავმჯდომარეს საეჭვოდ მიაჩნია ვაშაძისთვის გასაკეთებელი ოპერაციის მოსამზადებელი პერიოდის გაჭიანურება. ის თვლის, რომ ოპერაციის შემდეგაც ვაშაძე ციხის სამკურნალო დაწესებულებაში საეჭვოდ დიდხანს გააჩერეს. სწორედ ამ პერიოდში გადაიყვანეს ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში პატიმარი გიორგი კიპაროიძე. თუთბერიძე მისი მკურნალობის აუცილებლობასაც ეჭვქვეშ აყენებს. **"კიპაროიძე სამკურნალო დაწესებულებაში ყბის ქვეშ დაჩირქებული "მუწუკის" სამკურნალოდ მოხვდა. უმძიმესი ოპერაციების შემდეგაც კი პატიმარს საავადმყოფოში 3-4 დღეზე მეტ ხანს არ ტოვებენ. ეს ყველაფერი კი ეჭვის დიდ საბაბს იძლევა. რაც ყველაზე მთავარია, მაქვს ინფორმაცია, რომ მომხდარ მკვლელობას იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია იძიებს. ეს არის დაცინვა და თავის აგდება, რადგან იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში შოთა კოპაძის წინააღმდეგ უამრავი მასალა დევს, თუმცა არც ერთ მათგანს დღემდე რეაგირება არ მოჰყოლია. მე ამ საქმეს მივყვები ბოლომდე და ამ ფაქტის გამოც თუ არ დადგება კოპაძის პასუხისმგებლობის საკითხი, მონიტორინგის საბჭო პირდაპირ კოტე კემულარიას პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხს დააყენებს",** - ასეთია იუსტიციის სამინისტროს მონიტორინგის საბჭოს თავმჯდომარის პოზიცია.

## ბორჯომში გაიმართა მაია აზარაშვილის სახელობის საერთაშორისო კროსი



მამუკა ქირია

გასულ შაბათს ბორჯომში დიდი სპორტული დღე იყო. გაიმართა ცნობილი ქართველი მძლეოსნის, ოლიმპიური პრიზიორის მაია აზარაშვილის სახელობის რიგით მეოთხე საერთაშორისო კროსი ექვსი ათას მეტრ დისტანციაზე. მონაწილეობას იღებდნენ კენიის, უკრაინის, მაროკოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მძლეოსნები. უდავო ფაორიტად ვაჟებში კენიელი სავე ელიში და მაროკოელი რიბაგი საიდი, ხოლო ქალებში უკრაინელები ოლგა კალენდაროვა და კატია კარმანენკოვა ითვლებოდნენ. პროგნოზი გამართლდა, თუმცა, არც ქართველ მძლეოსნებს შეურცხვენიათ თავი. ეს ყველაფერი სასტარტო გასროლის შემდეგ გამოიკვეთა. შეჯიბრება ჯერ ქალთა შორის მოეწყო. ფინიშთან თითქმის ერთად მივიდნენ უკრაინელი გოგონები. ხაზი პირველმა კალენდაროვამ, რამდენიმე წამში კი მისმა თანამემამულემ კარმანენკოვამ გადაკვეთა. სულ მალე გამოჩნდა ქართველი მძლეოსანი ბორჯომიდან, რომელმაც დამაჯერებლად შეასრულა მწვრთნელის მიერ დასმული ამოცანა, რასაც ვერ ვიტყვით სომეხ და აზერბაიჯანელ მორბენლებზე. ისინი აშკარად მოუმზადებლები აღმოჩნდნენ. ქალთა კროსის დამთავრებისთანავე ვაჟების შეჯიბრება დაიწყო. როგორც მოგახსენეთ, კენიელმა ყველას აჯობა, თუმცა, არც მაროკოელს დაუზოგავს თავი და მეორე ადგილიც დამსახურებულად დაიკავა. მესამე კი ყველასთვის კარგად ცნობილი ახალციხელი, ეტყობა, მძლეოსნობაზე უსაზღვროდ შეყვარებული, უკვე ორმოც წელს გადაცილებული ზიგმუნდ ზილბერშტეინი გახლდათ. ორგანიზატორებმა და სპონსორებმა საჩუქრები გადასცეს მძლეოსნებს.

### ქალები:

**I ადგილი** – ოლგა კალენდაროვა (უკრაინა), პრიზი – ხუთასი ამერიკული დოლარი "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიისაგან";

**II ადგილი** – კატია კარმანენკოვა (უკრაინა), პრიზი – ოთხასი ამერიკული დოლარი ვაკის საცურაო აუზი და ფიტნეს კლუბისგან.

**III ადგილი** – ნათია გელაშვილი (საქართველო), პრიზი – სამასი ამერიკული დოლარი "New Traweli"-სგან.

### ვაჟები:

**I ადგილი** – სავე ელიში (კენია), პრიზი – ხუთასი ამერიკული დოლარი მძლეოსნობის ფედერაცისგან;

**II ადგილი** – რიბაგი საიდი (მაროკო), პრიზი – ოთხასი ამერიკული დოლარი ბორჯომის განათლების განყოფილებისგან.

**III ადგილი** – ზიგმუნდ ზილბერშტეინი (საქართველო), პრიზი – სამასი ამერიკული დოლარი ბორჯომის გამგეობისგან.

გამარჯვებულებსა და პრიზიორებს კიდევ უამრავი საჩუქარი და ყვავილები გადასცეს. "24 საათი" მთავარი ორგანიზატორის, საქართველოს მძლეოსანთა ფედარაციის გენერალური მდივნის ქალბატონ მაია აზარაშვილის შთაბეჭდილებებით და შეფასებებით დაინტერესდა ჩატარებული კროსის, არსებული პრობლემებისა და სიძნელეების თაობაზე. "ჩემი მთავარი ამოცანაა ამ ღონისძიების მოწყობით სპორტის ეს სახეობა საქართველოში პოპულარული გახდეს. თუმცა, ეს ურთულესი ამოცანაა, რაც იმაშიც გამოიხატება, რომ დღევანდელი შეჯიბრების დროს მაყურებლის რაოდენობის განსაზღვრა ადამიანს არ გაუჭირდებოდა, რაზეც ძალიან მწყდება გული. ვეცდებით, მომავალში ესეც გამოსწორდეს. მადლობას ვუხდი ყველა სპონსორს, ვინც კროსის მოწყობაში მეხმარებოდა. იმედია, მომავალ წელს, სულ ცოტა, ოცი ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას, რასაც, რა თქმა უნდა, მეტი ფინანსური და ორგანიზაციული მასშტაბები სჭირდება", - განაცხადა ჩვენთან საუბარში სახელოვანმა სპორსტმენმა მაია აზარაშვილმა.

ბოლოს სტუმრებისა და სპორტმენებისთვის მოეწყო ბანკეტი.

# „სიონს" ვერავინ აჩერებს

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი თანდათან ეკვატორს უახლოვდება. მართალია, ჯერ მხოლოდ 8 ტურის მატჩებია ჩატარებული და პირველი წრის ბოლომდე გუნდებს კიდევ 7-7 თამაში აქვთ, მაგრამ უკვე შეიძლება საუბარი იმ გუნდებზე, რომლებიც საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებენ. ასევე თანდათან იკვეთება იმ გუნდების ჯგუფი, რომლებსაც უძლიერესთა კომპანიაში ადგილის შესანარჩუნებლად დიდი ოფლის ღვრა მოუწევთ. თუმცა, მივყვეთ თანმიმდევრობით.

ტურის და, ალბათ, პირველი წრის ცენტრალური მატჩი ბოლნისში გაიმართა, სადაც ქართული საკლუბო ფეხბურთის ახლად მოვლენილმა ლიდერმა, ადგილობრივმა "სიონმა" ზესტაფონის "ზესტაფონს" უმასპინძლა. ბოლნისური კლუბის ფენომენის ახსნა მართლაც ძნელია. დაკომპლექტების თვალსაზრისით, "სიონი" ალბათ პირველ ხუთეულშიც ძნელად მოხვდება. ამის მიუხედავად, ხვიჩა ქასრაშვილის გუნდმა გუშინ ზედიზედ მეშვიდე (!) გამარჯვება იზეიმა. თანაც, ამჯერად "სიონმა" დაამარცხა "ზესტაფონი", რომელსაც საუკეთესო დაფინანსებასთან ერთად, საქართველოში ალბათ საუკეთესო თავკაცი ჰყავს – თემურ მახარაძე. ამასთან, ზესტაფონელების მიერ საზონებს შორის შესვენებაზე წარმოებული აქტიური სატრანსფერო პოლიტიკა იმის თქმის საფუძველს იძლევა, რომ "ზესტაფონი" საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების საბაზო გუნდად ყალიბდება.

არ უნდა დავივიწყოთ ბოლნისელი გულშემატკივარიც, რომელსაც დიდი წვლილი შეაქვს საყვარელი გუნდის წარმატებებში როგორც საშინაო, ისე გასვლით მატჩებშიც. თუმცა, მარტო ქომაგების მხარდაჭერით ფონს ნამდვილად ვერ გახვალ. უნდა ვაღიაროთ, რომ "სიონი" მართლაც დამსახურებულად იკავებს სატურნირო ცხრილის პირველ საფეხურს. ეს "ზესტაფონთან" მატჩშიც ნათლად გამოჩნდა, რომლის პირველმა ნახევარმა მასპინძელთა სრული უპირატესობის ნიშნით ჩაიარა. შეხვედრის ერთადერთი და გადამწყვეტი გოლიც სწორედ პირველ ორმოცდახუთ წუთში გავიდა. სტუმართა მცველებს უყურადღებოდ დარჩათ "სიონის" ნახევარმცველი დოლიძე, რომელმაც 27-ე წუთზე შესრულებული ზუსტი დარტყმით მორიგი სამი ქულა მოუტანა თავის გუნდს. "ზესტაფონის" მწვრთნელმა თემურ მახარაძემ შესვენებაზე გარკვეული კორექტივები შეიტანა საკუთარი გუნდის თამაშში, რისი წყალობითაც მეორე ნახევარში თამაში არათუ გათანაბრდა, არამედ სტუმრები გარკვეულ უპირატესობასაც კი დაეუფლნენ. ამის წყალობით, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და "ზესტაფონის" თავდამსხმელს ბექა გოცირიძეს ორჯერ შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ ორივე შემთხვევაში "სიონის" მეკარე ბობღიაშვილმა უნაკლოდ ითამაშა და საკუთარი კარი "მშრალად" შეინახა.



გოგიტა ბახაიძის ფოტო

*კახელებმა "ლოკომოტივს" ვერაფერი მოუხერხეს.*

ორი დღის წინ გამართული შეხვედრებიდან ასევე გამოსარჩევია დებიუტანტ "ბორჯომის" დამაჯერებელი გამარჯვება "ცხინვალთან", ანგარიშით 4:0. ასევე "ამერის" მარცხი საკუთარ მოედანზე "ვიტ ჯორჯიასთან" – 1:2.

გუშინ კი, როგორც იქნა, ნავსი გატეხა თბილისის "დინამომ", რომელმაც სტუმრად "შევარდენზე" თბილისის "სპარტაკი" დაამარცხა. "დინამოს" თავდამსხმელებმა მიხეილ ბობოხიძემ და სანდრო იაშვილმა პირნათლად შეასრულეს თავიანთი პირდაპირი მოვალეობა. სამივე გოლი ამ ორი ფეხბურთელის ანგარიშზეა. "დინამოს" გამარჯვებას საფუძველი ჩაუყარა ბობოხიძემ მე-13 წუთზე, ხოლო 33-ე და 72-ე წუთებზე იაშვილმა გაიტანა გოლები და თავის გუნდს 3:0 გაამარჯვებინა. აღსანიშნავია, რომ მატჩი "დინამომ" სამი თავდამსხმელით (იაშვილი, ბობოხიძე, მეგრელაძე) დაიწყო. მეორე ტაიმში ბობოხიძემ ტრავმა მიიღო და ცხადაძემ იძულებითი ცვლილება განახორციელა – მის ნაცვლად მოედანზე გრიგალაშვილი შეიყვანა, თან, ტაქტიკური განლაგებაც შეცვალა. ეს მომენტი მან მატჩისშემდგომ კომენტარშიც ასახა.

"საჭირო სამი ქულა მოვიპოვეთ, რაც, პირველ რიგში, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი. ყველაზე უფრო იმით ვარ კმაყოფილი, რომ ჩემმა გუნდმა ზუსტად შეასრულა მატჩის წინ მიცემული ჩემი მითითებები და ტაქტიკურად სწორად ითამაშა. თან, იძულებითი ცვლილების გამო, თამაშის მსვლელობაში მოგვიწია სხვა ტაქტიკაზე გადაწყობა და გუნდმა ესეც ძალიან კარგად გააკეთა", - შეაქო თავისი გუნდი ცხადაძემ.

დაწინაურებულ სამეულში მყოფმა თბილისის "ლოკომოტივმა" გუშინვე დიდი ძალისხმევის გარეშე შეძლო თელავის "კახეთის" დამარცხება. პირველ ტაიმში სირბილაძემ და რკინიგზელთა ბრაზილიელმა თავდამსხმელმა რამონ დე ანაიამ თითო გოლი გაიტანეს სტუმართა კარში. მეორე ნახევარში ხევლიშვილმა ავტოგოლი მიითვალა და "ლოკომოტივმა" 3:0 გაიმარჯვა.

### მე-8 ტური

| | |
|---|---|
| ამერი – ვიტ ჯორჯია | 1:2 |
| ბორჯომი – ცხინვალი | 4:0 |
| სიონი – ზესტაფონი | 1:0 |
| ტორპედო – თბილისი | 1:0 |
| დილა – დინამო (სხ) | 5:0 |
| დინამო (ბთ) – კოლხეთი | 2:0 |
| სპარტაკი – დინამო (თბ) | 3:0 |
| ლოკომოტივი – კახეთი | 3:0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 8 | 7 | 1 | 0 | 15-4 | 22 |
| ბორჯომი | 8 | 7 | 0 | 1 | 18-4 | 21 |
| ლოკომოტივი | 8 | 6 | 2 | 0 | 13-2 | 20 |
| ვიტ ჯორჯია | 7 | 5 | 1 | 1 | 11-5 | 16 |
| დინამო (თბ) | 8 | 4 | 1 | 3 | 10-6 | 13 |
| დინამო (ბთ) | 8 | 4 | 1 | 3 | 5-4 | 13 |
| ამერი | 8 | 4 | 1 | 3 | 7-7 | 13 |
| დილა | 8 | 4 | 0 | 4 | 12-7 | 12 |
| კოლხეთი | 8 | 4 | 0 | 4 | 5-8 | 12 |
| ზესტაფონი | 7 | 4 | 0 | 3 | 5-4 | 12 |
| კახეთი | 8 | 3 | 0 | 5 | 6-13 | 9 |
| ტორპედო | 8 | 2 | 1 | 5 | 5-8 | 7 |
| ცხინვალი | 8 | 2 | 0 | 6 | 4-12 | 6 |
| დინამო (სხ) | 8 | 1 | 1 | 6 | 7-19 | 4 |
| სპარტაკი | 8 | 1 | 1 | 6 | 1-8 | 4 |
| თბილისი | 8 | 0 | 0 | 8 | 2-15 | 0 |


BECHTEL

## ბექტელ ინტერნეშენალ სისტემზ, ინქ
## კონფერენცია სამუშაოს შეთავაზების შესახებ ქართველი ქვეკონტრაქტორების და მომწოდებლებისთვის

ბექტელ ინტერნეშენალ სისტემზ, ინქ. - ამერიკული სამშენებლო-საინჟინრო კომპანია ბექტელის წარმომადგენლობითი ოფისი, ბექტელთან წინასწარ კვალიფიცირებული ქვეკონტრაქტორების ან მომწოდებლების რანგში თანამშრომლობით დაინტერესებულ კომპანიებს იწვევს **კონფერენციაზე**, რომელიც გაიმართება **2005 წლის 20 ოქტომბერს, 09:30 დან 12:00 მდე "მარიოტ ქორთიარდში, დარბაზი N2 (მე-2 სართული)**.

კონფერენციის მსვლელობისას ბექტელი წარმოადგენს შემდეგ საკითხებს:

საქართველოში ბექტელის საქმიანობის მიმოხილვა
- სამომავლო შესაძლებლობები ახალი, თანამედროვე სპეციალიზებული სამედიცინო დაწესებულებების მშენებლობის მხარდასაჭერი სამუშაოების დროს (განთავსდებიან თბილისში და დანარჩენ საქართველოში)

მოთხოვნები და პროცედურები, რომელიც საჭიროა, რათა გახდეთ ბექტელის ტენდერის მონაწილე
- ჩვენი წინადადებაზე მოთხოვნების პაკეტების განხილვა, რომლებიც გაიცემა ტექნიკური და სამშენებლო მომსახურებისთვის და კვოტირებაზე მოთხოვნის პაკეტების განხილვა, რომლებიც გაიცემა აღჭურვილობის და მასალების შესყიდვაზე

ბექტელის ტენდერის, შეფასების და კონტრაქტის გაფორმების პროცესის ახსნა
- საკონტრაქტო შეთანხმების ტიპები, რომელსაც ბექტელი ყველაზე ხშირად იყენებს

ფასების კალკულაციის და ანაზღაურების პირობები
- პირობებთან შესაბამისობის და ეთიკის მნიშვნელობა ჩვენს ბიზნეს შეთანხმებებში

ბექტელის გარემოს დაცვის, უსაფრთხოების და ჯანდაცვის მოთხოვნების და ქვეკონტრაქტორების მიერ მათი შესრულების მნიშვნელობა
- რა შედის ბექტელის მიერ მომზადებულ სამუშაოს აღწერის ტიპიურ დოკუმენტში

წარსადგენი მასალები, რომლებიც, როგორც წესი, მოეთხოვებათ ქვეკონტრაქტორებს სამუშაოების დაწყებამდე
- რა ტიპის აღჭურვილობას და მასალებს შეისყიდის ბექტელი ამჟამად ქვეყანაში და ჩვენი სამომავლო მოთხოვნები

რა ტიპის ტექნიკური და სამშენებლო მომსახურების ქვეკონტრაქტების დებს ამჟამად ბექტელი ქვეყანაშიUდა ჩვენი სამომავლო მოთხოვნები
- დამსწრე საზოგადოების შეკითხვები ბექტელის პრეზენტაციის ბოლოს.

ამ კონფერენციის დროს პოტენციურ ქვეკონტრაქტორებს და მომწოდებლებს გადაეცემათ კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის / ქვეკონტრაქტორის კითხვარის პაკეტები და ეცნობებათ თუ როდის და რა მისამართზე უნდა გაუგზავნონ თავიანთი პასუხი ბექტელს. კომპანიების მიერ შევსებულ კითხვარს კი ბექტელი გამოიყენებს თქვენი კომპანიის კვალიფიკაციის შესაფასებლად და იმის გადასაწყვეტად, ჩართოს თუ არა თქვენი კომპანია ტენდერის მონაწილეთა სიაში, რის შემდეგაც კომპანიას გაეგზავნება წინადადებაზე მოთხოვნის პაკეტები.

იმისთვის რომ თქვენი კომპანია ჩაითვალოს წინასწარ კვალიფიცირებულ ქვეკონტრაქტორად, მას უნდა გააჩნდეს გარემოს დაცვის, უსაფრთხოების და ჯანდაცვის გეგმა და ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ბექტელის სტანდარტებს, რომლებიც განიხილება ამ კონფერენციის დროს.

თუ თქვენი კომპანიას აქვს საქართველოში მუშაობის ლიცენზია, სტაბილური ფინანსური მდგომარეობა და არის გამოცდილი, გირჩევთ აუცილებლად დაესწროთ ჩვენს კონფერენციას.

სასტუმრო ქორთიარდ მარიოტი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: თავისუფლების მოედანი 4, 0105, თბილისი, საქართველო

**თქვენს კომპანიას ვთხოვთ წინასწარ შეგვატყობინოს კონფერენციაზე დასწრების შესახებ. შეტყობინება უნდა გაუგზავნოთ ქ-ნ ლელა მაჩაიძეს ელ. ფოსტის შემდეგ მისამართზე lmachaid@bechtel.com ან ტელეფონის ნომერზე 995 32 47 40 40, ან კიდევ გამოგზავნოთ ფაქსით ნომერზე 995 32 92 29 96 2005 *წლის 13 ოქტომბრამდე*. რაკილა კონფერენციაზე ველით დამსწრეთა დიდ რაოდენობას, უმორჩილესად ვთხოვთ თითოეულ კომპანიას გამოგზავნონ ორი (2) მაღალი თანამდებობის წარმომადგენელი.**



# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144) აცხადებს ხელახალ, ღია, ორეტაპიან ტენდერს (ორ ლოტად) ფონდის ქვედანაყოფების განსათავსებლად საოფისე და საარქივო ფართობის შესყიდვის მიზნით და იწვევს მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

დაფინანსების წყარო - საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი, ფონდის საორგანიზაციო - ადმინისტრაციული ხარჯები.

2. შესყიდვის ობიექტია

**I ლოტი - ფართობი ქ. თბილისში ისანი-სამგორის რაიონში:**
**სამუშაო ფართობი არანაკლებ 130 მ2;**
**საარქივო ფართობი არანაკლებ 40 მ2;**
**II ლოტი - ფართობი წყალტუბოს რაიონში:**
**სამუშაო ფართობი არანაკლებ 60 მ2;**
**საარქივო ფართობი არანაკლებ 30 მ2;**

3. ფართობის გადაცემის ვადაა 10 კალენდარული დღე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების დღიდან.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება (ეს უკანასკნელი - დახურულ კონვერტში), ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 17 ოქტომბრიდან 18 ოქტომბრის 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს ან შესაბამისი მარეგისტრირებელი ორგანოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობა, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება(ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიიდან (თბილისში მდებარე ორგანიზაციებისათვის) ან სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით (საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებში მდებარე ორგანიზაციებისათვის);

დ) ცნობა, შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ე) ცნობა, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

ვ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის წესდება;

ზ) ნოტარიულად დამოწმებული პარტნიორთა ან დამფუძნებელთა თანხმობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისად ლიცენზირებული პოლიკლინიკიდან);

ბ) ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საქალაქო (რაიონული) სასამართლოდან);

დ) თანამესაკუთრეთა თანხმობა (ნოტარიულად დამოწმებული);

5.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა (წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ბ) ცნობა, იმის თაობაზე, რომ შენობა არ არის სასამართლოს დავის საგანი (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საქალაქო (რაიონული) სასამართლოდან);

6. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით.

7. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

8. ინსტრუქცია ორეტაპიან ტენდერში მონაწილეთათვის:

***პირველადი სატენდერო წინადადება, დახურულ კონვერტში***, ფინანსური მახასიათებლების გარეშე წარდგენილ უნდა იქნას სატენდერო კომისიაში ***(საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენასთან ერთად).***

*პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას*:

ა) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება;

ბ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის დასახელება;

გ) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ფართობისა და შენობაზე დამაგრებული მიწის ნაკვეთის აზომვითი ნახაზი;

დ) ინფორმაცია შენობის სართულიანობის, ტექნიკური მონაცემებისა და მდგრადობის შესახებ;

ე) ფასადებისა და ინტერიერის ამსახველი ფოტო ან ვიდეო მასალა;

ვ) შევსების თარიღი და ხელმოწერა.

9. მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ მონაწილეებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.

10. საკვალიფიკაციო შერჩევა დაიწყება 2005 წლის 19 ოქტომბრიდან, წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

11. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემის დაწყება-დამთავრების თარიღი ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს ეცნობებათ დამატებით. სატენდერო დოკუმენტაციის პრეტენდენტთათვის გაცემა მოხდება 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი; მიმღები ორგანიზაცია: სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი; მიმღების ანგარიში: 000115007; მიმღების ბანკის კოდი: 220101107; მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი: 211402855; საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის საიდენტიფიკაციო კოდი: 202204453). სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

12. პრეტენდენტებმა თითო ლოტზე უნდა წარმოადგინონ თითო სატენდერო წინადადება.

13. ტენდერის თითოეულ ლოტში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

14. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან - სახეწლმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი ბესიკ დათუკიშვილი, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე გელა ჩიკვაიძე მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი. ტელ: 69-65-90, 69-48-71; E-mail: Procurement-ge@yahoo.com.

# ლაშა და ლიტერატურა

**ლაშა:** ჩვენი საუბრის თემაა ლიტერატურული კონკურსი "პენ მარათონი". თუმცა მხოლოდ ამ თემით არ შემოვიფარგლებით. ჩემი სტუმრები არიან: გამომცემლობა "დიოგენეს" ხელმძღვანელი თამარ ლებანიძე, დრამატურგი ჯარჯი აქიმიძე (კონკურსის იდეის ავტორი და თანაორგანიზატორი) და მწერალი, შარშანდელი "პენ მარათონის" გამარჯვებული პაატა ბერიკაშვილი. წლევანდელმა ზაფხულმა "პენ მარათონის გარეშე ჩაიარა, რამაც საზოგადოებაში შეკითხვები გააჩინა.

**ჯარჯი აქიმიძე:** "პენ მარათონი" არ ჩაშლილა. ჩვენ ვაცხადებთ კონკურსს. ტრადიციულად სამი წელიწადია, კონკურსი იმართებოდა გაზაფხულზე-ზაფხულის დასაწყისში. წელსაც უნდა ჩაგვეტარებინა ამ დროს, მაგრამ პოლიტიკური მიზეზების გამო - რადგანაც ჩვენი სურვილი იყო "პენ მარათონი" აფხაზეთში ჩაგვეტარებინა, ვერ მოხერხდა. მცდელობა არ დაგვიკლია. გვინდოდა სახალხო დიპლომატიის ჩარჩოებში გაგვეკეთებინა ეს ყველაფერი. ანუ, იქაური და აქაური მწერლები შეგვეხვედრებინა ერთმანეთს, გარკვეულ დროს გაატარებდნენ ერთად. ეს იქნებოდა კიდევ ერთი ნაბიჯი, რომ ერთმანეთზე გადაკიდებული ხალხი დაახლოებოდა. მცდელობა ჯერჯერობით მცდელობად დარჩა. თუმცა კი იმედი გვაქვს, რომ ერთი თუ ორი წლის შემდეგ, აუცილებლად მოხდება. როგორც ჩანს, ახლა არ არის მომწიფებული საამისოდ ვითარება.

**ლაშა ბუღაძე:** ძალიან საინტერესო იქნებოდა, მით უმეტეს, რომ ჟურნალ "არილის" ბოლო ნომერში ძალიან საინტერესო იქაური ავტორები დაიბეჭდნენ.

**თამარ ლებანიძე:** აფხაზურ თემას, ბუნებრივია, ყველანი ვუტრიალებთ. რახან "პენ მარათონზე" ვსაუბრობთ, გავიხსენებ ჩვენი პირველი კონკურსის გამარჯვებულს გელა ჩქვანავას, რომლის ორენოვნი წიგნის გამოცემას უახლოეს მომავალში, ოქტომბერ-ნოემბერში შევთავაზებთ მკითხველს. ეს გამოცემა ქართულ-რუსული იქნება, რადგან რეალური მკითხველი აფხაზეთში რუსულად კითხულობს. მე ვფიქრობ, ეს ნაწარმოები იმით არის ღირებული, რომ დაცლილია ყოველგვარი უარყოფითი მუხტისგან. ეს ნეიტრალური თხრობაა ომის საზარელი სურათის შესახებ.

**ჯარჯი აქიმიძე:** "მარათონის" წინა წლების გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ უამრავს შემოჰქონდა ნაწარმოები, მათ შორის ბევრი ბავშვი იყო. ექსპერიმენტიც გვქონდა და წავიყვანეთ ბავშვიც, მაგრამ ექსტრემალურ პირობებში არ გამართლდა.

**ლაშა ბუღაძე:** შეიძლება ითქვას, რომ "პენ მარათონი" ერთგვარი კონკურსია პროფესიონალებისათვის?



*პაატა ბერიკაშვილი.*



*ჯარჯი აქიმიძე.*



*თამარ ლებანიძე.*

**პაატა ბერიკაშვილი:** "პენ მარათონის" ყველაზე მთავარი საკონკურსო მომენტია მათთვის, ვინც ამას გარედან უყურებს. კონკურსანტებიდან ზოგიერთი მეგობარია, ზოგიერთი - უცნობი. გამოუცდელებისთვის დიდი გამოცდილება და პლუსია ამ კონკურსზე გამოცდილ მწერლებთან ერთად ყოფნა. პირადად ჩემთვის ამ კონკურსიდან სულ სხვა მომენტი დაიწყო.

**ლაშა ბუღაძე:** რა მოტივაცია გქონდა, რომ "პენ მარათონზე" მიგელო მონაწილეობა?

**პაატა ბერიკაშვილი:** იდეალური პირობაა მუშაობისთვის.

**ლაშა ბუღაძე:** შესაძლოა ვისაუბროთ ლიტერატურისა და აზარტის კავშირზე?

**პაატა ბერიკაშვილი:** აზარტი ყოველთვის არის ლიტერატურაში.

**ჯარჯი აქიმიძე:** ყველაზე საინტერესო ჩემთვის, რაც იქ ხდება ხოლმე, ეს არის ურთიერთობა. ეს, ფაქტობრივად, ერთ სიტუაციაში, ერთ გარემოში გატარებული 30 საათია. ეს ადამიანები თანამზრახველები არიან. ამ ადამიანებს უყვართ ლიტერატურა და თანაც მიიღეს ეს გამოწვევა, ერთად ცდილობენ, რაღაც გამოუვიდეთ.

**პაატა ბერიკაშვილი:** "პენ მარათონი" ზრდის მკითხველის რაოდენობას; თუნდაც გარკვეული დროის მომენტში. აქ მწერლების აზარტი ნაკლებია. ყველას სჭირდება ის ათასი თუ ექვსასი დოლარი, მაგრამ პირველ რიგში მკითხველის გააქტიურებაა მნიშვნელოვანი.

**თამარ ლებანიძე:** ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ფორმები იყოს თანამედროვე, რასაც ჩვენ საზოგადოებას შევთავაზებთ და დინამიკა. დინამიკა მოიტანა დრომ. მიუხედავად მძაფრი კონკურენციისა, ჩემი აზრით, წიგნი ყოველთვის იარსებებს და ასეთი კონკურსები არის ყველანაირი დამხმარე საშუალება იმისთვის, რომ წიგნმა არ დაკარგოს პოზიცია. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ეს გვემუქრება.

**მსმენელი:** ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ამ კონკურსში მონაწილეობის მიღება თუ უკვე ცნობილ და გამარჯვებულ მწერლებს? და კიდევ, ეს თემები წინასწარ შეკვეთით არის თუ ვისაც რაზე უნდა, დაწერს?

**ჯარჯი აქიმიძე:** კონკურსში მონაწილეობა შეუძლია 16 წლის ზემოთ ყველა ადამიანს. არ აქვს მნიშვნელობა მწერალია თუ არა, ან აქვს თუ არა გამოქვეყნებული ნაწარმოები. რაც მთავარია, უნდა მოიტანოს ხუთ გვერდამდე ნაწარმოები, რომელიც არ იქნება გამოქვეყნებული. თემა არ არის განსაზღვრული. თემა და ეპიგრაფი მას შემდეგ განისაზღვრება, რაც კონკრეტული 26 ადამიანი აირჩევა, წავა კონკრეტულ ადგილას და მიიღებს კონკრეტულ დავალებას. მანამდე თემა ნებისმიერი შეიძლება იყოს.

**თამარ ლებანიძე:** კონკურსი ორი ეტაპისგან შედგება. პირველი არის შერჩევა და მეორე - წერა 30 საათის განმავლობაში. შერჩევის ეტაპი ორკვირიანია.

**ლაშა ბუღაძე:** ჟიური ტრადიციულია. ამასთან ერთად, ამბობთ, რომ გსურთ, თავი დაიზღვიოთ "ჩაწყობებისგან". ამ დროს საზოგადოებისთვის ცნობილია ჟიურის შემადგენლობა. რატომ არ გინდათ შემადგენლობის განახლება?

**პაატა ბერიკაშვილი:** ჟიურის თავმჯდომარეობს ვახუშტი კოტეტიშვილი, ჟიურის დანარჩენი წევრების ვინაობას ყოველთვის ვიგებდი გამარჯვებიდან ერთი კვირის შემდეგ.

**ჯარჯი აქიმიძე:** საქართველოში არაფერი იმალება. ყველაფრისგან თავის დასაზღვევად, გავამკაცრეთ პირობები. ჟიური კოლექტიურად აღარ მიიღებს გადაწყვეტილებას. ჟიურის თითოეული წევრი საკუთარ შეფასებებს ჩააბარებს გამომცემლობაში.

**მსმენელი:** რატომ მაინცადამაინც ხუთი გვერდი?

**თამარ ლებანიძე:** ხუთი გვერდი პირობითად არის აღებული. რა თქმა უნდა, სასურველია ხუთგვერდიანი მასალა დასრულებული სახით იყოს, მაგრამ ჩვენ მივიღებთ ფრაგმენტსაც. მონაწილე თვითონ წყვეტს, რას წარმოადგენს.

**ლაშა ბუღაძე:** პაატა, მაინტერესებს შენ თუ გქონდა აჩემებები კონკურსზე და რამდენად ადვილად დაძლიე? შთაბეჭდილება რომ მოგვიყვე. და კიდევ მაინტერესებს, სიუჟეტი მოფიქრებული გქონდა?

**პაატა ბერიკაშვილი:** გარემო იქმნება კარგი. ვინც მიდის იქ, უნდა წერა ან უნდება წერა. ახირება შეიძლება გქონდეს სახლში, ეზოში. გარემოა ჩემთვის ძალიან მშობლიური, იმიტომ რომ, ბევრი ნაცნობია. "პენ მარათონზე" გავიცანი ნუგზარ შატაიძე, რომლის ნაწარმოებებსაც 20 წელიწადია, ვკითხულობ. კონკურსის კიდევ ერთი პლიუსია: მწერლები ზარმაცები არიან. ეს ორი ადამიანი რომ არა, გაცილებით ნაკლებს დავწერდი. რაც შეეხება სიუჟეტს, ადგილზე მოვიფიქრე. მაგრამ, შეუძლებელია, რომ კონკურსამდე რაღაც წინასწარ არ გქონდეს მოაზრებული.

**ლაშა ბუღაძე:** კრიტიკული თვალით რომ შევხედოთ, ერთ თემაზე დაწერილი ამდენი ნაწარმოების შემთხვევაში, პირობითია, რაღაც ლიტერატურულ ფასეულობებზე საუბარი, მაგრამ რამდენად შეიძლება ჩაითვალოს ასე თუ ისე საინტერესო ლიტერატურად ეს ტექსტები? ანუ ჰყავს "პენ მარათონის" ბროშურებს თავისი მკითხველი? ანუ, რამდენად გააგრძელეს ამ მოთხრობებმა დამოუკიდებელი ცხოვრება?

**ჯარჯი აქიმიძე:** არა, კრებულს ყიდულობენ და კითხულობენ. საბედნიეროდ, ეს მოთხრობები ერთ თემაზე არ იქმნება. საერთოა ეპიგრაფი. ერთი ქუდის ქვეშ გაერთიანებული სხვადასხვა თავი. არის მაგალითები, ეს ხალხი, ვისაც თემა მოეწონა, ამუშავებს და მიდის გამომცემელთან.

**ლაშა ბუღაძე:** ერთმა უცხოელმა ჟურნალისტმა მკითხა, რატომ მიგაჩნიათ, რომ საჭიროა წიგნების კითხვაო? თქვენ რატომ მიგაჩნიათ, რომ საჭიროა, ადამიანებმა იკითხონ წიგნი?

**პაატა ბერიკაშვილი:** ჩვენ კი არა, თუ მეტი არა, ოცი საუკუნე მოვდივართ წიგნიდან. წიგნი ყოველთვის იქნება, ვიდრე ადამიანი წიგნიერია. როცა ადამიანი წიგნს დახურავს და გადავა მონიტორზე, ის დაკარგავს იმ ადამიანურ თვისებებს, რაც განასხვავებს კიბორგს და ბიოლოგიურ ადამიანს. მე ასე მწამს.

**თამარ ლებანიძე:** ჩემთვის წიგნის კითხვა სიამოვნებაა. წიგნი ერთადერთი ტირაჟირებადი პროდუქტია, რომელიც ინარჩუნებს ინტიმურობას; რომელიც ყოველთვის ხდება კონკრეტული მკითხველისთვის ინდივიდუალური საგანი.

**ჯარჯი აქიმიძე:** მეცნიერს დავესესხები - ცნობილ ალპინისტს ჰკითხეს, მთას რატომ დადიხარო. იმიტომ, რომ მთები არსებობსო. არსებობს წიგნი და უნდა წავიკითხოთ.

## ხუთი ხაზის ახალი კომბინაცია

### "ფაბრიკა 5" თბილისში ამუშავდება, ალა პუგაჩოვა კი...




ია ვეკუა

აქ არც ტრიკოტაჟის საქონელს აწარმოებენ და არც საბნებს კერავენ, ამ ფაბრიკაში რუსული ესტრადის ახალი კადრის მოძიება, მორთვა-მოკაზმვა, შეფუთვა და სარფიანად გაყიდვა ხდება. ამბობენ, რომ მყიდველიც ჰყავთ – სხვა თუ არაფერი, ფაბრიკული პროდუქცია თვით ალა ბორისოვნასა და კრუტოი იგორის ლეიბლითა და ლოცვა-კურთხევით გამოდის. რუსეთისთვის ეს იგივეა, რაც სტინგის ან ტინა ტერნერის რეკომენდაცია. ეს კი თვალსაც აძლობს და ყურსაც ატყუებს. მოტყუებული კი ბევრია – მათ შორის საქართველოშიც. ასე "მოტყუებულ-შეცდენილთაგან" ერთ-ერთი ბოლო კომპანია "5 ლაინს პროდაქშენია", რომელსაც თბილისში თითქმის სეხნია პროექტი "ფაბრიკა 5" ჩამოჰყავს.

ამ სინდიკატის ერთი ნაწილის კონცერტი, როგორც სავარაუდო იყო, რუსული ესტრადის მთავარ ქართულ არენაზე – სპორტის სასახლეში გაიმართება. კონცერტი 5 ოქტომბერსაა დაგეგმილი, თუმცა, 6 საათზე დაიწყება. როგორც კომპანიის ხელმძღვანელმა მამუკა სააკაშვილმა აღნიშნა, ციფრი 5 კარგად აქვს დაცდილი, ამიტომ კონცერტის დაწყებაც 5 საათზე უნდოდა, თუმცა, შემდეგ გადაიფიქრა, რადგან ზედმეტად ადრიანი "ტუსოვკა" გამოვიდოდა. სხვა (არაოფიციალური და ჩვენს მიერ მოგონილი) ვერსიის თანახმად, უბრალოდ, შეეშინდა, ამდენი ხუთიანით არ გათვალულიყო და კონცერტზე მხოლოდ ამ რაოდენობის მსმენელი არ მოსულიყო.

სააკაშვილისვე თქმით, მსმენელის სიმცირის არ ეშინია, რადგან ისევე როგორც წინა "ფაბრიკები", მისი მეხუთე გამოშვებაც არანაკლებ წარმატებული და პოპულარულია. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, დავუჯეროთ, რადგან მყარი გარანტიის გარეშე ასეთ მასშტაბურ პროექტს მხოლოდ გიჟი თუ მოჰკიდებდა ხელს. კონცერტი კი, მართლაც, მასშტაბური უნდა გამოვიდეს, რადგან თბილისში ერთბაშად ცხრა "ფაბრიკანტი" (შინაურულად სწორედ ასე მოიხსენიებენ რუსული ესტრადის ახალ წარმომადგენლებს) ჩამოდის. მათ შორის კონკურსის გამარჯვებული ვიქტორია დაინეკო, რუსლან მასიუკოვი, ელენა კუკარსკაია, აქსინია ვერჯაკი, კოსტია ლეგოსტაევი, მაიკ მირონენკო, მიშა ვესელიოვი, იულიანა კარაულოვა და დარია კლიუშნიკოვა. თუ ეს სახელები არაფერს გეუბნებათ, ნუ დაღონდებით, მათ შესახებ პლანეტის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს თუ გაუგია. მაგრამ თუ გინდათ მეტი იცოდეთ, 5 ოქტომბრის კონცერტს უნდა დაესწროთ.

შესაძლოა, კონცერტი სხვა მხრივაც გახდეს საინტერესო, რადგან მის კულისებში მთავარი ინტრიგა იმალება. ვინაიდან "ფაბრიკა 5-ის" გენერალური პროდიუსერი ალა პუგაჩოვაა, დიდი შანსია, რომ თავის აღსაზრდელებს თბილისში ჩამოჰყვეს. თუმცა, ესეც სათუოა, რადგან საქართველოსთან არცთუ კეთილი დამოკიდებულება ჰქონია. უცნობია, რა უფრო არ მოსწონს, ქართულ-რუსული ურთიერთობები თუ მხოლოდ ქართული ესტრადა, მაგრამ ის კი გავარკვიეთ, რომ "5 ლაინს პროდაქშენი" ჯერ კიდევ აწარმოებს მოლაპარაკებას მის ვიზიტთან დაკავშირებით. სხვა მხრივ კი, აი დარდი, თუ არ ჩამოვა!..

პუგაჩოვას ფანების საყურადღებოდ: უმისობას ბოლომდე აგინაზღაურებენ "ფაბრიკანტი" გოგო-ბიჭები, რომლებსაც თბილისელი მსმენელისთვის ტელეპროექტის მსვლელობისას გაჰიტებული სიმღერები ჩამოაქვთ. რამდენიმე მათგანის ვიდეოკლიპი კი ერთ-ერთი ქართული მუსიკალური არხის ეთერით დატრიალდება, რაც კონცერტისადმი ინტერესის გაცხოველების მიზნით კეთდება. ჯერჯერობით არ არის ცნობილი, ჩაატარებენ თუ არა კონცერტს რომელიმე თბილისურ კლუბში, რადგან სააკაშვილი მიიჩნევს, რომ ჩვენს ქალაქში შესაბამისი სივრცე არ არსებობს. ზედმეტად ელიტარულ კლუბში მოხვედრა კი ზედმეტად ძვირი სიამოვნებაა.

სპორტის სასახლის კონცერტზე "ფაბრიკელთა" გამოსვლამდე მსმენელს ადგილობრივი გაქანების ნაკლებად ცნობილი მომღერლები "გაახურებენ." ვინაიდან "5 ლაინს პროდაქშენი" საზღვარგარეთის ფესტივალებზე ქართველი მომღერლების გაგზავნითაცაა დაკავებული, სავარაუდოდ, კონცერტზე საკუთარ კონტინგენტს გამოიყვანს. ესეც ხომ ერთგვარი პრომოუშენია!

რაც შეეხება თავად "5 ლაინს პროდაქშენს", რუსული ესტრადის წარმომადგენელთა ჩამოყვანის გარკვეული გამოცდილება უკვე აქვს. 2003 წელს სწორედ მამუკა სააკაშვილის მეცადინეობით ვიხილეთ "ვია გრას" ფერხორციანი ქალები და ძუკნა სიყვარულზე მომღერალი მიხეილ ჯუმანჯი. თუმცა, კომპანია აქაური მომღერლების საზღვარგარეთულ კონკურსებსა და ფესტივალებზე გაგზავნაში უფროა დახელოვნებული. ბოლო დროს, თითქმის წელიწადნახევრის განმავლობაში, კომპანია, პრაქტიკულად, გაჩერებული იყო, ამიტომ "ფაბრიკელთა" ჩამოყვანა მისთვის ერთგვარი რეინკარნაციაა.



# კონკურსზე მოსაწვევი

*თარიღი:* 4 ოქტომბერი, 2005
*კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი:* ILSKL-CG-26-01
*მსოფლიო ბანკის და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის გრანტი ნომერი:* TF-050946
*სათემო კავშირ "სუფსა-ტაბანათის" მეორადი პროექტის ნომერი:* N ILSKL-CG-26
*პროექტის სახელი:* "სუფსის საშუალო სკოლის რეაბილიტაცია"

1. საქართველოს მთავრობა ახორციელებს საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტითა და გარემოსდაცვითი გლობალური ფონდის გრანტით დაფინანსებულ საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტს, რომელიც პროექტის სხვა კომპონენტებთან ერთად ხელს უწყობს კოლხეთის ჭარბტენიანი დაცული ტერიტორიების სისტემის: კოლხეთის ეროვნული პარკისა და ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალის ჩამოყალიბებას.

კოლხეთის დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბების იდეის მხარდაჭერად პილოტ ინიციატივის სახით იაპონიის სოციალური განვითარების ფონდისგან საქართველოს მთავრობამ მიიღო გრანტი (ნომერი TF050946) დაახლოებით 1.4 მილიონი აშშ დოლარი, ორწლიანი პროექტის სახელწოდებით: "კოლხეთის დაბლობზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესების" განსახორციელებლად (შემდგომში "კოლხეთის სათემო პროექტი"). "კოლხეთის სათემო პროექტი" ხორციელდება სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ს.ზ.ი.მ. ცენტრთან, შექმნილი გრანტის განმახორციელებელი ერთეულის მიერ. ს.ზ.ი.მ. ცენტრი იმავდროულად წარმოადგენს საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციას. გრანტის წერილობით ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 2004 წლის მაისში.

"კოლხეთის სათემო პროექტის" ფარგლებში სათემო კავშირი "სუფსა-ტაბანათი" ახორციელებს პროექტს (ნომერი ILSKL-CG-26) სახელწოდებით "სუფსის საშუალო სკოლის რეაბილიტაცია" და აპირებს გამოიყენოს გრანტის სახსრების ნაწილი "სუფსის საშუალო სკოლის შენობის რეკონსტრუქციის" სამუშაოებისათვის (კონტრაქტის ნომერი **ILSKL-CG-26-NCB-01**).

1. **სათემო კავშირი "სუფსა-ტაბანათი"** იწვევს დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შემდეგი სახის სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად:

1. სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარება არსებული სკოლის შენობაში;
2. სამშენებლო და შიდამოსაპირკეთებელი სამუშაოების ჩატარება სკოლის შენობაში;
3. სკოლის ეზოში ტუალეტის მოწყობა;

შესასრულებელი სამუშაოები მოიცავს ლანჩხუთის რაიონის სოფელ სუფსაში მდებარე, საშუალო სკოლის არსებულ შენობის რეაბილიტაციას. სამუშაოების განხორციელების დაგეგმილი ვადაა ხუთი თვე, ხოლო დაწყება 2005 წლის ნოემბერში არის ნავარაუდევი.

3. საკონკურსო დოკუმენტები და დამატებითი ასლები შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

სათემო კავშირი „სუფსა-ტაბანათი",
ლანჩხუთის რაიონი, სოფელი სუფსა,
საკრებულოს შენობა
მობილური: 893 91 57 19

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

სატენდერო დოკუმენტაციის არაანაზღაურებადი ღირებულებაა 50 ლარი. აღნიშნული თანხა კონკურსანტს არ დაუბრუნდება. იგი მოხმარდება საკონკურსო დოკუმენტაციის მომზადებას.

თანხა უნდა გადაირიცხოს სათემო კავშირის "სუფსა-ტაბანათი" ანგარიშზე:

| | |
|---|---|
| მიმღები: | სათემო კავშირი "სუფსა-ტაბანათი" |
| ანგარიში ლარებში N: | 36080068 სალარე ანგარიში |
| ბანკის კოდი N: | 220201432 |
| ბანკის დასახელება: | სახალხო ბანკის ლანჩხუთის ფილეალი |

4. საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს 4,000.00 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:
ლანჩხუთის რაიონი, სოფელი სუფსა,
საკრებულოს შენობა

| | | | |
|---|---|---|---|
| 12.32 | წყლის მილის გაყვანა დ-20 | 16.0 მ | |
| 12.33 | მილის შესაერთებელი ნაწილები | 12.0 ც | |
| 12.34 | საონკანის მოწყობა | 2.8 [illegible] | |
| | სულ სანიტარული კვანძის მოწყობა 6 ადგილზე | | |

მობილური: 893 91 57 19
დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.
2005 წლის 3 ნოემბერი 14:00 საათამდე. საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს 14:00 საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

5. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი.

| N | სამუშაოს დასახელება | მთლიანი ფასი |
|---|---|---|
| 1 | სახურავის მოწყობა | |
| 2 | კარ-ფანჯრის მოწყობა | |
| 3 | ამოშენების სამუშაოები | |
| 4 | ჭერის მოწყობა (I-II სართული) | |
| 5 | ავარიული ნაწილის მოხსნა | |
| 6 | კიბის უჯრების მოწყობა (მთავარი შესასვლელი) | |
| 7 | კიბის უჯრედის მოწყობა (მარჯვენა ფლიგელი) | |
| 8 | შესასვლელი პორტიკის მოწყობა | |
| 9 | გარე კედლების მოპირკეთება | |
| 10 | იატაკის შეკეთება (მოწყობა) | |
| 11 | სხვადასხვა | |
| 12 | სანიტარული კვანძის მოწყობა 6 ადგილზე | |
| | სულ სკოლის რეაბილიტაცია: | |

**ფასების შემაჯამებელი ცხრილი**
**თავი 9. ნახაზები**

**ნახაზები და შესაბამისი სპეციფიკაციები წარმოდგენილია ცალკე ტომად**

| | |
|---|---|
| **I სართულის გეგმა** | **გვერდი N 3, A A3 ფორმატი** |
| **II სართულის გეგმა** | **გვერდი N 4, A A3 ფორმატი** |
| **ფასადი** | **გვერდი N 5-6, AA3 ფორმატი** |
| **სახურავი** | **გვერდი N 7-8, AA3 ფორმატი** |
| **კიბის უჯრედი** | **გვერდი N 9, AA3 ფორმატი** |
| **სანიტარული კვანძის მოწყობა** | **გვერდი N 11-12, AA3 ფორმატი** |
| **კედლის დემონტაჟის გეგმა** | **გვერდი N 13, AA3 ფორმატი** |
| **ელექტრო გაყვანილობა I სართული** | **გვერდი N 14, AA3 ფორმატი** |
| **ელექტრო გაყვანილობა II სართული** | **გვერდი N 15, AA3 ფორმატი** |

# ორი სცენარი დემოკრატიისათვის

პირველი გვერდიდან

აღნიშნული თეზის რეალობაში რომ დავრწმუნდეთ, აუცილებელი არაა ღრმა თეორიული წიაღსვლები. საჭიროა უბრალოდ თვალი გადავავლოთ თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკურ რუკას: იქ, იმ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკური კეთილდღეობაა - დემოკრატია მაღალ დონეზეა განხორციელებული, რეალური დემოკრატიაა, ხოლო იქ, იმ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკური სიღატაკე და სოციალური ანტაგონიზმი მძვინვარებს, ან ფორმალური დემოკრატიაა, ან ავტორიტარიზმი, ან დიქტატურა და ან მსგავსი უკუღმართობა.

სიღატაკე და ეკონომიკური ჩამორჩენილობა წარმოშობენ დემოკრატიის ხელშემშლელ მიზეზთა გრძელ ჯაჭვს, რომელნიც საბოლოოდ შეუძლებელს ხდიან "ხალხის ძალაუფლების" განხორციელებას ბევრ ქვეყანაში. რა თქმა უნდა, თვით ქვეყნის ეკონომიკური ჩამორჩენილობაც სხვადასხვა მიზეზთა შედეგია. თანამედროვე მსოფლიოს ღარიბი ქვეყნების აბსოლუტურმა უმრავლესობამ უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე განვითარების დაახლოებით ერთნაირი გზა გაიარა: კოლონიალიზმი, მეტროპოლიების მიერ ადგილობრივი რესურსების ექსპლოატაცია; უცხო კაპიტალთან ალიანსში მყოფი კომპრადორული ბურჟუაზიების ფორმირება; ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების შედეგად პოლიტიკური დამოუკიდებლობების გამოცხადება და მეტ-ნაკლებად სუვერენული სახელმწიფოების ჩამოყალიბება; ადგილობრივი ეროვნული ხელისუფლებებისა და პოლიტიკური ელიტების ფორმირება; უმეტეს შემთხვევაში მათი უუნარობა საკუთარი ქვეყნის პერმანენტული ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანაში; ადგილობრივი პოლიტიკური ელიტების საზოგადოებისაგან თვითიზოლაცია, ეგოცენტრული ევოლუცია და მის მიერ მოსახლეობის სოციალური ინტერესების მარგინალიზაცია; უცხო კაპიტალისა და ეკონომიკისადმი სრული დამოკიდებულება და ადგილობრივი ეკონომიკის ემბრიონალური რესურსი და ა. შ. და ა. შ.

უნუგეშო სურათია. ამ ლამის საყოველთაოდ ქცეულ ტენდენციას ცოტამ დააღწია თავი.

დღევანდელი გარდამავალი პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის მქონე ქვეყნების რეალობა მრავალი ასპექტით ემსგავსება პირველი და მესამე სამყაროს ქვეყნების ვითარებას. სიახლოვე მესამე სამყაროსთან უფრო საგრძნობია. სწორედ ამიტომაც ცნობილი პოლონელი ეკონომისტი გ. კოლოდკო გვაფრთხილებს: "შესაძლოა, ვინმეს ოდესღაც სჯეროდა, რომ სისტემური ტრანსფორმაციის შედეგად გზა, სოციალისტური ქვეყნების "მეორე სამყაროდან" უშუალოდ და სწრაფად მიგვიყვანდა განვითარებული ქვეყნების "პირველ სამყარომდე", ახლა კი უკვე დროა, მივიღოთ ბევრად დამაჯერებელი სცენარი, რომლის მიხედვითაც ეს გზა "მესამე სამყარომდე" უფრო მიგვიყვანს."

ის, რაც ყველაზე მეტად გვაშორებს დასავლეთისაგან და გვაახლოებს სამხრეთთან, სიღატაკესა და კეთილდღეობას შორის არსებული მანძილია. ზემოაღნიშნული გაფრთხილების არსი იმაში მდგომარეობს, რომ თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, არასწორად ჩატარებული რეფორმების შედეგად, პოსტსოციალისტური სისტემის ნებისმიერი ქვეყანა შეიძლება საბოლოოდ ჩაეფლოს პერმანენტული სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის ჭაობში.

ამ "ჭაობში" იმყოფება ე. წ. "ჰიპს"-ის ორმოცდაერთი ქვეყანა - უკიდურესი სიღატაკისა და ყველაზე მაღალი დავალიანების მქონე სახელმწიფოები, რომლებსაც შეულამაზებლად უნდა ვუწოდოთ "მათხოვარი ქვეყნები". ანბანური მიმდევრობის მიხედვით, მათხოვართა ორმოცდაერთეული ასე გამოიყურება: ანგოლა, ბენინი, ბოლივია, ბურკინაფასო, ბურუნდი, გაიანა, გამბია, განა, გვინეა, გვინეა-ბისაუ, ეთიოპია, ვიეტნამი, ზამბია, იემენი, კამერუნი, კენია, კონგო, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, კოტ-დ ივუარი, ლაოსი, ლიბერია, მადაგასკარი, მალავი, მალი, მავრიტანია, მოზამბიკი, მიანმა, ნიგერი, ნიკარაგუა, რუანდა, სენეგალი, სიერა-ლეონე, სომალი, სუდანი, ტანზანია, ტოგო, სან-ტომე და პრინსიპი, უგანდა, ჩადი, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა და ჰონდურასი.

მკითხველი ალბათ უკვე დააფიქსირებდა სამ "მათხოვარ" ქვეყანას, რომლებსაც ამერიკის "ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციამ" საქართველოსთან ერთად დიდი ფინანსური დახმარება გამოუყო. პირველი კაბოვერდეს რესპუბლიკაა, ნახევარმილიონამდე მცხოვრებით (რუკაზე ეძებეთ ვენესუელის ჩრდილოეთით., მცირე ანტილიის კუნძულების ჯგუფში). კაბომ ჩვენზე 16 წლით ადრე მიიღო დამოუკიდებლობა, აწარმოებს თევზის, მარილის, ბანანის ექსპორტს და მთლიანი ეროვნული პროდუქტიც ერთ სულ მოსახლეზე 2 980 დოლარია. მეორე ჩვენი "კოლეგა" - სახელმწიფო მადაგასკარია, მესამე კი ჰონდურასი.

> **ცხადია, აღმოსავლეთ ევროპელებიც ვერ შეედრებიან მსოფლიოს უპირველეს სახელმწიფოებს, მაგრამ ისინი ცდილობენ, საკუთარი რესურსები მაქსიმალურად გამოიყენონ, ეკონომიკური პოტენციალი მინიმალურად მაინც შეინარჩუნონ, რომ მესამე სამყაროს ბადეში არ აღმოჩნდნენ.**

### სოციალური სატკივარი

რა თქმა უნდა, არ გვეხუმრებოდა, როცა აღვნიშნეთ, რომ სოციალურ პრობლემატიკას მეორეხარისხოვანი ადგილი უკავია ჩვენს შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაში. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ყოველდღიურობაში სხვა უამრავ სფეროს მეტი ყურადღება ეთმობა. მაგ. ამას წინათ ატეხილ დისკუსიას ადგილობრივი თვითმმართველობისა თუ მერის დანიშვნა-არჩევითობის შესახებ; კორუფციის ახალი ტალღის შემოტევის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ; ახალგაზრდობის სასახლის, სამკუთხედის, სამარშრუტო ტრანსპორტის შეზღუდვის, გზების ასფალტირების, შენობების გაფერადების, სკვერების, სპორტული მოედნების, რამიშვილ-ბექაურ-კაკაბაძე-ბენჯის, საპარლამენტო კინკლაობის, უნივერსიტეტის, აკადემიის, მასმედიის შევიწროებისა და სხვათა შესახებ, რომელთა ადგილისა და მნიშვნელობის უგულვებელყოფას ნამდვილად არ ვაპირებთ.

ამ და ათასი მსგავსი საზრუნავის პერმანენტული აქტუალიზაციით საზოგადოება ჰიპნოზირებულია და ყველას ავიწყდება ის, რაც პრობლემათა პრობლემაა, რაც ყველა ზემოაღნიშნულის განმაპირობებელი და წარმომშობია - ჩვენი სიღატაკე, სოციალური პოლარიზაცია, ეკონომიკური ჩამორჩენილობა.

ხელისუფლებაც გაღიზიანებულია და ვერ გარკვეულა, პასუხს ვერ პოულობს კითხვაზე - რატომ არის, რომ მის მიერ გაკეთებული კარგი საქმეებიც, რომელნიც მან ორი წლის განმავლობაში განახორციელა - საზოგადოებისაგან აღუქმელი, სწრაფად მივიწყებული და დაუფასებელი რჩება. რატომაა, რომ მოსახლეობისა და საზოგადოების დიდი ნაწილი არ იღებს ხელისუფლების მიერ მიღწეულს, მის ნაღვაწს.

საზოგადოებას სულ უფრო ავიწყდება, რომ ახალი ხელისუფლების მიერ 2003 წლის ნოემბერში გაკეთდა დიდი სტრატეგიული არჩევანი დემოკრატიისა და დასავლური კურსის მიმართულებით და უენთუზიაზმოდ უსმენს რევოლუციის სადიდებელ ქადაგს.

მოსახლეობას და საზოგადოებას უკვე ისიც ავიწყდება, რომ ახალმა ხელისუფლებამ საქართველოს ერთი ულამაზესი კუთხის სეპარატისტულად განწყობილი ადგილობრივი მმართველობა მოაშორა ქვეყანას. საზოგადოება ჩვეულებრივ მოვლენასავით უყურებს საუკუნეობრივი ოცნების აღსრულებას - ყოფილი მეტროპოლიის ჯარის გაყვანას ქვეყნის ტერიტორიიდან და ამ პროცესში ხელისუფლების მონდომებულ ძალისხმევას.

მოკლედ, მოსახლეობა და საზოგადოება სულ უფრო გულგრილად ეკიდება ბევრ საჭირბოროტო პრობლემას, რაც გაკეთდა და რაც გასაკეთებელია ხელისუფლების მიერ. მაგ. იმას, რომ ტერიტორიული მთლიანობაა აღსადგენი; რომ უწესრიგო და კორუმპირებული სამხედრო უწყება ჯარს და არმიას ემსგავსება; რომ პოლიცია წესრიგის დამრღვევიდან მის დამცველად ჩამოყალიბების პროცესშია; რომ წლევანდელ მისაღებ გამოცდებზე კორუფციის დონემ რადიკალურად დაიკლო და შესაბამისად ობიექტურობის ხარისხი გაიზარდა.

ამ და სხვა, ხელისუფლების ძალისხმევით განხორციელებულ დადებით ძვრებს, რეფორმებს თუ ღონისძიებებს, ხელისუფლებისავე გასაკვირად, მოსახლეობისა და საზოგადოების დიდი ნაწილი უცნაური უმადურობით და თითქმის გაუგებარი გაღიზიანებითაც კი ხვდება, სკეპტიკურ-კრიტიკულადაა განწყობილი.

რატომ, რა მიზეზით, რატომ ხდებოდა და ხდება ასე? სიბრმავის, სიყრუის, უმადურობის, შეუგნებლობის გამო?

იმიტომ, რომ ღატაკ მოსახლეობას, საზოგადოებას, ადამიანს - ინტერესების სფერო დავიწროებული და შეზღუდული აქვს. მისი მთავარი საზრუნავი ფიზიკური არსებობის შენარჩუნება გამხდარა. ასეთ საზოგადოებას სულ უფრო ნაკლებად აინტერესებს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი და ჩამოუთვლელი საკითხი. იგი სულ უფრო გულგრილად განეწყობა ქვეყნის, ხელისუფლების, პოლიტიკური ყოველდღიურობის მიმართ. ამგვარ საზოგადოებას უპერსპექტივობის გრძნობა ეუფლება არა მარტო საკუთარი თავის, სხვის, ხელისუფლების, პოლიტიკური რეალობის, ქვეყნის მიმართ.

ღატაკ ქვეყანაში კანონიერება და ნორმალური შრომითი შემოსავლით ცხოვრება გამონაკლისია, კანონის იგნორირება და კორუფცია - ჩვეულებრივი ყოველდღიურობა. მოსახლეობას, რომელსაც წესიერი შრომით შემოსავალი არა აქვს და არ ჰყოფნის, ან სიღატაკეში ყოფას უნდა შეეგუოს, ან მუდმივად იმის ფიქრში იყოს, როგორ იშოვოს მრუდე გზით სარჩო-საბადებელი და იქნებ მეტიც. ასეთ ქვეყანაში კორუფცია ვერ მოისპობა, რადგან საზოგადოების დიდი ნაწილი კორუფციული მენტალიტეტით ცხოვრობს და აზროვნებს. მსგავს რეალობაში კორუფცია ზღაპრული ასთავიანი დევივითაა. ღატაკ ქვეყანაში პოლიტიკური სარბიელიც ფულის შოვნის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად იქცევა, რაც შეუძლებელს ხდის პატიოსანი და პროფესიონალი თაობის მოსვლას პოლიტიკაში.

ხელისუფლებამ გამოსავალი მოძებნა და მაღალი თანამდებობის პირებს, აღმასრულებლებს, კანონმდებლებს სოლიდური ხელფასები დაუნიშნა, მაგრამ ისინი ხომ მოსახლეობის მცირე ნაწილს წარმოადგენენ? უმრავლესობა განწირული რჩება, რომ როგორმე შემოსავალი გაიჩინოს, ან უფერულ ბედს შეურიგდეს და გაღიზიანებით ადევნოს თვალ-ყური ქვეყნის მოჩვენებით წინსვლას, რომელსაც მისთვის რეალური სიკეთე არ მოაქვს.

### რეფორმები ყველასათვის

როგორც ერთ დროს ძლიერი და მდიდარი სახელმწიფოს შემქმნელ ხალხს, ჩვენ გვიყვარს დიდი და განვითარებული ქვეყნების მაგალითების მიზნად დასახვა. ესეც მორიგი ილუზიაა. განვითარებული დასავლეთის მიღწევები ჩვენთვის შეიძლება მხოლოდ - შორეული იდეალი იყოს, მაგრამ მიწიერი მაგალითი, რომელსაც უნდა მივბაძოთ - ჩვენს მდგომარეობაში მყოფი დაწინაურებული ხალხები უნდა იყვნენ. ჩვენმა წინაპრებმა XIX საუკუნეში ეს მშვენივრად იცოდნენ. ილიასათვის, ნიკო ნიკოლაძისთვის, სერგეი მესხისთვის თუ არჩილ ჯორჯაძისთვის ამერიკული და ევროპულ-დასავლური დემოკრატია იდეალი გახლდათ. მაგალითი კი მათთვის იყო ირლანდია, ჯერ კიდევ გასანთავისუფლებელი იტალია, უნგრეთი, ბალტიის ქვეყნები, ჩეხია, ფინეთი, განსაკუთრებით პოლონეთი...

ჩვენთვის დასაძლევ ანალოგიურ ამოცანებს დღესაც უმეტესად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ხალხები ახორციელებენ და სწორედ მათი რეალობაა ის მაგალითი, რომლის განხორციელების შედარებით პოტენციური შესაძლებლობაც გაგვაჩნია. ცხადია, აღმოსავლეთ ევროპელებიც ვერ შეედრებიან მსოფლიოს უპირველეს სახელმწიფოებს, მაგრამ ისინი ცდილობენ, საკუთარი რესურსები მაქსიმალურად გამოიყენონ, ეკონომიკური პოტენციალი მინიმალურად მაინც შეინარჩუნონ, რომ მესამე სამყაროს ბადეში არ აღმოჩნდნენ.

უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე, გარდამავალ პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ორი ტიპის ხელისუფლებები ჩამოყალიბდა, ე. ი. მოვლენები ორი სახის სცენარით განვითარდა.

პირველი სცენარის მიხედვით, მთავრობები უსიტყვოდ ასრულებდნენ უცხო კაპიტალის დაკვეთებს, ითვისებდნენ დასავლეთიდან მომდინარე ჰუმანიტარულ თუ ფინანსურ დახმარებებს, საკუთარი ხალხის ინტერესების ხარჯზე აკაბალებდნენ ქვეყანას. ამ ე. წ. კომპრადორული ადგილობრივი პოლიტიკური და ბიზნესელიტების ქმედების წყალობით, ქვეყანათა ერთი ჯგუფი სრულიად დამოკიდებული გახდა უცხო კაპიტალზე. ასეთი ტერმინიც გაჩნდა - "დამოკიდებული კაპიტალიზმის" პოსტსოციალისტური ქვეყნები, რომლებიც დღემდე ვერ ახერხებენ დამოუკიდებელ ტრანსფორმაციას და დიდ ვალებშიც აღმოჩნდნენ.

პირველი სცენარის ქვეყნებში, მოსახლეობის დიდი უმრავლესობა სიღატაკეში აღმოჩნდა ჩაფლული, ხოლო საეჭვო გზით შექმნილი ბიზნეს თუ პოლიტელიტები ოაზისურ იზოლაციაში მოექცნენ და საკუთარი მოსახლეობისაგან გაუცხოებულნი აღმოჩნდნენ. პიტსბურგის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის პროფესორმა ჯანინ უიდლმა სპეციალურად შეისწავლა მაღალგანვითარებული ქვეყნების დახმარებების მექანიზმები პოსტსოციალისტური ქვეყნებისადმი. ამერიკელი მეცნიერის დასკვნით, ხშირად ეს დახმარებები სრული ილუზია იყო, რადგან მის დიდ ნაწილს ამ ქვეყნების მოსახლეობა კი არ მოიხმარდა, არამედ მისი ნაწილი - პოსტსოციალისტური ქვეყნების ბიზნეს და პოლიტიკური ელიტები.

ერთ-ერთი ქვეყანა, სადაც აღნიშნული მახინჯი მექანიზმი სრულყოფილად განხორციელდა, გასული საუკუნის 90-იანი წლების საქართველო გახლდათ. ამ რეალობას ვერ გაექცევა წინა ხელისუფლებისა და მისი თავკაცის ვერც ერთი დღევანდელი აპოლოგეტი თუ ადეპტი. შესაძლოა, ამ პროცესში იყო გარკვეული კანონზომიერებებიც, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ ზემოაღნიშნული პრაქტიკის გამო აღმოჩნდა ჩვენი ქვეყანა და მოსახლეობის უმრავლესობა სიღატაკეში.

> **უბედურება ის გახლდათ, რომ სახელმწიფოს მშენებლობის დეკლარირების ფონზე დაიწყო მისი ეკონომიკური და სოციალური საფუძვლების ნგრევა, სოციალური პოლარიზაციის ზღვარდაუდებელი გაღრმავება, მოსახლეობის დიდი ნაწილის მანამდე არნახული გაღატაკება.**

მეორე სცენარი უფრო იშვიათი და რთულად განსახორციელებელი აღმოჩნდა. გლობალიზაციის პროცესმა პოსტსოციალისტური სახელმწიფოების ეს ჯგუფიც მოიცვა. მაღალგანვითარებულმა დასავლურმა პროდუქციამ და ტექნოლოგიებმა აქაც დაიპყრო ადგილობრივი ბაზარი, ერთი განსხვავებით. მეორე სცენარის პირობებში პოლიტიკურმა ელიტებმა მაქსიმალურად სცადეს შეენარჩუნებინათ თვითმყოფადობა, დაეცვათ ადგილობრივი ინტერესები, ეკონომიკური რესურსები, შეძლებისამებრ ადგილობრივი მრეწველობა-მეურნეობა. აღნიშნული ქვეყნების პოლიტელიტები კი არ უპირისპირდებოდნენ ან საეჭვო გარიგებებზე მიდიოდნენ, არამედ ცდილობდნენ დასავლურ კაპიტალთან პარტნიორულ თანამშრომლობას, ადგილობრივი ინტერესების მის მოთხოვნებთან შეთანხმებას. სწორედ ამ გზით ახორციელებდნენ და დღესაც განაგრძობენ რეფორმატორულ ტრანსფორმაციას პოლონელები, ჩეხები, ბალტიისპირელები...

სხვაგვარად, ქვეყნების ამ ჯგუფს შეიძლება აქტიურად ტრანსფორმირებადი სახელმწიფოებიც ვუწოდოთ. ეს ის შემთხვევაა, როცა რეფორმატორული გარდაქმნების პროცესში მოსახლეობის დიდი ნაწილი მონაწილეობს და მისი სიკეთეებითაც სარგებლობს, განსხვავებით იმ ქვეყნებისაგან, სადაც ეს პრეროგატივა ელიტებს აქვთ უზურპირებული.

> **დღეს იქმნება საშიშროება, რომ ახალმა ხელისუფლებამ ძველების შეცდომები გაიმეოროს და ახლა უკვე დემოკრატიის განუხორციელებელ იმპერატიულ იდეას კვლავ შესწიროს სოციალური სფერო - მოსახლეობის კიდევ უფრო გაუარესებული მდგომარეობა, კიდევ უფრო გაღრმავებული პოლარიზაცია, კიდევ უფრო გაზრდილი უმუშევრობა...**

ჩვენს მიერ ზემოთ ციტირებული პოლონელი მეცნიერი-ეკონომისტი, ამ ქვეყნის ყოფილი ვიცე-პრემიერი, ფინანსთა მინისტრი 1994-1997 წლებში და სწორედ ამ პერიოდში განხორციელებული რეფორმების ერთ-ერთი არქიტექტორი განგვიმარტავს, რომ გლობალიზაცია არამარტო ერთიანი მსოფლიო ბაზრის ჩამოყალიბების პროცესია, არამედ მასში ჩაბმული ქვეყნების "რისკიანი და კონფლიქტოგენური" ინტერესების თამაშიც. "ზოგიერთი ხალხები და ქვეყნები ამ თამაშიდან დიდი სარგებელით გამოვლენ, ზოგიერთები ნაკლებით, მესამენი კი თავს სავსებით დამარცხებულად იგრძნობენ. მთავარია ამ თამაშში მონაწილემ სხვებს არ მისცეს ნება, რომ ის "პერიფერიაში გადაისროლონ და წამგებიან პოზიციაზე მიუჩინონ ადგილი, გლობალური სოფლის კიდეზე". მაგრამ რა უ მოიმოქმედოს ქვეყნის ხელისუფლებამ, პოლონელი რეფორმატორის აზრით, რათა "გლობალური სოფლის კიდეზე" არ აღმოჩნდეს? ის, რომ გონივრულად შემუშავებული სტრატეგიის წყალობით, რეფორმატორული გარდაქმნები ისე ჩაატაროს, რომ პოლიტიკურ-ეკონომიკური სარგებელი მიიღოს - "სარგებელი ყველასათვის და არა მხოლოდ ელიტისათვის".

ეს კი, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს, რომ სიღატაკის წრიდან თავი უნდა დაიხსნას ქვეყნის მოსახლეობისა და საზოგადოების უმრავლესობამ და არა მხოლოდ მისმა ერთმა მცირე ნაწილმა. ჯერჯერობით ჩვენ ეს უკანასკნელი გავაკეთეთ და აქ შევჩერდით.

### სოციალური ბარიერი

სიღატაკე და სოციალური პოლარიზმი ისე არაფერს უშლის ხელს, როგორც დემოკრატიული საზოგადოებისა და სტრუქტურების შექმნას. ამ მიზეზთა მიზეზმა განაპირობა ის, რომ უკანასკნელი 15 წლის მანძილზე დემოკრატიამ ქართული რეალობის მხოლოდ ზედნაშენურ სფეროებში მოიკიდა ფეხი.

სოციალური პრობლემატიკა საქართველოს ვერც ერთი წინა ხელისუფლების მთავარი საზრუნავი ვერ გახდა. ამ ხნის განმავლობაში თითოეული ხელისუფლების საქმიანობას - ერთი იმპერატიული პოლიტიკური იდეა წარმართავდა. სხვა დანარჩენი პოლიტიკურ-ეკონომიკური სახის პრიორიტეტები, მათ შორის - სოციალური სფეროც, ფაქტობრივად ქაღალდზე არსებობდა.

ზვიად გამსახურდიას ეროვნულ მოძრაობაში ლიდერობის დროიდან და მმართველობის პერიოდშიც, პოლიტიკური ცხოვრების იმპერატიულ იდეას - დამოუკიდებლობა წარმოადგენდა. დამოუკიდებლობის იდეა იქცა ყოვლისშთანმთქმელ ლოზუნგად, რომელმაც სხვა ყველაფერი მეორეხარისხოვნად აქცია და ეს გასაგები კანონზომიერებაც კი იყო მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციის მქონე საქართველოსათვის. დამოუკიდებლობის ლოზუნგის რომანტიკულმა უნივერსალიზაციამ რეალობიდან და აზროვნებიდან უკუაგდო მერაბ მამარდაშვილის ზოგად-ფილოსოფიური მაქსიმა - ჭეშმარიტება მაღლა დგას სამშობლოზე. სიმბოლურად, ამგვარი არჩევანი მოასწავებდა პოლიტიკური რომანტიზმის გამარჯვებას რეალიზმზე.

ამ პერიოდიდან დაიწყო სოციალური სფეროს მარგინალიზაცია. ედუარდ შევარდნაძის მმართველობის ათწლეულის იმპერატიულ პოლიტიკურ იდეად - სახელმწიფო გამოცხადდა: სახელმწიფოს სტაბილიზაცია, მმართველი ორგანოების შექმნა-განმტკიცება, საკანონმდებლო ბაზის მომზადება, ინსტიტუციონალიზაცია... ახლა უკვე სახელმწიფოს იდეა გახდა ყოვლისმომცველი, ყოველ შემთხვევაში, დეკლარაციულად მაინც. რაც მთავარია, ახლა უკვე სახელმწიფოს იდეას შეეწირა სოციალური სფერო.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო უბედურება. უბედურება ის გახლდათ, რომ სახელმწიფოს მშენებლობის დეკლარირების ფონზე დაიწყო მისი ეკონომიკური და სოციალური საფუძვლების ნგრევა, სოციალური პოლარიზაციის ზღვარდაუდებელი გაღრმავება, მოსახლეობის დიდი ნაწილის მანამდე არნახული გაღატაკება. ეს თავისებური ნეოპროლეტარიზაციის პროცესი მიმდინარეობდა პოლიტელიტის ჩამოყალიბების სტიმულირების თანხლებით. თითქოს ხელისუფლებამ ფარული სანქცია გასცა, ერთი ელიტისადმი - ძარცვეთ და გამდიდრდით! მეორე მოსახლეობისადმი - ვისაც როგორ შეგიძლიათ, ისე გადაირჩინეთ თავი!

2003 წლის ნოემბრის მოვლენები მესამე იმპერატიული პოლიტიკური იდეის სახელით მოხდა - დემოკრატიის დროშით. ახალი ხელისუფლების შემდგომ საქმიანობაშიც სხვა პრიორიტეტებს შორის დემოკრატიის იდეა წამყვანი სტრატეგიული კურსი გახლდათ, რომლიდანაც სხვა ყველაფერი თავისთავად გამომდინარედ იგულისხმებოდა.

თავდაპირველად ეს სწორი არჩევანი იყო, მაგრამ ერთი გარემოებაა გასათვალისწინებელი. ნოემბრის მოვლენებში ახალი სახელისუფლებო ძალებისადმი მოსახლეობის დიდი ნაწილის მხარდაჭერა არა იმდენად დემოკრატიის ლოზუნგმა, არამედ მძიმე სოციალურმა ფაქტორმა განაპირობა. უხელფასობის, უმუშევრობის, უპენსიობის, უსინათლობის და სხვა სოციალ-ეკონომიკური სახის გაჭირვებით გაწამებულმა მოსახლეობამ დაუნანებლად მოიცილა თავიდან თავისი სიღატაკეში ჩამგდები ან მასში ბრალდებული ხელისუფლება. სამაგიეროდ იგი იმ ძალებს მიემხრო, რომელნიც მას პირდებოდნენ არა იმდენად დემოკრატიას, რომელსაც ისინი თავისთავად მიესალმებოდნენ, არამედ - სხვადასხვა სოციალურ სიკეთეებს, ხელფასს, პენსიებს, სამუშაოს, ეკონომიკის აღორძინებას, სიღატაკიდან თავდახსნას, ნორმალურ ადამიანურ ყოფით გარემოს.

დღეს იქმნება საშიშროება, რომ ახალმა ხელისუფლებამ ძველების შეცდომები გაიმეოროს და ახლა უკვე დემოკრატიის განუხორციელებელ იმპერატიულ იდეას კვლავ შესწიროს სოციალური სფერო - მოსახლეობის კიდევ უფრო გაუარესებული მდგომარეობა, კიდევ უფრო გაღრმავებული პოლარიზაცია, კიდევ უფრო გაზრდილი უმუშევრობა... თუ აღნიშნული ტენდენცია კვლავ გაგრძელდა, ეს იქნება დიდი შეცდომა და დამღუპველიც, არამარტო იმათთვის, ვის მიმართაც მას დაუშვებენ, არამედ მათთვის, ვინც მას დაუშვებს.

ხელისუფლებამ სწორი საგარეო-პოლიტიკური კურსი დაამკვიდრა და ახორციელებს - ევროდასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაცია. მანვე საშინაო პოლიტიკაში ერთადერთი სწორი სტრატეგია უნდა მიიღოს და წამყვან იმპერატიულ იდეად - დემოკრატიის უპირველესი დაბრკოლების - სიღატაკის დამარცხება მიიჩნიოს. ამ მთავარმიზნის განხორციელების გზებზე უნდა ალაპარაკდეს ხელისუფლებაც, ოპოზიციაც, მასმედიაც. სხვა ყველაფერი, რამდენად მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს, მეორეხარსხოვანია.

ევროპაში ბევრი კარგი გენერალია, - ამბობდა თურმე ნაპოლეონი, - მაგრამ მათი სისუსტე ისაა, რომ ცდილობენ, რამდენიმე მიზანს ერთდროულად მიაღწიონ. მათგან განსხვავებით მე ერთ მიზანს ვისახავ და ყველაფერს მას ვუმორჩილებ. ეს მიზანია, გავანადგურო მოწინააღმდეგის არმია. ჩვენი ქვეყნის, ხელისუფლებისა და ხალხის მთავარი მოწინააღმდეგე დღეს - სიღატაკეა, ის უნდა დავძლიოთ და ისევე იქნება რეალური დემოკრატიის დასაწყისი.




ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს
ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge



ნოდარ ლადარია

ფილოსოფია გვასწავლის, რომ ყოველი მდგომარეობიდან რაღაც სულიერი სარგებლობა უნდა მივიღოთ. საკმაოდ უხალისოდ, მაგრამ მეც დავემორჩილე ამ ბრძნულ მოთხოვნას და რადგან კომპიუტერის ეკრანის ხილვა დამაკლდა, სულ უფრო მეტი დრო მრჩება ტელევიზორისთვის. შედეგმაც არ დააყოვნა: რამდენიმე დღის წინათ გავიგონე უმაღლესი განათლების რეფორმამდელი სისტემის მოულოდნელად ამომწურავი და ამასთან ერთად საოცრად ელეგანტური განსაზღვრება...

**"საკუთარი შვილის უცოდინრობის ყიდვა"** - ასე უწოდა რეფორმამდელ უმაღლეს განათლებას **თამაზ კვაჭანტირაძემ** და ეს გამონათქვამი ნამდვილად იმსახურებს იმას, რომ არ ჩაიკარგოს ავტორის სწორუპოვარი მჭევრმეტყველების ნაკადში, ამ ნაკადიდან ფრთხილად იქნეს ამოღებული და სამარადჟამოდ შენახული, რათა არასოდეს განმეორდეს მისი შესაბამისი სინამდვილე.

თუმცა მშობლიური ტელევიზია ხანდახან სულ სხვა, პირდაპირ რომ ვთქვათ, სრულიად საწინააღმდეგო მაგალითებსაც გვთავაზობს. რას იზამ, ასეთი წინააღმდეგობრივი და არეულია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება. მაგრამ ბანალურ შესავალს მოვეშვათ და პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ:

აკადემიკოსმა (sic!) **მინდია სალუქვაძემ** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის (კინაღამ დავწერე "საქართველოს სსრ") სხდომაზე განაცხადა, რომ... აჰ, ზუსტ ციტირებას ნამდვილად ვერ მოვახერხებ, მაგრამ ისევ და ისევ სტალინის ხსენება იყო. ახლა იმ აზრით, რომ საბჭოთა დიქტატორს, რომელსაც უახლოესი გარემოცვა ხან მოწიწებით "ხაზეინს" ეძახდა, ხანაც ზიზღით "გუტალინს", თურმე ცაში აუყვანია მეცნიერები, რადგან მათ მნიშვნელობას აღიარებდა. სხვაზე არაფერს ვიტყვი, მაგრამ აკადემიკოსმა კი უნდა იცოდეს, რას ნიშნავს სტალინური მეცნიერება: ვინც მეცნიერის სახელს ნამდვილად იმსახურებდა, ცაში კი არ იყო აყვანილი, არამედ პატიმრობაში. მათი სახელი მათ სიცოცხლეში არავის გაეგონა და სანამ **ალექსანდრე სოლჟენიცინმა** არ გამოაქვეყნა, არც ეს სტალინური ნეოლოგიზმი იცოდნენ "ხალხის ფართო მასებმა" — შარაგა. რაო, ჟარგონულად ჟღერს? თქვენს მაღალ გემოვნებას არ ეკადრება? — არა, ღრმად პატივცემულო ქართველო აკადემიკოსებო, ცხვირს ნუ იბზუებთ, მით უმეტეს, რომ გულაგის ფარგლებში მოწყობილ ამ სამეცნიერო ლაბორატორიებში თქვენ არავინ გაგიკარებდათ. იქ სერიოზული ხალხი მუშაობდა. თქვენი ადგილი კი სხვაგან იქნებოდა: მიჩურინის, ლისენკოსა და ოპარინის გვერდით, პრეზიდიუმებში, სტალინური არქიტექტურის მონსტრებსა, და მეორე რიგის სპეცგამანაწილებლებში (პირველი რიგი პარტიულ ნომენკლატურას ეკუთვნოდა). ასე რომ, აღიარეთ: სტალინურ მეცნიერებას კი არ მისტირით (მის კორიფეთა ბედის გაზიარებას მტერსაც არ ვუსურვებ), არამედ სტალინურ პრივილეგიებს. ერთი სიტყვით, სტალინური მეცნიერების მაღალ დონესა და სტალინის ეპოქის მეცნიერთა საზოგადოებრივად დაფასებულ მდგომარეობაზე ყოველი ცალსახა განცხადება უნამუსობაა და მეტი არაფერი.

რახან ზნეობრივი მხარე გავარკვიეთ, განვამტკიცოთ ჩვენი მსჯელობა კიდევ ერთი არგუმენტით. მეცნიერება (ნამდვილი მეცნიერება), თავისი არსით, კოსმოპოლიტური ფენომენია და ვერ იარსებებს საერთაშორისო კონტაქტების გარეშე. შარაგებში ამ კონტაქტს საბჭოთა საგარეო დაზვერვა "უზრუნველყოფდა", პრეზიდიუმებში კი ეს საჭირო არც იყო, რადგან პრეზიდიუმები, მცირე გამონაკლისის გარდა, არც შეიცავდნენ მეცნიერებას. ახლა კი გადავხედოთ სტალინიზმის დღევანდელ აპოლოგეტთა სამეცნიერო ნაშრომების სიას, ამ ნაშრომების გავრცელების არეალს, უცხო ენების (თუნდაც რუსულის) ფლობის ხარისხს და გასაგები გახდება, რომ მეცნიერებას აქ ნამდვილად არაფერი ესაქმება. ცაში აყვანას რაც შეეხება, ერთი რამ ნამდვილად უეჭველია: ბ-ნი სალუქვაძე და ძმანი მისნი ნამდვილად ცას გამოეკერნენ...

მაგრამ ამდენ დროს არ დავუთმობდი ამ ისედაც ცხად საკითხს, რომ არა "24 საათის" ერთი პუბლიკაცია: 26 სექტემბერი, **ნიკო მელიქიძე**, *როგორ გადავარჩინოთ უნივერსიტეტი*. მაგრამ სანამ ტექსტის უშუალო განხილვას დავიწყებდე ერთი უშუალო შთაბეჭდილება უნდა შემოგთავაზოთ, ამჯერად, აწ მნიშვნელოვნად შევიწროებული და შესაბამისად კიდევ უფრო გალიზიანებული "მარშრუტკიდან", სადაც ერთი ქალბატონი რისხვით ქადაგებდა: "ჩემი შვილი არ გავუშვი სპორტის სასახლეში, იქ სოფლელები იქნებოდნენ და ჩემს შვილს სოფლელებთან რა ესაქმება!" — ყველამ ვიცით, რომ სპორტის სასახლეში 25 სექტემბერს **მიხეილ სააკაშვილი** შეხვდა წელს ჩარიცხულ სტუდენტებს. თავისი ხარისხითა და შინაარსით ეს "სამარშრუტკო" ქადაგება არაფრით განსხვავდებოდა იმ ისტერიული ხავილისაგან, რომელიც გასულ კვირას ტელეკომპანია "202"-ის ეთერში მოვისმინეთ, სადაც ერთმანეთს ცვლიდნენ "მართლმადიდებლობის ბურჯები" და "თსუ-ს ზნეობრივი სიმბოლოები". სწორედ ამ ზნეობრივი სიმბოლოებით გამაგრებული უნივერსიტეტის გადარჩენას ეძღვნება ბ-ნი მელიქიძის ოპუსი.

თუმცა ოპუსის ორი მესამედი სულ სხვა საკითხებს უჭირავს. აქ ავტორი უნივერსიტეტის, როგორც ასეთის, წარმოშობასა და განვითარებას ეხება. თავი მოვიკალი იმაზე ფიქრით, სად შეიძლებოდა ამოეკითხა მას ევროპული უნივერსიტეტის ამგვარი ისტორია. ვერაფრით მივხვდი. აი, მაგალითად, ასეთი წინადადება: **"უნივერსიტეტის წარმოქმნა განათლებისკენ სწრაფვის იმ საოცარი ენთუზიაზმის შედეგია, რომელმაც XI საუკუნის ჯერ კიდევ ბარბაროსულ ევროპაში განსაკუთრებული ძალით იფეთქა"**. კი მაგრამ რატომ იყო XI საუკუნის ევროპა ბარბაროსული — რა აზრია ჩადებული ამ ზედსართავში? ან რატომ იფეთქა "განსაკუთრებული ძალით" განათლებისკენ სწრაფვის საოცარმა ენთუზიაზმმა? ბოლოს და ბოლოს, ეს საკითხი მართლაც რომ "შეჭმულია" მეცნიერებაში — და თუ მის გადმოსაცემად ათი ათას ასო-ნიშანზე მეტს ხარჯავ, ხომ შეიძლება უფრო მარტივად და გასაგებად გადმოსცე აზრი? არა, მაინცდამაინც სტალინური მეცნიერების მოყირჭებული სტილით უნდა დაგვაბნიო, ბრტყელ-ბრტყელი ფრაზებით უნდა დაფარო აზრის უბადრუკობა. აზრი კი შემდეგია: განათლებისკენ სწრაფვა მხოლოდ დამხმარე პირობაა, ძირითადი როლი კი თურმე წარსულის ინტელექტუალური მემკვიდრეობით უკმაყოფილება იყო! ციტატა: **"უკვე დაგროვილ ცოდნაში (განსაკუთრებით, სამართლისა და საღვთო სწავლების სფეროში) შინაგან ლოგიკურ წინააღმდეგობათა გაცნობიერება მოხდა"**. კაცმა რომ თქვას, სამართლის (იმხანად, რომაული სამართლის) სისტემაში შინაგან წინააღმდეგობათა გაცნობიერებისათვის განმანათლებლობის ეპოქას უნდა დაველოდოთ, ხოლო რას ნიშნავს "საღვთო სწავლება", არავინ იცის. უნდა ვივარაუდოთ, რომ თეოლოგია იგულისხმება...

ამას მოსდევს "ევროპული სულიერი ცხოვრების" დახასიათება: **"იგი არ ეგუება საკუთარ იდეალსა და რეალობას შორის შეუთანხმებლობას, არ თანხმდება ასეთ რეალობაში ყოფნას და დაუკმაყოფილებლობის ეს განცდა ამ რეალობის გარდაქმნისკენ უბიძგებს!"** — ამ ღრმააზროვან დასკვნას, რომელსაც (რომ არ წაიქცეს) მარჯვნიდან ჭიგოსავით ძახილის ნიშანი აქვს შედგმული, მოსდევს გასაოცარი წინადადება: **"დღეს ძნელია იმის დადგენა, თუ როგორ შეიძინა ამგვარმა ძალისხმევამ ინტელექტუალური მიმართულება"**. ნეტა სხვა რომელი მიმართულების შეძენა შეეძლო?

მაგრამ სხვა რა დასკვნას უნდა ველოდოთ ავტორისაგან, რომელიც ასეთ დონეზე მსჯელობს: **"აკადემიურ სფეროში ცოდნა ძირითადად მისი ჭეშმარიტებით ან სიმცდარით ფასდება; პრაქტიკულ სფეროში კი შეფასების ძირითადი კრიტერიუმი ცოდნის ეფექტურობაა; თუმცა ეფექტური ცოდნა, აკადემიური თვალსაზრისით, შესაძლოა მცდარიც კი იყოს (მაგალითად, ის წარმოდგენა, რომ დედამიწა ბრტყელია, ადამიანს სივრცეში გადაადგილების მრავალი პრაქტიკული ამოცანის გადაწყვეტაში მხოლოდ ეხმარება)"**. ყველაფერს ავიტანთ, ყველაფერს შევურიგდებით, მაგრამ, თუ ღმერთი გწამთ, ამიხსენით, რატომ უნდა გვასწავლიდეს ჭკუას, რატომ უნდა მსჯელობდეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გადარჩენაზე ადამიანი, ვისაც არ ესმის განსხვავება კონცეპტსა და მიახლოებას შორის?

ერთი სიტყვით, თუ სტატიის ორ მესამედს დავძლევთ (ეს კი საკმაოდ ძნელია, რადგან ტექსტი ძალიან მოსაწყენად, მარტივად რომ ვთქვათ, ცუდადაა დაწერილი), მივადგებით ერთ გასაოცარ დასკვნას. ყურადღებით, მკითხველო, ბოლოს და ბოლოს, გველირსა და ავტორის ძირითად მოტივაციას მივადექით: თურმე დასავლურ, ესე იგი, ნამდვილ უნივერსიტეტში **"კორუფცია არ მძვინვარებს არა პოლიციელთა კორდონით დაცული ერთიანი ეროვნული გამოცდების წყალობით, არამედ იგი აღარ არსებობს, იმიტომ რომ არ არსებობს!"**. აჰა, ჩავუკვირდეთ აზრის ბრწყინვალებას: **"აღარ არსებობს, იმიტომ რომ არ არსებობს!"**. გაიგემოვნეთ ეს გამჭვირვალე ციმციმი? დატკბით მისი წახნაგების ხალასი კაშკაშით? ბრილიანტია, ნამდვილი ბრილიანტი! ერთი ეს გამაგებინა, ვისი ნაყიდია ბ-ნი მელიქიძის უცოდინრობა? იქნებ ახლახან მოყვანილი წინადადების დასაწყისმა მიგვახვედროს: დიდი ჭკუა არაა საჭირო იმის მისახვედრად, რომ ავტორს ერთიანი ეროვნული გამოცდებით მიღებული შედეგის დაკნინება სურს: პოლიციელთა კორდონიც დაგვაყვედრა. არ მეგონა, ოდესმე მიხეილ სააკაშვილის ამოუწურავი ლექსიკისა შემშურდებოდა — რა ვუწოდო ახლა ამას, ყიყინი, ჭიჭყინი, ბურტყუნი თუ ბჟუტიალი? ეჰ, ამ ამოცანას დამოუკიდებლად ვერ გადავწყვეტ, ისღა დამრჩენია, ვაღიარო, რომ ჩვენი პრეზიდენტის რისხვის ნამდვილ ადრესატს მივაკვლიე. ადრე კი მეგონა, უმისამართოდ ილანძღებამეთქი, ეჰ, სწავლა სიბერემდეო...

ახლა კი ჩვენი ავტორის კიდევ ერთ დებულებას მივაპყროთ ყურადღება: **"უნივერსიტეტის იდეის სრული პროფანაცია, მასში აკადემიური თავისუფლებისა და, შესაბამისად, განათლების კულტურის დეგრადაცია მხოლოდ ტოტალიტარულმა რეჟიმებმა მოახერხეს"**. ამასთან კამათი ძნელია, არც ვაპირებ. მე სულ სხვა გარემოებაზე მსურს ყურადღების შეჩერება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადი ისტორია სწორედ ტოტალიტარული რეჟიმის ქვეშ წარიმართა და ის მრავალი წლის განმავლობაში ატარებდა იოსებ სტალინის სახელს. გამოდის, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თავისთავად, უნივერსიტეტის იდეის პროფანაციისა და მასში აკადემიური თავისუფლებისა და განათლების კულტურის დეგრადაციის ერთ-ერთი ყველაზე წმინდა მაგალითია. არა, მე არაფერს ვამტკიცებ, მე მხოლოდ ბუნებრივ, ლოგიკურ დასკვნებს ვაკეთებ ბ-ნი მელიქიძის ტექსტიდან. ან იქნებ სერიოზულად დავიწყოთ იმის მტკიცება, რომ ტოტალიტარულმა რეჟიმმა გვერდით ჩაუარა საქართველოს, ან რომ თსუ თავისუფალი აზრისა და რეჟიმისადმი წინააღმდეგობის ფორპოსტი იყო? ამ საჩოთირო თემას ახლა ნუ შევეხებით, უმჯობესია, ის გავარკვიოთ, საკუთრივ რის გადარჩენას ლამობს ბ-ნი მელიქიძე.

ოჰ, აქ კი უაღრესად გულწრფელია ჩვენი ავტორი: **"თბილისის უნივერსიტეტის გადარჩენა მასში უნივერსიტეტის იდეის აღორძინებას ნიშნავს"**. ამ ყმაწვილს ალბათ ჰგონია, რომ უკვე აგვიხსნა, რაში მდგომარეობს "უნივერსიტეტის იდეა". მაგრამ მისი პრეტენზიულობა გაცილებით უფრო მაღალია: **"დღეს თბილისის უნივერსიტეტის რეფორმატორები საქმეს სრულიად უნაყოფო და, პროფესიული თვალსაზრისით, პრინციპულად მცდარი მხრიდან — ორგანიზაციული გარდაქმნით შეუდგნენ"**. აჰა, როგორც ეტყობა, ავტორი ფიქრობს, რომ რეფორმატორებს ჯერ ის ორი პირობა უნდა შეექმნათ ხელოვნურად, რომელიც, მისი აზრით, ევროპულ უნივერსიტს უდევს სათავეში: ცოდნისაკენ საოცარი მისწრაფება და წინა თაობებით უკმაყოფილება. ამას პირდაპირ გვამცნობს: **"ქართული საზოგადოების წინაშე რეალურად არა თბილისის უნივერსიტეტის გადარჩენის ... არამედ ქვეყანაში მაღალორგანიზებული ცოდნის წარმოების მთელი კომპლექსის — სასკოლო განათლების, უმაღლესი პროფესიული განათლების, საუნივერსიტეტო განათლების, მეცნიერებათა აკადემიის — ანუ ქვეყნის მთელი ინტელექტუალური ცხოვრების შინაარსის ერთიანი გადააზრების პრობლემა დგას"**.

ერთი სიტყვით, მოწოდება შემდეგია: ბიჭებო, მორჩით კონკრეტული საქმეების კეთებას, იფიქრეთ, როგორ უნდა ააშენოთ საქართველოში ზეციური სასუფეველი, ამასობაში კი ჩვენ ჩვენს საქმეს მივხედავთ და ჩვენს წილსაც არ გავუშვებთ ხელიდან. ამგვარად ხვდებიან ერთმანეთს მხოლოდ მათთვის გასაგებ და მისაღებ ინტელექტუალურ სივრცეში ბატონები სალუქვაძე და მელიქიძე. აბა, კიდევ ერთხელ მოუსმინეთ ამ უკანასკნელს: **"ქვეყნის განვითარებისათვის უნივერსიტეტის ბედი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იგი არ შეიძლება მთლიანად ბიუროკრატიას ვანდოთ!"**. მიუხედავად ძახილის ნიშნების სიმრავლისა, ამ ბედოვლათებს თავიანთი თავი ინტელექტუალები ჰგონიათ და ბუხართან მისხდომაზე ოცნებობენ. ეს დღესავით ნათელია. მაგრამ ჩვენ რაღა ვქნათ? ჩვენ ისევ ქართველ ხალხთან უნდა ვიყოთ, რომელსაც ოდითგანვე მიაჩნდა, რომ ცუდად ჯდომას, ცუდად შრომა ჯობია.

Kuzanov Clinic
კუზანოვის კლინიკა

ქართულ-ამერიკული რეკონსტრუქციულ-პლასტიკური და ესთეტიკური ქირურგიის კლინიკა; ლაზერული ცენტრი; თვალის სრული დიაგნოსტიკა და ქირურგია;სტომატოლოგია; კოსმეტოლოგია.

გამსახურდიას გამზ. N5
ტელ: 424-005, 8(99) 703-703
www.kuzanov.com
იქ, სადაც სილამაზე იქმნება.

თებერვლიდან "24 საათი" ინგლისურად.
English newspaper 24 Hours, coming out from February
გამოწერით.
on subscription basis
e-mail: public@24hours.ge
Tel: 20 24 24 Fax:20 24 25
მალე "24 საათის" განახლებული ინგლისური ვერსია
Soon inovated version of "24 hours" in English



# განცხადება საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სააქციო საზოგადოება "მადნეული" ბოლნისის რ-ნი, დ.კაზრეთი, საიდენტიფიკაციო კოდი 225358341, ა/ა N 3406000029, სს "საქართველოს ბანკი", კოდი 220101502 აცხადებს ღია ტენდერს საკუთარი სახსრებით ავტოსატრანსპორტო საშუალებების საბურავების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

| N | დასახელება | განზ. | რაოდენობა | მიწოდების გრაფიკი და ადგილი |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2100-33 (ბელაზ-42ტ) | ცალი | 136 | ხელშეკრულების დადებიდან - 1.12.2005-მდე დ.კაზრეთი |
| 2 | 1800-25 (ბელაზ-30ტ) | ცალი | 24 | |
| 3 | "ზილ" | ცალი | 8 | |
| 4 | გაზ-53 8.25 რ-20 | ცალი | 6 | |
| 5 | 1400-20 (ურალი) | ცალი | 12 | |
| 6 | 260X508 (კამაზი) | ცალი | 14 | |
| 7 | 320X508 (კრაზ-256) | ცალი | 20 | |
| 8 | 320X508 (მაზ 500) | ცალი | 6 | |
| 9 | 280X320 (Lლაზი) | ცალი | 12 | |
| 10 | რ-16 (ჯიპ "[illegible]") | ცალი | 6 | |
| 11 | ტრაქტორის 160024 | ცალი | 6 | |
| 12 | ბულდოზერის 16,5-38 [illegible] | ცალი | 2 | |
| 13 | ბულდოზერის 130 7,5-20 [illegible] | ცალი | 2 | |

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე (ან ნებისმიერ უცხო ენაზე ნოტარიუსით დამოწმებული ქართული თარგმანით) 2005 წლის 10 ოქტომბრიდან 11 ოქტომბრის ჩათვლით, 10:00-დან 18:00-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. .N154, XI სართული (სს "მადნეულის" თბილისის ოფისი);

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

3.1 **იურიდიული პირისათვის:**
ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე (უცხო ქვეყნის წარმომადგენლებმა შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან).
ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის წარმომადგენლებმა შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან).

3.2 **ფიზიკური პირისათვის:**
ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია; უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.
ბ) ცნობას შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის; უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.
გ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება; უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

3.3 **როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:**
ა) სახელმწიფო ორგანოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ (ნოტარიალურად დამოწმებული ასლი);
ბ) ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
გ) ინფორმაცია უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური პროექტების შესახებ.

4. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 პუნქტში ჩამოთვლილ ყველა ცნობას და ინფორმაციას მოთხოვნილი ფორმით, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

5. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 700 (შვიდასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (შემსყიდველის მიერ მითითებულ ანგარიშზე) შეეძლებათ 2005 წლის 13 ოქტომბერს 10-დან 18 სთ-მდე მისამართზე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. .N154, XI სართული (სს "მადნეულის" თბილისის ოფისი).

6. სატენდერო წინადადება წარდგენილი უნდა იქნეს პრეტენდენტის მიერ 2005 წლის 18 ოქტომბრის 17 სთ-მდე მისამართზე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. .N154, XI სართული (სს "მადნეულის" თბილისის ოფისი). სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იყოს პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის (ფიზიკური პირის) მიერ და დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით და წარედგინოს სატენდერო კომისიას დახურული კონვერტით.

7. შესაძლებელია სატენდერო წინადადებების წარმოდგენა ცალკეული პოზიციების მიხედვით და ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. .N154, XI სართული (სს "მადნეულის" თბილისის ოფისი) ან ტელეფონებით: 910329; 910321; 940649 დამატება 140. საკონტაქტო პირები: დავით ადვაძე (მობილური ტელეფონი 899119454) და ირაკლი ქვარაია (მობილური ტელეფონი 899713971).

*სატენდერო კომისია*

# განცხადება საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სააქციო საზოგადოება "მადნეული" ბოლნისის რ-ნი, დ.კაზრეთი, საიდენტიფიკაციო კოდი 225358341, ა/ა N 3406000029, სს "საქართველოს ბანკი", კოდი 220101502 აცხადებს ღია ტენდერს საკუთარი სახსრებით კირის შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

| N | დასახელება | ხარისხი | რაოდენობა | მიწოდების ადგილი და გრაფიკი |
|---|---|---|---|---|
| 1. | კირი | აქტიურობა არანაკლებ 70% | 23400ტ | დ.კაზრეთი, ბოლნისის რაიონი 2005 წლის ოქტომბერი - მინიმუმ 1400ტ ნოემბერი - მინიმუმ 1400ტ დეკემბერი - მინიმუმ 1400ტ 2006 წლის განმავლობაში (12 თვე) ყოველთვიურად მინიმუმ 1600 ტონა |

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე (ან ნებისმიერ უცხო ენაზე ნოტარიუსით დამოწმებული ქართული თარგმანით) 2005 წლის 10 ოქტომბრიდან 11 ოქტომბრის ჩათვლით, 10:00-დან 18:00-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. .N154, XI სართული (სს "მადნეულის" თბილისის ოფისი);

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
3.1 **იურიდიული პირისათვის:**
ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე (უცხო ქვეყნის წარმომადგენლებმა შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან).
ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის წარმომადგენლებმა შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან).

3.2 **ფიზიკური პირისათვის:**
ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია; უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.
ბ) ცნობას შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის; უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.
გ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება; უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

3.3 **როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:**
ა) სახელმწიფო ორგანოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ (ნოტარიალურად დამოწმებული ასლი);
ბ) ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
გ) ინფორმაცია უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური პროექტების შესახებ;
დ) ინფორმაცია საწარმოს შესაძლებლობებზე კირის საწარმოებლად ალტერნატიული საწვავის გამოყენებისა და მოწოდების უწყვეტობის უზრუნველყოფის შესახებ (ინფორმაცია კირის მწარმოებელ სხვა კომპანიებთან ურთიერთობების შესახებ).

4. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 პუნქტში ჩამოთვლილ ყველა ცნობას და ინფორმაციას მოთხოვნილი ფორმით, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

5. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 700 (შვიდასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (შემსყიდველის მიერ მითითებულ ანგარიშზე) შეეძლებათ 2005 წლის 13 ოქტომბერს 10-დან 18 სთ-მდე მისამართზე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. .N154, XI სართული (სს "მადნეულის" თბილისის ოფისი).

6. სატენდერო წინადადება წარდგენილი უნდა იქნეს პრეტენდენტის მიერ 2005 წლის 18 ოქტომბრის 17 სთ-მდე მისამართზე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. .N154, XI სართული (სს "მადნეულის" თბილისის ოფისი). სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იყოს პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის (ფიზიკური პირის) მიერ და დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით და წარედგინოს სატენდერო კომისიას დახურული კონვერტით.

7. ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. .N154, XI სართული (სს "მადნეულის" თბილისის ოფისი) ან ტელეფონებით: 910329; 910321; 940649 დამატება 140. საკონტაქტო პირები: დავით ადვაძე (მობილური ტელეფონი 899119454) და ირაკლი ქვარაია (მობილური ტელეფონი 899713971).

***სატენდერო კომისია***

# განცხადება საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სააქციო საზოგადოება "მადნეული" ბოლნისის რ-ნი, დ.კაზრეთი, საიდენტიფიკაციო კოდი 225358341, ა/ა N 3406000029, სს "საქართველოს ბანკი", კოდი 220101502 აცხადებს ღია ტენდერს საკუთარი სახსრებით საწვავ-საცხები და საპოხი მასალების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

| ლოტის N | დასახელება | განზ. | რაოდენობა | მიწოდების გრაფიკი და ადგილი |
|---|---|---|---|---|
| ლოტი N1 | დიზელის საწვავი ლ-62 | ლიტ. | 1 650 000 | პერიოდულად ხელშეკრულების დადებიდან 15.12.2006წ. დ.კაზრეთი |
| ლოტი N2 | საავტომობილო ბენზინი (რეგულარი) | ლიტ. | 16000 | |
| ლოტი N3 | ძრავის ზეთები: 1. SAE20W50 2. SAE15W40CG4 3. SAE80W90 4. SAE W40 CD 5. SAE15W50 | ლიტ. ლიტ. ლიტ. ლიტ. ლიტ. | 37341 15766 649 16 16 | |
| ლოტი N4 | ჰიდრავლიკური ზეთები: 1. ჰიდრავლიკური მარკა A 2.. ჰიდრო ISO-46 A3. ტურბინის ЭЛС-Н-4 | ლიტ. ლიტ. ლიტ. | 15000 16549 1520 | |
| ლოტი N5 | ტრანსმისიის ზეთები: 1. HD 30 2. კომპრესორის SHC-624 3. ТЕП - 15 4. ტრანსფორმატორის 5. ტურბინული 6. ნიგროლი ТАП - 15 7. ნიგროლი ТСП - 10 | ლიტ. ლიტ. ლიტ. ლიტ. ლიტ. ლიტ. ლიტ. | 65 208 384 600 550 506 6912 | |
| ლოტი N6 | ინდუსტრიული ზეთები 1. ინდუსტრიული НИ-12 2. ინდუსტრიული НИ-40 | ლიტ. ლიტ. | 438 12000 | |
| ლოტი N7 | საპოხი მასალები: 1. სოლიდოლი 2. სოლიდოლი ЖРО 3. ლიტოლი 4. გრაფიტული საპოხი 5. GREASEMPGM 129-1963 7X770 6. ლიტოლი 24 7. ციატიმი 201 8. ციატიმი 203 | კგ კგ კგ კგ კგ კგ კგ კგ | 1520 200 282 2400 1000 2695 125 40 | |

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე (ან ნებისმიერ უცხო ენაზე ნოტარიუსით დამოწმებული ქართული თარგმანით) 2005 წლის 10 ოქტომბრიდან 11 ოქტომბრის ჩათვლით, 10:00-დან 18:00-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. .N154, XI სართული (სს "მადნეულის" თბილისის ოფისი);

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
3.1 **იურიდიული პირისათვის:**
ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე (უცხო ქვეყნის წარმომადგენლებმა შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან).
ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის წარმომადგენლებმა შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან).

3.2 **ფიზიკური პირისათვის:**
ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია; უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.
ბ) ცნობას შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის; უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.
გ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება; უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

3.3 **როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:**
ა) სახელმწიფო ორგანოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ (ნოტარიალურად დამოწმებული ასლი);
ბ) ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
გ) ინფორმაცია უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური პროექტების შესახებ.

4. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 პუნქტში ჩამოთვლილ ყველა ცნობას და ინფორმაციას მოთხოვნილი ფორმით, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

5. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 700 (შვიდასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (შემსყიდველის მიერ მითითებულ ანგარიშზე) შეეძლებათ 2005 წლის 13 ოქტომბერს 10-დან 18 სთ-მდე მისამართზე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. .N154, XI სართული (სს "მადნეულის" თბილისის ოფისი).

6. სატენდერო წინადადება წარდგენილი უნდა იქნეს პრეტენდენტის მიერ 2005 წლის 18 ოქტომბრის 17 სთ-მდე მისამართზე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. .N154, XI სართული (სს "მადნეულის" თბილისის ოფისი). სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იყოს პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის (ფიზიკური პირის) მიერ და დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით და წარედგინოს სატენდერო კომისიას დახურული კონვერტით.

7. ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული.
8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. .N154, XI სართული (სს "მადნეულის" თბილისის ოფისი) ან ტელეფონებით: 910329; 910321; 940649 დამატება 140. საკონტაქტო პირები: დავით ადვაძე (მობილური ტელეფონი 899119454) და ირაკლი ქვარაია (მობილური ტელეფონი 899713971).

***სატენდერო კომისია***

# განცხადება საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სააქციო საზოგადოება "მადნეული" ბოლნისის რ-ნი, დ.კაზრეთი, საიდენტიფიკაციო კოდი 225358341, ა/ა N 3406000029, სს "საქართველოს ბანკი", კოდი 220101502 აცხადებს ღია ტენდერს საკუთარი სახსრებით ფოლადის ნაკეთობების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე (ან ნებისმიერ უცხო ენაზე ნოტარიუსით დამოწმებული ქართული თარგმანით)

| ლოტის N | დასახელება | განზ. | რაოდენობა | მიწოდების ვადები და ადგილი |
|---|---|---|---|---|
| ლოტი N1 | საფქვავი ფოლადის ბურთულები (სახსტ-7524-64): 1. დიამეტრი 60მმ (400HB-დე) ცვეთამედეგობა არაუმეტეს 400გრ/ტ 2. დიამეტრი 100მმ (350HB-დე) ცვეთამედეგობა არაუმეტეს 1000გრ/ტ 3. დიამეტრი 120მმ (300HB-დე) ცვეთამედეგობა არაუმეტეს 1000გრ/ტ | ტ. ტ. ტ. | 240000 240000 240000 | არა უგვიანეს 15.11.2005 დ.კაზრეთი |
| ლოტი N2 | [illegible] МШР 3,2X3,1 ამონაგები - ფოლადი 110Г 13 Л სახსტ - 2176-77; ცვეთამედეგობა არაუმეტეს 190გრ/ტ | კომპ. | 3 | |

2005 წლის 10 ოქტომბრიდან 11 ოქტომბრის ჩათვლით, 10:00-დან 18:00-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. .N154, XI სართული (სს "მადნეულის" თბილისის ოფისი);

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
3.1 **იურიდიული პირისათვის:**
ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე (უცხო ქვეყნის წარმომადგენლებმა შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან).
ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის წარმომადგენლებმა შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან).

3.2 **ფიზიკური პირისათვის:**
ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია; უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.
ბ) ცნობას შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის; უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.
გ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება; უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

3.3 **როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:**
ა) სახელმწიფო ორგანოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ (ნოტარიალურად დამოწმებული ასლი);
ბ) ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
გ) ინფორმაცია უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური პროექტების შესახებ.

4. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 პუნქტში ჩამოთვლილ ყველა ცნობას და ინფორმაციას მოთხოვნილი ფორმით, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

5. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 700 (შვიდასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (შემსყიდველის მიერ მითითებულ ანგარიშზე) შეეძლებათ 2005 წლის 13 ოქტომბერს 10-დან 18 სთ-მდე მისამართზე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. .N154, XI სართული (სს "მადნეულის" თბილისის ოფისი).

6. სატენდერო წინადადება წარდგენილი უნდა იქნეს პრეტენდენტის მიერ 2005 წლის 18 ოქტომბრის 17 სთ-მდე მისამართზე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. .N154, XI სართული (სს "მადნეულის" თბილისის ოფისი). სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იყოს პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის (ფიზიკური პირის) მიერ და დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით და წარედგინოს სატენდერო კომისიას დახურული კონვერტით.
7. ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. .N154, XI სართული (სს "მადნეულის" თბილისის ოფისი) ან ტელეფონებით: 910329; 910321; 940649 დამატება 140. საკონტაქტო პირები: დავით ადვაძე (მობილური ტელეფონი 899119454) და ირაკლი ქვარაია (მობილური ტელეფონი 899713971).

***სატენდერო კომისია***



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# ჩემი აჭარული შთაბეჭდილებები

სამწუხაროდ, ზაფხული, დასვენება დამთავრდა. მართალია, ნელ-ნელა ყველანი და, მათ შორის მეც, მუშაობის ჩვეულ რიტმს ვუბრუნდებით, მაგრამ ზაფხულს ჯერ კიდევ დიდხანს მოვიგონებთ. მიუხედავად იმისა, რომ ეს წერილი შეიძლება ცოტა დაგვიანებული მოგეჩვენოთ (დასვენება ზედმეტად გავიხანგრძლივე), არაფრით არ შემეძლო, აჭარაში გატარებული ორი თვის შთაბეჭდილებები ნაწილობრივ მაინც არ გამეზიარებინა.

■ ■ ■

ივლისის ბოლოს მე და ჩემი ქმარი ბათუმში მანქანით წავედით და პირველი შთაბეჭდილება, რომელიც თბილისი-ბათუმის გზამ გამოიწვია, სწორედ აქედან იწყება. ერთ პატარა ორმოსაც ველარ ნახავთ! მანქანა მიქრის და შენ კი ცოტა ეჭვიც გეპარება, სადმე სხვა ქვეყანაში ხომ არ აღმოჩნდი. გურია! გახსოვთ, წლების განმავლობაში გურიის ტრასის ფაქტობრივად არარსებობის გამო ბათუმში ფოთით რომ დავდიოდით?! თურმე გზის მოწესრიგება სავსებით შესაძლებელი ყოფილა. გზა - გზად, მაგრამ რიკოთის უღელტეხილზე მუხრუჭებგაუმართავი მანქანებისთვის სპეციალურად გაკეთებულმა ასახვევებმა სულ გაგვაოგნა. არ ვართ ასეთ ყურადღებას მიჩვეულნი და რა ვქნათ!

ბათუმის შესასვლელშივე ხვდები, რომ თბილისელებისთვის სახლების ფასადების ღებვის ასეთმა ნაცნობმა ტენდენციამ ბათუმშიც გადაინაცვლა. მიუხედავად იმისა, რომ სამხატვრო აკადემია მაქვს დამთავრებული და ფერთა გამას, მეტ-ნაკლებად, ვიცნობ, ბათუმის შესასვლელში, პორტთან, პირველი კორპუსის ახალშერჩეულ ფერს ვერც სახელს მოვუძებნი და ვერც გადმოგცემთ. არადა, მერე, თვითონ ქალაქში სახლების უმეტესობა ძალიან სასიამოვნო პასტელის ფერებშია შეღებილი. ალბათ დამეთანხმებით, რომ საკმაოდ უცნაური და აუხსნელია, რატომ შეიძლება ათი სახლი შესანიშნავად შეღებო და უცებ, მეთერთმეტეზე, რომ იტყვიან, "აიწყვიტო". ნეტავ, მუშაობის პროცესი ბეზრდებათ, საღებავი უმთავრდებათ, ვიღაცას შემოქმედებითი ტანჯვები ეწყება თუ, უბრალოდ, გიჟდებიან. ყოველ შემთხვევაში, ბათუმის პირველივე სახლის ფერი მხოლოდ გემოვნების ნაკლებობით ნამდვილად ვერ აიხსნება. საერთო ჯამში კი, მართალია, ბათუმს ქათქათას ველარავინ უმღერებს, ვინაიდან ქათქათა ნამდვილად აღარ არის, მაგრამ ერთ-ორ „აწყვეტას“ თუ არ გავითვალისწინებთ, ბევრად უფრო ხალისიანად და მოვლილად გამოიყურება.

ამ ჩასვლაზე ბათუმში ყველაფერი ერთი-ორად გაზრდილი, გაფართოებული მომეჩვენა. ნებისმიერ კაფეში თუ ადრე ხუთი მაგიდა იდგა და ერთი მიმტანი მუშაობდა, ახლა თხუთმეტი-ოცი მაგიდა დგას და ხუთი კაცი ემსახურება. ცნობილი ბათუმური „ბერეგი“, უგემრიელესი თურქული ყავით განთქმული მისი კაფეები, იქ ჩამომსხდარი ხალხის რაოდენობა ერთი-ორად გაიზარდა. ყველაფერი უფრო მასშტაბური, შთამბეჭდავი, გაცოცხლებულია. ბათუმის ულამაზესი ბულვარი კი ცალკე აღწერას იმსახურებს. ბულვარი წელს არა ერთხელ ან ორჯერ, არამედ ბევრად მეტჯერ გაიზარდა და დღეს ბათუმის გარეუბნებში მცხოვრებთ, რომლებსაც ზღვა სახლის წინ კი ჰქონდათ, მაგრამ წლების განმავლობაში ჭაობების გამო ზღვაზე ვერ გადიოდნენ, საშუალება მიეცათ უსასრულობამდე გაგრძელებული, ასობით ლამპიონით განათებული ბულვარით, ზღვის სანაპიროთი, ახალგახსნილი უამრავი კაფეთი, ბუნგალოთი, სპორტული და საბავშვო მოედნებით ისე ისარგებლონ, ისიამოვნონ, საღამოს ზღვის ზოლზე ისე გაისეირნონ, ახალდარგული უზარმაზარი პალმებითა და დეკორატიული მცენარეებით დატკბნენ, ისე იხილონ ახალი, შთამბეჭდავი ფერადი შადრევანი, რომ ცენტრში აღარ გავიდნენ. თუმცა, ბულვარის ცენტრალური ნაწილიც საინტერესო, ხალისიან სანახაობას წარმოადგენს. „აჭარა მიუზიკ ჰოლის“ ულამაზესი თეთრი აფრები, „კოორდინატის“ ტერასიდან დანახული ზღვა, „ტარაბუა ბარის“ პირდაპირ სანაპიროზე, ქვიშაზე მიმოფენილი შეზლონგები და დაბალი მაგიდები. ეს ის მცირე ჩამონათვალია, რომელიც ბათუმის ღამის ცხოვრების ნაწილს წარმოადგენს და განსაკუთრებულ მხიარულ განწყობას ქმნის. თუ ბათუმის კაფე-ბარებზეა საუბარი, მაშინ „Привет из Батума“-ს გამოტოვება არაფრით შეიძლება. ამ ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ, ხალხმრავალ, მყუდრო კაფეში აგვისტო-სექტემბერში თავისუფალი ადგილის მოძიება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ვის არ ნახავ „Привет“-ში! ჯემალ ინაიშვილიდან დაწყებული, ბათუმის ყველაზე წყალწაღებული ნარკომანით დამთავრებული, ყველა აქ ტრიალებს. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ სეზონზე ბათუმში წარმოუდგენელი რაოდენობის ნარკომანი, ნარკოტიკი და ნარკომოვაჭრე ტრიალებდა, რის შესამჩნევადაც პოლიციური პროფესიონალიზმი სულაც არ იყო საჭირო. სუბუტექსი, ექსტაზი აჭარული ზაფხულის უცვლელი ფონი იყო, რომელსაც სამართალდამცავები ვითომდა ებრძოდნენ, მაგრამ შედეგი ნამდვილად არა და არ ჩანდა. ფაქტია, რომ ლამპიონებით განათებულ, ასლან აბაშიძის დროიდან მორჩენილი უცნაური, უგემოვნო პატარ-პატარა ქანდაკებებით მოფენილ, სხვადასხვა მუსიკის ჰანგებით აჭრელებულ ბულვარში, ნებისმიერ კაფეში თუ ბარში, რბილად რომ ვთქვათ, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ ათობით ახალგაზრდას ნახავდით. მიუხედავად იმისა, რომ წელს აჭარაში ნარკომანებზე არანაკლები პატრული იყო, მათ, ეტყობა, ნარკომანების ზედმეტად შეწუხება არ ევალებოდათ და საკუთარ პროფესიონალიზმს მხოლოდ წესრიგის აშკარა დარღვევისას იჩენდნენ. პატრულზე გამახსენდა! ერთი შეკითხვა დამებადა. ნეტავი, აქვთ თუ არა უფლება პატრულის თანამშრომლებს, სამუშაოს დროს სიგარეტი მოწიონ? ამდენი აქტიური მწეველი პატრული, როგორც ბათუმში, არასდროს მინახავს. ფაქტობრივად, დაიხრჩვენ და ეგაა! ეტყობა, ცოტა „ტიპობენ“, მთლად პოლიციური რობოტები რომ არ გვეგონონ. ბათუმური შთაბეჭდილებების ერთ-ერთი მთავარი ნაწილი კი ის არის, რომ ჩემი ბათუმელი მეგობრების უმეტესობა ნელ-ნელა დასაქმდა, სამსახურები იშოვა, მაღაზიები, ბარები გახსნა, საღამოობით შესანიშნავ ახალ კინო-თეატრში დადის, რომელიმე მყუდრო კაფეში კოქტეილს სვამს და ღამის კლუბში ცეკვავს, იმედით ელოდება ყოფილი ბაზრის ადგილას საცურაო აუზის აშენებას, სასტუმრო „ინტურისტის“ ფეშენებელურ დასრულებას, პორტში ახალ-ახალი უზარმაზარი გემების შემოსვლას, ახალი მოდური მაღაზიების გახსნას და ათასობით ჩამოსულ დამსვენებელთან ერთად ბულვარში სეირნობენ. მაგრამ ჯერჯერობით ვერაფრით ეგუებიან და გულწრფელად უკვირთ, რომ თითქმის ყოველ საღამოს ლევან ვარშალომიძე, ყოველგვარი დაცვის გარეშე, სამუშაო დღის ბოლოს მათთან პარალელურად ბულვარში ან კაფეში ისვენებს და ამის გამო ბათუმის არც ერთი ქუჩა არ იკეტება.

■ ■ ■

ბათუმიდან სარფისკენ რამდენიმე კილომეტრში მყოფი სოფელი გონიო, რომელშიც მამაჩემის სახლ-მუზეუმია გახსნილი და სადაც უკვე თოთხმეტი წელიწადია დავდივართ, ფაქტობრივად ჩემს მშობლიურ სოფლად, მისი მკვიდრნი კი უახლოეს მეზობლებად მყავს აღქმული. ამიტომაც, გონიოში მომხდარი ნებისმიერი ცვლილება, სიახლე ჩემთვის პირადად ძალიან ადვილად შესამჩნევი და განსაკუთრებულად ღირებულია. გონიო კი ნამდვილად იცვლება.

სრულიად მოულოდნელად, წელს გონიოს სანაპირო პატარ-პატარა ხის ბუნგალოებით, შეზლონგებითა და ქოლგებით აჭრელდა, რომლებიც ჩემს მეზობლებს ეკუთვნოდა. ვინაიდან წლების განმავლობაში მათი არცთუ სახარბიელო ფინანსური მდგომარეობა კარგად ვიცოდი, გაკვირვებაც არ დამიმალავს. მეზობლებმა სრულიად ბუნებრივად მიპასუხეს, რომ ბათუმში ახალგახსნილი ბანკებიდან კრედიტები აუღიათ, ზღვის ზოლზე გამართულ ტენდერებში მონაწილეობა მიუღიათ და, ასე ვთქვათ, მცირე ბიზნესისთვის ხელი მოუკიდიათ. არც ვიცი, როგორ გადმოგცეთ, რაოდენ უჩვეულოა გონიოელებისგან სიტყვების „კრედიტი“, „ტენდერი“, „ინვესტორი“, „პროცენტი“, „ბიზნესი“-ს მოსმენა. მაგრამ, ეტყობა, ქართველები მართლაც ნიჭიერი ხალხი ვართ და დროს ძალიან ადვილად ვუღებთ ალღოს.

გონიო-კვარიათის მთების ულამაზეს მწვანე ფერდობებზე ათობით ახალი დიდი თუ პატარა, უშნო თუ ლამაზი სახლების მშენებლობაა დაწყებული. ალბათ, თავის დროზე კანიც ასე შენდებოდა. შენდება რამდენიმე ახალი სასტუმრო, საცხოვრებელი უზარმაზარი სახლი, სადაც ბინები გაიყიდება. გლეხები ადიდებენ, ღებავენ, ალამაზებენ, უფრო კომფორტულს ხდიან საკუთარ სახლებს. ნებისმიერი ოდნავ მასშტაბური მშენებლობის მფლობელად, გლეხები, მართალია არა დარწმუნებულად, მაგრამ ან სანდრას დას (მგონი, არც ჰყავს), ან ოქრუაშვილს ან ჯემალ ინაიშვილს ასახელებენ. საქართველოს მთავრობის დანარჩენი წევრები გონიოელებისთვის, ეტყობა, არასაკმარისი მყიდველუნარიანები არიან ან მათთვის თავისი ლამაზი სოფლის ერთი გოჯი მიწაც კი არ ემეტებათ.

სოფლები გონიო და კვარიათი ისეთ ახლო მანძილზეა ერთმანეთთან, რომ მათ შორის გაჩაღებული მშენებლობები უახლოეს მომავალში მათ ერთ დასახლებულ პუნქტად გააერთიანებს. თუმცა, ამ ორი სოფლის მკვიდრნი დიდი ხანია, ფაქტობრივად, ერთ ოჯახად ცხოვრობენ. ამიტომ კვარიათელი მემეშიშების (ლაზები) ობოლი ბიჭის მიერ წელს საერთო ეროვნული გამოცდების ჩაბარება, სახელმწიფო დაფინანსების მოპოვება და თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთ ყველაზე რთულ ფაკულტეტზე ჩარიცხვა ორივე სოფლის საერთო სიხარული და სიამაყე იყო, რომელშიც მეც კი აღმოვჩნდი თანამონაწილე. მუსულმანმა ბებიამ თავისი ობლად გაზრდილი შვილიშვილი ორი წლის წინ მოანათლინა და გამოცდებზე მისი ამგვარი გამარჯვება ორი მთის იქით მდებარე სარფის სკოლის დამსახურებაზე მეტად მონათვლით იხსნებოდა. არ გაგიკვირდეთ, რომ მომავალ წელს აჭარის სოფლებიდან აბიტურიენტთა დიდი ნაწილი გამოცდების წინ მოინათლოს.

წელს ზაფხულში, როგორც ბათუმ-ქობულეთს, ისე გონიო-კვარიათ-სარფს დამსვენებელთა წარმოუდგენელი რაოდენობა მოაწყდა და ახალი ათობით კოტეჯი დაიდგა, სადაც, მაღალი ფასის მიუხედავად, ადგილების, ოთახების დაჯავშნა, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო. უშუალოდ პლაჟი კი ბუნგალოებთან ერთად შეზლონგებითა და ქოლგებით გაივსო – გიორგი აბაშიძის მიერ თავის დროზე იტალიიდან ჩამოტანილი შეზლონგებით დაწყებული, კრედიტით შეძენილი და საკუთარი ხელით დამზადებული სავარძლებით დამთავრებული. მიუხედავად იმისა, რომ წლევანდელი სეზონის ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო სიურპრიზი მწვანე, სახურავიანი, სრულიად ევროპული ნაგვის ბუნკერები იყო, რომლებიც ყველა ნაბიჯზე იდგა, პლაჟი მაინც დამსვენებლების მიერ დატოვებული ნაგვით იყო სავსე. ვერაფრით ვხვდები, როგორ შეიძლება ზღვის სანაპიროთი ისიამოვნო, თუ შენს გარშემო ცარიელი ბოთლები, სიმინდის ნარჩენები, ათასნაირი წვენების ყუთები, საზამთროები და ცელოფნის პარკებია მოფენილი. ერთხელ პატარა ინციდენტიც კი შემემთხვა, როდესაც არ დამეზარა და ნაგვის დამტოვებელ დამსვენებელთა ჯგუფს საყვედურის სათქმელად მანქანამდე მივდიე. დამსვენებლები სომხები აღმოჩნდნენ. ჩემს შენიშვნაზე, ვითომდა ეშმაკურად მიპასუხეს: „мы специально оставили, что бы потом вернутся и убрать“. „потом“-ს აღარ დაველოდე და ნაგავი მაინც ავალაგებინე!

წლევანდელი სეზონის შემაწუხებელ ფაქტორებში ერთ-ერთი მთავარი სიმინდის, ხილის, ბურბუშელის, ქართული და თურქული „სემიჩკის“, კარტის, ნიჟარებიდან გაკეთებული „ვაზების“, მძივების, ლეღვის და სხვა რამის გამყიდველთა ურდოები იყო, რომლებიც გულმოდგინედ ცდილობდნენ, პირადად შენთვის თუ არა, რომელიმე შენი ნივთისთვის მაინც დაებიჯებინათ. მათი ვაჭრობის პრინციპი იყო – რაც უფრო ახლოს ხარ მყიდველთან, შენს საქონელს უფრო მოანდომებ. ვერ გეტყვით, რომ პრინციპი არ მუშაობდა, ლეღვსაც ვყიდულობდით და ნერვებიც არ გვეშლებოდა. აი, გამაღიზიანებელ-გასაბრაზებელი კი სეზონის მთავარი საშიშროება – სკუტერები, ბანანები იყო. ბოლოს ამ უბედურებას თვითმფრინავიც კი დაემატა, რომელიც რატომღაც ღია ზღვის თავზე ფრენაზე ბევრად მეტ სიამოვნებას უშუალოდ ხალხის თავებზე გასეირნებაში პოულობდა. ჰოდა, იყო თვითმფრინავის გამოჩენაზე ბავშვების გადამალვა, მათზე გადაფარება. ბოლოს, რაც სრულიად ლოგიკური და მოსალოდნელი იყო, თვითმფრინავი ჩამოვარდა, მაგრამ საბედნიეროდ არახალხმრავალ მონაკვეთში. დამსვენებლები გადარჩნენ, პილოტი კი მოტეხილობებით საავადმყოფოში გააქანეს. სკუტერებზე დასაწერად კი ჩემი ლექსიკა საკმარისი არ არის. ამას ერთი პატარა ფილმი უნდა მიეძღვნას, რომლითაც პირველ რიგში ფსიქიატრები დაინტერესდებიან და სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებზე აჩვენებენ. აბა, არაფსიქიატრისთვის სრულიად აუხსნელია, რატომ უნდა გინდოდეს ნაპირთან მოცურავეთა თავებზე სრული გიჟივით ვირაჟების კეთება, როდესაც წინ ამხელა შესაძლებლობების ზღვა გაქვს. თუ დღისით პლაჟზე სკუტერებს გადაურჩებოდი, ხმელეთზე სხვა საშიშროება გელოდა. საკმაოდ კარგი ხარისხის, ისარივით სწორი გზატკეცილი სისწრაფის მაქსიმალურად მომატების საშუალებას იძლევა და უძვირესი მანქანების მძღოლებიც, დასახლებული პუნქტების, გზის გასწვრივ მოსიარულე ხალხის, ბავშვების მიუხედავად, გონიო-სარფის ტრასაზე ისე დაქროდნენ, თითქოს ავტორბოლაში მონაწილეობდნენ. გონიოში, გზის გაღმა წელს პატარა, ლამაზი, შესანიშნავი ნამცხვრების მქონე ლიტერატურული კაფე გაიხსნა, რომელშიც ყოველ წასვლაზე, გზის გადასვლისას გადარჩენისთვის ღმერთს მივმართავდი. აბა, მეტი რისი ან ვისი იმედი უნდა მქონოდა? რა მოხდება, თუნდაც მხოლოდ ზაფხულის სეზონზე, დასახლებულ პუნქტებში სიჩქარის შემაფერხებლები რომ გააკეთონ?

დამსვენებლებისა და ალკოჰოლური სასმელებით გადავსებული კაფე-ბარების სიუხვის მიუხედავად სეზონმა, მგონი, შედარებით მშვიდად, ყოველგვარი ჩხუბებისა და დაჭრების გარეშე ჩაიარა, რასაც ვერ ვიტყვით ქურდობაზე - გაიქურდა ყველა, იპარავდნენ ყველაფერს, რაც შეეძლოთ, ტელევიზორიდან დაწყებული, მობილურებითა და საათებით დამთავრებული. ჩვენი ჩასვლის მეორე დღეს ეზოში მანქანა ჩალეწეს და მაგნიტოფონთან ერთად მთელი საბუთებიც მოიპარეს. იმედი მქონდა, რომ საბუთებს დაგვიბრუნებდნენ, მაგრამ თანამედროვე მომპარავები, ეტყობა, ქურდობის ელემენტარულ ეთიკასაც კი არ იცნობენ.

სექტემბერში ჩემს უფროს ქალიშვილს მოსკოვში ვამგზავრებდი და გულუბრყვილოდ ჩავთვალე, რომ ამისთვის თბილისში ჩამოსვლა აუცილებელი არ არის. ბათუმის აეროპორტი! ეს რა ნახა ჩემმა თვალებმა! თითქოს ძალიან ძლიერ საჰაერო დაბომბვას ნაწილობრივ გადარჩენილ, შუშებჩალეწილ, სკამებმოგლეჯილ აეროპორტის შენობაში ბილეთების ასაღებად მისულებს სახიფათო ჩოჩქოლი დაგვხვდა. როგორც ამიხსნეს, „სენაკი გადაყიდესო“. მართალი გითხრათ, ცოტა რთულად მესმის, სენაკზე როგორ უნდა „გადაყიდო“ და რა, მაგრამ ფაქტია, რომ „გადაყიდულებსა და გაყიდულებს“ შორის ხელჩართული ბრძოლის უშუალო მოწმე აღმოვჩნდი. ბილეთების გამყიდველი აეროპორტში აღარ დაგვხვდა. ტირილში წასულა. მობილურით დავუკავშირდით, იქვე ახლომდებარე მაღაზიაში მივუსწარით და მოსკოვის ბილეთი მაღალი პროფესიონალიზმით იქვე, მაღაზიის დახლზე გამოგვიწერა. ფული კი ლაქის ჩანთაში ჩაიდო, თან გვითხრა – ასე, ორიდან ექვს საათამდე გაფრინდებაო. როგორ ვიცადეთ, სად ვისხედით, რა ვნახეთ, ამას მოკლედ ვერ გადმოგცემთ. ერთს კი ვიტყვი, რომ ბათუმის აეროპორტის არა მარტო შენობა, საფრენი მოედანია დასანგრევი, არამედ მთლიანად იქ არსებული მუშაობის (თუ ამას მუშაობა ჰქვია) სისტემაც.

წლევანდელი სეზონის კულტურული ცხოვრება კვარიათში გამართული სოფტ ეჯექტის კონცერტით (განწვიმდა და მალე წამოვედი), სტურუასა და პაპუაშვილის მიერ ბათუმის თეატრის ძალებით დადგმული „დარისპანის გასაჭირით“ (ძალიან ბევრი ვიცინე და სპექტაკლიც ზოგადად ძალიან მომეწონა) და მამაჩემის სახლ-მუზეუმის წინა მინდორზე, ზღვის პირას ბათუმის მუზეუმის დირექტორის ნინო ნიჟარაძის მიერ ზღვის თემატიკისადმი მიძღვნილი ერთდღიანი შერეული და ძალიან სასიამოვნო გამოფენით და „ბუნგალოში“ დათო გომართელის ჩვეულად ცეცხლოვანი კონცერტით შემოიფარგლება.

■ ■ ■

დასკვნის სახით ვიტყვი, რომ ზაფხულში გატარებული სასიამოვნო საღამოების, უამრავ ნაცნობთან, ახლობელთან ურთიერთობის, ზღვის, ულამაზესი მზის ჩასვლებისა და აჭარაში აშკარად დასანახი პოზიტიური ცვლილებების, ოპტიმისტური განწყობილებების ფონზე ჩემს დადებით ემოციებს შორის მთავარი მაინც ის იყო, რასაც ჩემი სახლის აივნიდან სამი დღის განმავლობაში თვალს ვადევნებდი. თითქოს ვუყურებდი და ვერ ვძლებოდი. ნაპირთან მოსულ უზარმაზარ გემებზე ბათუმის სამხედრო ბაზებიდან მძიმე ტექნიკა იტვირთებოდა. რუსული ტანკები ჩემ თვალწინ გადიოდნენ! იცით, ეს რა სასიამოვნო სანახავი ყოფილა!



ამ წლის სეზონის საფრთხე - სკუტერი.



ახალი ბუნგალო ჩემს სახლთან.



გამოფენა ზღვის თემატიკაზე.



დასანგრევად განწირული აეროპორტი.

# მეოთხე მარათონელები

### ჯერ წესებს გაეცანით, შემდეგ წერეთ და იკითხეთ

ია ვეკუა

ამ კონკურსში მონაწილეობისთვის მხოლოდ რამდენიმე მარტივი და ზოგადი წესის დაცვაა საჭირო: ისე უნდა ფლობდეთ ქართულს, რომ ამ ენაზე (ცხადია, მისი ორიგინალური დამწერლობის გამოყენებით) მცირე მოცულობის ლიტერატურული ნაწარმოები შექმნათ; უნდა ხასიათდებოდეთ გონებრივი სისხარტითა და ფიზიკური გამძლეობით; არ უნდა გეშინოდეთ ღამის სიბნელის, რადგან კონკურსის ხანგრძლივობა დღე-ღამის ამ მონაკვეთსაც მოიცავს. რაც შეეხება ამ კონკრეტულ შემთხვევას, ნაკლებად უნდა გაწუხებდეთ კლაუსტროფობია და მსგავსი ტიპის შიშები, რადგან კონკურსი გამოქვაბულებსა და ნანგრევებში ჩატარდება. ეს "Penმარათონის" სტილია – კონკურსანტებს, რაც შეიძლება, ორიგინალურ და, ამასთან, ექსტრემალურ ადგილებში გზავნის. ამჯერად ლიტერატურული რბოლა მუზეუმ-ნაკრძალ უფლისციხეში გაიმართება – მსგავსი უძველესი ნაგებობები კი მოჩვენებებთან ერთად მუზების საყვარელი თავშეყრის ადგილიცაა.

შეიძლება ითქვას, რომ "Penმარათონმა" თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესი ახალი ფორმით აამოძრავა. ეს არის საქართველოში პირველი ლიტერატურული აქცია, რომელიც შეჯიბრების სახეს ატარებს. გარდა ამისა, მასში მონაწილეობენ არა მხოლოდ შემდგარი მწერლები, არამედ ისეთებიც, ვისაც სასკოლო თემების შემდეგ რვეულის ორ გვერდზე მეტი არ დაუწერიათ. "Penმარათონი" სწორედ იმ ასპარეზად იქცა, რომელიც ნებისმიერ ადამიანს აძლევს საკუთარი ლიტერატურული გაქანების გამოვლენის საშუალებას. მაგრამ არა უსასყიდლოდ – ამისთვის, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, გარკვეული მსხვერპლის გაღებაა საჭირო.

თუმცა ნებისმიერ მსხვერპლს თავისი საფასური აქვს. ეს არის არა მხოლოდ გამარჯვებით გამოწვეული სიხარული, აქ გარკვეული ფულადი პრემიაც იგულისხმება. ადრინდელის მსგავსად, წელსაც სამი საპრიზო ადგილი "გათამაშდება": პირველი პრემია 1000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში კონკურსის ძველმა პარტნიორმა "ჯორჯია ონლაინმა" დააწესა; 600 და 400 დოლარის შესაბამის თანხას მეორე და მესამე ადგილებისთვის ასევე ძველი სპონსორი ღვინო "ძველი თბილისი" გადასცემს. კონკურსის გამარჯვებული საპატიო პრიზით – "ვერცხლის დიოგენეთიც" დასაჩუქრდება.

"Penმარათონის" წლევანდელმა "გამოშვებამ" ერთგვარი ცვლილებებიც განიცადა, თუმცა მათი უმეტესობა სპონსორებთანაა დაკავშირებული. კონკურსის გენერალური სპონსორი და მასპინძელია კომპანია "ქართული შაქარი", სპონსორები "ცენტრ პოინტი ჯგუფი" და კომპანია "ავერსი". ორგანიზატორები კი, ტრადიციისამებრ, ღვინო "ძველი თბილისი" და გამომცემლობა "დიოგენე".

თავად კონკურსმა მცირე, მაგრამ მონაწილეთათვის მეტად მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. "Penმარათონის" არცთუ ხანგრძლივ ისტორიაში ღრმად ჩახედულებმა, ალბათ, კარგად იციან, რომ 2002 წლის კონკურსი მხოლოდ 12 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. მიუხედავად იმისა, რომ მარათონული წერა მწერლობისთვის შესაფერის პირობებში ჩატარდა, ეს დრო აშკარად არასაკმარისი აღმოჩნდა მოცემული თემის ირგვლივ ნაწარმოების მოფიქრებისთვის, პერსონაჟებისთვის სახელების შერჩევისთვის, დაწერისა და გადათეთრებისთვის. ამიტომ კონკურსის ორგანიზარტორებმა ჰუმანური გადაწყვეტილება მიიღეს და 12 საათი გააორმაგეს. გავიდა ორი წელი და კონკურსანტებისთვის არც ეს დრო აღმოჩნდა ოპტიმალური. ამიტომ ორგანიზატორებმა კიდევ 6 საათი გამოიმეტეს. ამრიგად, წლევანდელი "Penმარათონი" 30-საათიანი იქნება.

სამაგიეროდ კონკურსის შედეგებზე გავლენას ვერ მოახდენს მკითხველი. როგორც გახსოვთ, შარშან კონკურსი ონლაინ რეჟიმითაც მიმდინარეობდა. ყველა ნაწარმოები განთავსებული იყო კონკურსის ინტერნეტ გვერდზე და ყველას შეეძლო საკუთარი აზრის გამოთქმა, შეფასება. მკითხველის რჩეულს კი პრიზად კომპიუტერი გადასცეს. როგორც გამომცემლობა "დიოგენეს" დირექტორმა თამარ ლებანიძემ აღნიშნა, ეს იყო ერთგვარი ექსპერიმენტი, რომელმაც არ გაამართლა, ამიტომ მისი გამეორება მიზანშეწონილად არ მიიჩნიეს.

დაკვირვებული გულშემატკივარი იმასაც შეამჩნევდა, რომ კონკურსი, რომელიც ტრადიციულად გაზაფხულის მიწურულს ტარდებოდა, ამჯერად შემოდგომაზე იმართება. ორგანიზატორთა განმარტებით, გაზაფხული ლიტერატურულ კონკურს "საბას" დაუთმეს და ამიერიდან "Penმარათონი" საშემოდგომო კონკურსად იქცევა.

კარგა ხნით ადრე ისიც იყო ცნობილი, რომ მარათონი აფხაზეთის ტერიტორიაზე, კერძოდ, სოხუმში ან გალში იგეგმებოდა. კონკურსის ორგანიზატორ ჯარჯი აქიმიძის თქმით, ეს სურვილი განუხორციელებელი დარჩა, რადგან დღევანდელი პოლიტიკური ვითარება ამის საშუალებას არ იძლევა. უფლისციხემდე კი ვარძიისა და დავით გარეჯის ვარიანტებიც განიხილებოდა. საბოლოოდ, კონკურსანტთა უსაფრთხოების მიზნით, უფლისციხე იდეალური აღმოჩნდა.

თუმცა არც აქ იქნება ყველაფერი იდეალურად: კონკურსანტები კომპლექსის გამოქვაბულებში განთავსდებიან – ჯგუფ-ჯგუფად ან ინდივიდუალურად (გნებავთ, ცალკე, ყველასგან მოშორებით, ინტიმურად). ისინი უზრუნველყოფილი იქნებიან საკვებით, უალკოჰოლო და ალკოჰოლიანი სასმელით (ხომ არ დაგავიწყდათ, რომ ღვინო "ძველი თბილისიც" საქმეშია!). გამოძინების მსურველები იქვე, საძილე ტომრებში განთავსდებიან. შესაძლოა, კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე კარვებიც დაიდგას.

კონკურსანტები წერას 20 ოქტომბრის დღის 12 საათზე დაიწყებენ და 30 საათის შემდეგ, უკვე 21 ოქტომბერს დაასრულებენ. რაც შეეხება თემას, ეს, ტრადიციისამებრ, უცნობია. მეტიც, ფრაზა, რომლის გარშემოც "Penმარათონის" მონაწილეებმა საკუთარი ნაწარმოებები უნდა ააგონ, ჯერ შერჩეულიც არ არის. მართონის წესების თანახმად, ყველა ნაწარმოები ქართულ ენაზე უნდა შეიქმნას და ორიგინალურ პროზაულ ნაწარმოებს უნდა წარმოადგენდეს.

თუმცა ვიდრე ბედნიერი 26-ეული (სწორედ ამდენი წერისთვის მოწყურებული იღებს კონკურსში მონაწილეობის ვიზას) უფლისციხეში გაემგზავრება, მანამდე პირველი ეტაპის გავლა მოუწევთ. დღეიდან 14 ოქტომბრის ჩათვლით, 16 წელს გადაცილებულმა ნებისმიერმა მსურველმა გამომცემლობა "დიოგენეში" უნდა მიიტანოს 5 გვერდამდე ნაბეჭდი ორიგინალური მოთხრობა ან ამონარიდი გაცილებით დიდი ზომის პროზაული ნაწარმოებიდან. როგორც წესი, პირველ ეტაპზე ასობით განაცხადი შედის, საიდანაც ჟიური მხოლოდ 23 კონკურსანტს ტოვებს. ამას ემატება წინა წლის სამი გამარჯვებული და მარათონიც იწყება.

წლევანდელი დაჯილდოების ცერემონიალი კინოთეატრ "ამირანში" 18 ნოემბერს გაიმართება. სწორედ აქ გაირკვევა, ვინ გადაკვეთა პირველმა ფინიშის ხაზი, ვინ შექმნა ახალი ქართული მოთხრობა.




# ყურადღება!

რესტორანი "დაკარგული სამოთხე"

რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.

ტელ. 999-207



უცხოელი მეგობრები გყავთ?
რა შეკითხვები აღარ უჩნდებათ მათ
საქართველოს შესახებ!
ლაკონური, შუქჩრდილიანი და მართალი პასუხები
ამ კითხვებზე ახალგაზრდა რეჟისორის
**ლელა ბერიძის** ფილმში
**"კავკასიური ცარცის წრე მეგობრებისთვის"**
7 ოქტომბრიდან კინოთეატრ "ამირანის"
მცირე დარბაზში (19.30)
გაიხსენე თავად! აჩვენე მეგობრებსაც!







# ვეძისობა

ვეძისში, თბილისის ერთ-ერთ უძველეს და უმშვენიერეს უბანში გუშინ მეექვსედ გაიმართა ტრადიციული სახალხო დღესასწაული – ვეძისობა. 9 წლის წინათ ვეძისელებმა უბნელების შემოწირულობით ჯერ წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მშენებლობა დაიწყეს, 2 წლის შემდეგ კი "ვეძისობაც" დააწესეს, რომელსაც ყოველი ოქტომბრის პირველ კვირას იხდიან.

საზეიმო წირვის შემდეგ იმართება სპორტული ღონისძიებები – დოღი, ქართული ჭიდაობა და კონცერტი.




**თბილისის სახელმწიფო ვეტერინალური ინსპექცია აწარმოებს ცოფის უფასო ვაქცინაციას**

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის

**დარეკეთ ტელეფონზე: 77 08 40**

ან მიმართეთ შემდეგ მისამართზე: თელავის ქუჩა 53. (სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასის" უკან)



**მოსწავლეთა საყურადღებოდ!**

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი

**"მზიური"**

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას

**პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ ჯგუფებში**
**მიიღებიან V - XI კლასების მოსწავლეები**
**მისამართი: დ. უზნაძის (ყოფილი კამოს) N70**
**(91-03-17; 95-45-75**






შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამორჩეული სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოხატო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა "ყველაზე ჭკვიანის" მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

შეავსო ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.

მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი ----------------------------------------

მისამართი ----------------------------------------

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------------------------------------

დაბადების თარიღი ----------------------------------------

სკოლა ----------------------------------------

კლასი ----------------------------------------

დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------------------------------------

მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი ----------------------------------------

მშობლის ან მეურვის ხელმოწერა ----------------------------------------

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 სექტემბრისათვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ვაჟა ფშაველას 45, 300077 თბილისი

ბ ლ ა ნ კ ი   უ ფ ა ს ო ა



